რატომ და ვინ დააკავა სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი ხელმძღვანელი? A7

ლატვია სრულ მხარდაჭერას დაგვპირდა A8

უფასო იურიდიული კონსულტაცია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 2004 წელი. №244 (793) ფასი 50 თეთრი

# ბიზნესმენი მიდის მედიიდან, თუ ხელისუფლება მოდის მედიაში?

A2-A3



ვერავინ ამბობს, რა ჭიშის კატამ გაირბინა პრეზიდენტსა და კიწმარიშვილს შორის.

ბესო გულაშვილის ფოტო

## როგორ ვუშველოთ ხელისუფლებას...

მაია ჭალაგანიძე

*ბრწყინვალე გიორგობიდან 11 თვე, ანუ ერთი წელი გადის. მათ, ვისაც ყველაფრის ამ მოკლე ხანში გამოსწორების უტოპიური აზრი არ აწუხებდა, ბევრი იმედგაცრუება არ განუცდია. მათ, ვინც დაიღალა 12 წლიანი მატყუარა ხელისუფლებით და ახალს გაფართოებული თვალებით უყურებს - უფრო მძიმედ აქვს საქმე. საფუძვლიანი შეფასებებისთვის ეს დრო, ალბათ, ცოტაა, მაგრამ 11 თვე სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მრავალჭირგამოვლილმა ქართულმა საზოგადოებამ ყველაფერი დაინახოს, რადგან "სახარე ხბოს სასკორავზე ეტყობაო." არასამთავრობოებთან მორიგ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა თავისი ერთ-ერთი დაუდეგარი ოპონენტი თინა ხიდაშელი მოისაკლისა. რას იტყოდა იმ შეხვედრაზე და რას არა თინა ხიდაშელი, ამას ქვემოთ ნახავთ.*

**- რევოლუციიდან თითქმის წელიწადი გავიდა. საზოგადოებრივი მოლოდინებიდან ყველაზე მთავარი რა გამართლდა და რა - არა?**

- მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ თითქმის ერთი წელი გავიდა. აღტკინება და საკუთარი ქმედებით მიღწეულის ეიფორია ჯერ კიდევ ცოცხალია და, შესაბამისად, მისი თანმდევი ოპტიმიზმი ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისა და პრობლემების დაძლევისათვის. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ალბათ, ეს იყო ყველაზე უფრო იმედიანი და მოლოდინებით აღსავსე წელი. არცთუ ყველა მოლოდინი იყო რეალისტური და, შესაბამისად, შესრულებადი, მაგრამ რევოლუციის წინა პერიოდში, რევოლუციის შემდეგ, ყოველი არჩევნების წინ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს - არჩევნების შემდეგაც ხელისუფლებას მცდელობა არ დაუკლია ამ მოლოდინების კიდევ უფრო გაზრდისა და სულ უფრო და უფრო მეტი უსაფუძვლო და შეუსრულებადი დაპირებების გაცემისათვის.

გაგრძელება B1 გვერდზე

## აფხაზეთის "უნიკალური მაიმუნები"

ნინო გომართელი

**"აფხაზეთში დღეს შექმნილი ვითარება შესაძლებლობას აძლევს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, შეასრულოს თავისი პირობა - აფხაზეთი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში დააბრუნოს. აფხაზეთის ტერიტორიაზე წამოჭრილი ყველა კონფლიქტი ხომ თბილისს შესაძლებლობას მისცემს, გამოვიდეს მშვიდობიანი მოსახლეობის დამცველის რანგში,"** - ასეთ შეფასებას აძლევს რუსული პრესა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დღესდღეობით შექმნილ ვითარებას, წერს, რომ **"მოსკოვის ხელი ვერ მისწვდა სოხუმს"** და იქვე მიუთითებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პრეზიდენტად გამოცხადებული სერგეი ბაღაფშის ვითომდა პროქართულ ორიენტაციაზე.

რუსული მედია სავსეა ვარაუდებით, რომ თითქოს სერგეი ბაღაფშს სწორედ საქართველომ გაამარჯვებინა, ამასთან ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, გალის რაიონით მანიპულირება მოახდინონ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ქართველები შეადგენენ.

გაგრძელება A8 გვერდზე

## საპარლამენტო უმრავლესობა კიდევ სამმა დეპუტატმა დატოვა

თამარ ასათიანი

*საპარლამენტო უმრავლესობას მისი რიგითი წევრები ნელ-ნელა ტოვებენ. პრინციპში, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან საკმაოდ მრავალრიცხოვან გუნდში ყოველთვის იქნებიან ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც მათთვის შესაფერისი ადგილი იქ ვერ გამოიძებნა. ჯერჯერობით, უმრავლესობის ლიდერები რიგითი წევრების "ღალატში" განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავენ, მაგრამ, საპარლამენტო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად ისეც ხდება, რომ ასეთ "უმნიშვნელო" ცვლილებებს ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება ხოლმე და ერთი შეხედვით მონოლითური გაერთიანება მარტივ მამრავლებად იშლება. საკმაოდ რთული სათქმელია, უმრავლესობის რიგებიდან სამი რიგითი დეპუტატის გასვლა მისი დაშლის პროცესის დაწყების სიგნალია თუ არა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მის რიგებში ყველაფერი წესრიგში ვერ არის. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი აქვთ და ამას ღიად ამტკიცებენ ოპოზიციონერი პარლამენტარები.*

გაგრძელება A8 გვერდზე

### ეკონომიკა

#### საბიუჯეტო "განკითხვის დღე" პარლამენტში



2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესით პარლამენტარები უკმაყოფილონი არიან.

A4

### უცხოეთი

#### ნატო რეფორმებზე მსჯელობას განაგრძობს




ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია ერაყის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, თუმცა აშშ-ს ინიციატივით ჩამოყალიბებულ კოალიციაში ნატო-ს წევრი სახელმწიფოებიდან ბევრია წარმოდგენილი.

A5

### საზოგადოება

#### "გამჭვირვალე" მერია

საქალაქო სამსახურებში კადრების შერჩევა ამიერიდან კონკურსის წესით მოხდება. ექსპერიმენტის განხორციელება ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის სამსახურში დაიწყება. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას, სავარაუდოდ, ქალაქის პრემიერის მოადგილე ირაკლი თოდუა უხელმძღვანელებს.

A6

### სამართალი

#### ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დაკავებულია



ფრიდონ ინჯიას და მერაბ ადეიშვილის შემდეგ ამჯერად ესაკიას მინისტრობის პერიოდი ამოტივტივდა.

A7

### ამინდი

| | 14/10 | 15/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 14 |
| ქუთაისი | 18 | 22 |
| ბათუმი | 15 | 21 |
| სოხუმი | 16 | 20 |
| ფოთი | 17 | 22 |
| თელავი | 7 | 12 |
| ზუგდიდი | 19 | 23 |
| გორი | 8 | 13 |
| ახმეტა | 9 | 14 |
| ჭიათურა | 14 | 18 |
| გაგრა | 14 | 18 |
| სამტრედია | 17 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.2605 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2874 |
| რუბლი | 0.0630 |

1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია იხილეთ B6 გვერდზე

A2 მთავარი თემა A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ამბები

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 იურიდიული კონსულტაცია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

მაია ჭალაგანიძის სვეტი

## შედეგები არჩევანის გარეშე

რუსეთი ნამდვილად ჩვენი მეზობელია. იქ ამინდი ფუჭდება - აქაც, იქ ინფლაციააა - აქაც, იქ ბენზინი ძვირდება - აქაც... იქ მედიას ახრჩობენ - აქაც. იქ ახალგაზრდა პრეზიდენტია - აქაც... ოღონდ, ჩვენს აქტივში ერთი დიდი უპირატესობა მაინც არის - სამოქალაქო საზოგადოების განწყობა. ერთი წლის წინ ეს განწყობა ასეთი იყო - ხმას ვაძლევთ მხოლოდ პრეზიდენტს და მის გამბედავ გუნდს! გადავხედოთ, ვინ არის ამ გუნდიდან დღეს ხელისუფლებაში - აღმასრულებლის სათავეებთან დგანან ადამიანები, რომელთაც არ უშველა ლოკომოტივის გამოცვლამ და სინამდვილეში ვერ გადალახეს 2 ნოემბრის ისტორიული არჩევნების ბარიერი. სხვათა შორის, ამ ნაბიჯის გადადგმა და საარჩევნო ბატალიებში მანდილის მოშველიება ამ ძალას იმ პიარ-ჯგუფმა ურჩია, რომელიც საარჩევნოდ ეხმარებოდა და რომელმაც სრულიად ნათლად იხილა მათდამი საზოგადოების ნულოვანი განწყობა. ძალოვანებში პრეზიდენტის გუნდი ნაწილობრივ არის წარმოდგენილი და იქაც გავლენათა არასტაბილურობაა.

ამ პარლამენტში ხალხი, გამბედავთა ცნობადი სახეებიდან, კატასტროფულ უმცირესობას ენდობა. ასე რომ, ნება, რომელიც გამოხატული იყო მარტის არჩევნებზე - თითქმის იგნორირებულია. ქვეყნის სათავეებთან მყოფი ადამიანების უმრავლესობას ქართული ხალხური საზოგადოების მანდატი არ გააჩნია.

ნებისმიერი საგანი ემორჩილება მიზიდულობის ძალას და დედამიწის ცენტრისკენ მიისწრაფვის - ეს ასეა ნიუტონის შემდეგ. ბორკილდადებული ჯოხთაბერიძის ფერწერული ტილო, სათაურით "ჩამოთრევა თვითმფრინავის ტრაპიდან", ყველა ჩინოვნიკს უნდა ეკიდოს კაბინეტში და ახსოვდეს ის, რასაც შევარდნაძის სიძე ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ ნახავდა. მაშინ ყოველთვის ემახსოვრებათ, რომ სათამაშო პარლამენტი ძალაუფლებას კი არ ამყარებს, არამედ დისკრედიტაციას უწევს; რომ ელექტრომედიისა და თუნდაც ეკონომიკის ჯიბეში ჩადება საზოგადოებას ზომბირებას კი არ უკეთებს, აბრაზებს, რადგან ტელეეკრანზე ყველაფერი შიშვლდება და ნებისმიერი პატარა მუწუკიც კი დაუფარავი ხდება.

არადა, თითქოს ხელისუფლება დანაპირებს ასრულებდა და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ამცნობდა საზოგადოებას - აწვდიდნენ ანტიგმირებს და მედიაც ყველა ბრუნვაში დაუზარებლად აშუქებდა ამას. ეს იყო მედიისა და ხელისუფლების თაფლობის თვე. ცოტა ხანში, ხელისუფლებამ გადაიფიქრა მის მიერვე ფართოდ დეკლარირებული გამჭვირვალობა და თავის გმირებიან-ანტიგმირებიანად შევარდნაძის დაარსებულ და მერე გამოთავისუფლებულ კულუარებში დაემალა საზოგადოებას. თაფლით დამტკბარი მედიაც კონტროლის ნაცვლად ამ კულუარებში გადაჰყვა ხელისუფლებას და დაიწყო კარგად ნაცნობი - შეკვეთილი სტატიები და დაფინანსებული ტელესიუჟეტები. საზოგადოებამ ეს მიიღო, რადგან ჯერ კიდევ სჯერა თავისი ხელისუფლებისა და ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ ეს მწარედ ნაცნობი კულუარული თამაშები ერთ მშვენიერ დღეს მას ისევე შეეხება, როგორც ყველაფერი კარგი და ცუდი ამ ქვეყანაში.

შევარდნაძე სიტყვის თავისუფლებას დეკლარირებულად აღიარებდა, სინამდვილეში იქნებ არც იცოდა, რეალურად რა ძალა ჰქონდა ამას და ეგონა, რომ ეს მხოლოდ მისი ოჯახისა და კლანის ლანძღვა-გინებას ნიშნავდა. სიტყვის თავისუფლების ქმედება მან სწორედ "რუსთავი 2"-დან და, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ "24 საათიდან" მიიღო და მიხვდა, რეალურად რას ნიშნავდა ეს თავისუფლება, ოღონდ უკვე გვიანი იყო.

მოხვიდე ხელისუფლებაში, როდესაც ქვეყანაში ვადაგასული შევარდნაძის დაძირული ხელისუფლებაა და ამაში ხელს გიწყობდეს ტელევიზიაც, რომლის დასაცავადაც სულ ცოტა ხნის წინ საზოგადოების უდიდესი ნაწილი აღდგა - ძალიან რთული არ არის. მაშინდელმა რეფორმატორებმა (აწ ხელისუფლებამ) დიდი როლი ითამაშეს, რომ პრესას რეალურად ეგრძნო - ის რიგით მეოთხე, მაგრამ ხელისუფლებაა. პრესასთან ერთად ამავე რეფორმატორებმა, ზოგმა არასამთავრობომ და ცხადია, "თავისუფლების ინსტიტუტმა" (რომელთა ცნობადი სახეებიც დღეს რეფორმატორებთან ერთად სამ დანარჩენ ხელისუფლებაში არიან), საზოგადოებასაც აგრძნობინეს, რომ ის შეიძლება იყოს უპირველესი ხელისუფალი ქვეყანაში; მათ დანერგეს ცნება - "სამოქალაქო აქტივობა" და გააცნობიერებინეს კიდეც საზოგადოებას საკუთარი ძალის ფასი.

დღეს ზემოჩამოთვლილი რეფორმატორებიცა და ცნობილი სახეებიც, ალბათ, ერთად ეცდებიან, აგრძნობინონ მედიას, რომ მეოთხე ხელისუფლება კი არა, უბრალოდ უძველესი პროფესიის წარმომადგენლები არიან და, აგრეთვე, აგრძნობინონ საზოგადოებას, რომ ის არ არის უპირველესი. ოღონდ, შევარდნაძისა არ იყოს, მათაც დააგვიანდათ, რადგან научили на свою голову.

# რას ფიქრობთ მედიასივრციდან ეროსი კიწმარიშვილის წასვლაზე?

საზოგადოების აზრი

**ვახო ბაბუნაშვილი,** *მუსიკოსი:*

ეროსი კიწმარიშვილი ჩემთვის ყოველთვის იყო და არის მისაბაძი მაგალითი პრინციპულობისა; ძალიან კარგი ბიზნესმენი იყო. პატივს ვცემ ამ ადამიანს, რომელმაც ფეხზე დააყენა საქართველოში დღესდღეობით ყველაზე სერიოზული ტელეკომპანია და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გაზეთი "24 საათი"; ეს იმ დროს, როდესაც ძალიან ბევრი სირთულე იყო და თუკი პრინციპულობას არ გამოიჩენდი, საქმეს ვერ გააკეთებდი.

მეორე საკითხია ხელისუფლებასთან ურთიერთობა. ჩემი აზრით, ნებისმიერი ხელისუფლება, რა კეთილი სურვილებითაც არ უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში, არის პრაგმატული. ყველანაირ ურთიერთობას ის უყურებს პრაგმატულად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ინტერესები შეიძლება იყოს ფაშისტური, დემოკრატიული და ა.შ. რამდენადაც ახლოს ხარ ხელისუფლებასთან და მის თამაშს თამაშობ, იმდენად ხარ დამოკიდებული მის სტრატეგიაზე. ამიტომ, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ეს არ სურს, თავისუფალი უნდა იყოს ამგვარი დამოკიდებულებისგან. ამიტომაც ჯობს, ხელისუფლებასთან გქონდეს კარგი დისტანცია. თუკი საუბარია მასმედიაზე და ადამიანზე, რომელიც მასმედიას წარმოაგდენს, მას ხელისუფლებასთან უნდა ჰქონდეს ეს დისტანცია და მისი ურთიერთობა შემოიფარგლებოდეს იმ საქმიანი ურთიერთობით, რაც საჭიროა ხელისუფლებასა და მასმედიას შორის. როდესაც ეს დისტანცია ირღვევა და ხდება ინტერესების გადაკვეთა, შეიძლება შეიქმნას კონფლიქტური სიტუაცია. არ ვიცი, რა ურთიერთობა აქვთ ამჟამად ეროსი კიწმარიშვილსა და დღევანდელ ხელისუფლებას, ან რა ურთიერთობა ჰქონდათ ახლო წარსულში, მაგრამ, ჩემი აზრით, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სფერო მოხვდა ინტერესთა ერთ სივრცეში. თუ არსებობს რაიმე კონფლიქტი მათ შორის, სწორედ ეს იქნება მიზეზი. ადამიანმა, რომელიც საკუთარ თავს მიიჩნევს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ ერთეულად, არ უნდა მისცეს ხელისუფლებას მასზე კონტროლის საშუალება. ეს არ ნიშნავს, იყო მარად მებრძოლი ოპოზიცია ხელისუფლების მიმართ, უნდა იყო ობიექტური ოპოზიცია. თუ ასეთი კონფლიქტი არსებობს და ამ კონფლიქტის შედეგად ეროსი მოწყდება მასმედიის სფეროს, ჩემთვის ეს ძალიან საწყენი იქნება, იმიტომ, რომ ამ ადამიანს დიდი პოტენციალი აქვს. მით უმეტეს, მისი და მისი საინფორმაციო საშუალებების - ტელევიზიისა და გაზეთის როლი გადამწყვეტი იყო შარშანდელ, ნოემბრის რევოლუციაში. თუკი ეს ხელისუფლების მასმედიაზე ზემოქმედების სიმპტომია, ამას საზოგადოების დიდი ნაწილი უნდა შეეწინაალმდეგოს. ასეთი გზა არა მარტო საზოგადოებისთვის, თვით ხელისუფლებისთვისაც დამღუპველია. ეს არის ნებისმიერი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. იმედი მაქვს, რომ ასეთი მიზნები ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს და ძალიან მეწყინება, თუ ვცდები.

**დათო საყვარელიძე,** *რეჟისორი, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი:*

უარყოფითად ვუყურებ ამ მოვლენას, რადგან მგონია, რომ ასეთი ორგანიზატორული ნიჭის ადამიანების წასვლა დააკლდება საქართველოს. ეროსი კიწმარიშვილის ხედვა მომავალი საქართველოსი, გულწრფელად რომ გითხრათ, მომწონდა. ის დაპირისპირება, რაც კულუარული ხასიათისაა და ჭორების სახით დადის საზოგადოებაში, არ ვიცი. მე ვიცი, რომ ამ ადამიანმა შექმნა პროდუქტი - "რუსთავი 2"-ისა და "24 საათის" სახით. ეს ისეთი ორგანიზმებია საქართველოში, რაც ცივილიზებული სამყაროსკენ წინგადადგმულ ნაბიჯებად მიმაჩნია. ეს ორგანიზაციები კარგი მაგალითია, ფაქტობრივად, უკაპიკოდ დაწყებული საქმე, სწორად წარმართვის პირობებში, როგორ შეიძლება იქცეს ძლიერ ორგანიზმად. მიამჩნია, რომ ეროსი კიწმარიშვილი ძალიან ჭკვიანია და არის ორგანიზაციული ნიჭის მქონე ადამიანი, რაც ასე გვაკლია საქართველოში. ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანის რესურსის გამოკლება, დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის. მისი ორგანიზატორული ნიჭის დამსახურებაა ნოემბრის რევოლუცია. ესეც არ მესმის, რას ნიშნავს მოშორება. თუ რაიმე დაპირისპირებებია, ესეც უნდა ითქვას. უნდა ვთქვათ, რა სიღრმისაა ეს დაპირისპირება და ვინ ვის უპირისპირდება. საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს დაფარული თემები.

ადამიანი ფასდება მის მიერ შექმნილი პროდუქტით. "რუსთავი 2", "24 საათი", "ჯორჯია ონლაინი", გამომცემლობა "რუსთავი 2 პრინტი", - ეს ის პროდუქტებია, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო, თავისუფალი საზოგადოების შექმნას და განვითარებას, პროგრესს. ან, რას მოაშორეს? თუ თავის საქმიანობას მოაშორეს, ეს უკვე პიროვნული თავისუფლების შეზღუდვაა. საშინლად დათრგუნული ვარ, იმიტომ, რომ ამ ფაქტით, ზოგადად საშიშროება შეიქმნა და ალბათ, სხვასაც ემუქრება იგივე.

**ლაშა ბუღაძე** - *მწერალი, დრამატურგი:*

ვფიქრობ, რომ ეს ფაქტი სამწუხარო და, შეიძლება ითქვას, საგანგაშოც არის. "რუსთავი 2" - ეს იყო ერთადერთი ფანჯარა, საიდანაც მოსახლეობას შეეძლო სწორი და მართალი ინფორმაციის მიღება და მისი ადეკვატური აღქმა. ეს არა მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა, ვფიქრობ ასეთია საზოგადოების აზრი. არხის ხელმძღვანელობა კი განუყოფელია "რუსთავი 2"-სგან. აქედან გამომდინარე, მისი, როგორც გენერალური დირექტორის ჩამოშორება საქმიდან, და ზოგადად მედიასივრციდან, სრულიად გაუგებარია. ვინ და რატომ უნდა ბედავდეს კერძო კომპანიის საქმეებში ჩარევას? ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ზოგადად არის მცდელობა ყველა ტელეკომპანიის გაკონტროლებისა. ეს კი ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია, ვინაიდან საქართველო რუსეთი არ არის.

**ზაალ სამადაშვილი** - *მწერალი:*

ამ ადამიანმა დააარსა ეს ტელევიზია, და ყველამ ვიცით, როგორ და რა ტექნიკური საშუალებებით დაიწყო მაუწყებლობა. ისიც კარგად ვიცით, რა ფუნქციას ასრულებდა "რუსთავი 2" წლების განმავლობაში ქართულ მედიასივრცეში. ამ ტელეარხს უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ძირეულ გარდაქმნებში. და არა მგონია, გვქონდეს იმის ფუფუნება, რომ ასეთი ადამიანი ჩამოვაშოროთ საკუთარ საქმეს.

**ირაკლი ჩარკვიანი** - *მუსიკოსი:*

ამ საქმის დეტალებს კარგად არ ვიცნობ. მე უბრალოდ არ მჯერა, რომ იგი ჩამოაშორეს მედიასივრცეს და რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ასეთი რაღაცეები ხდება. ყველა შემთხვევაში ნეგატიური დამოკიდებულება მექნება, თუ ეს ხელისუფლებამ გააკეთა, რაშიც მე არ ვარ დარწმუნებული. ძალიან სამწუხაროა, იმიტომ, რომ ეს არის ადამიანი, ვინც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სწორედ დამოუკიდებელი სიტყვის განვითარებაში.

**ბასა ჯანიკაშვილი** - *მწერალი:*

პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა ძალზე დადებითი როლი ითამაშა საერთოდ მედიასივრცის ჩამოყალიბებაში და მის განვითარებაში. მე მგონი, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის იმით, რაც დღეს გვაქვს "რუსთავი 2"-ის სახით. ევროპის ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და არც იქ მინახავს მსგავსი ტელევიზიები. ასეთ პირობებში შექმნილი ტელევიზია, როდესაც ქვეყანაში სიღატაკეა, არაფერი არ იძვრის და მხოლოდ ტელევიზია ვითარდება, ამასთან ის ტონის მიმცემია საზოგადოებისთვის, ძალიან დასაფასებელია. ამ მრავალი წლის მანძილზე, რაც შევარდნაძის მმართველობის ხანა იდგა, "რუსთავი 2" იყო ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ამბობდა მართალ სიტყვას, რომელიც მისაბაძი იყო ყველასთვის და რომლის იმედიც ჰქონდა ხალხს. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დაეკარგოს ეროსი კიწმარიშვილს და იმ ხალხს, ვინც ამ კომპანიაში წლების განმავლობაში მუშაობდა და სხვადასხვა დროს უმუშავია. ამიტომ, როდესაც ვაფასებთ ეროსი კიწმარიშვილის "რუსთავი 2"-დან წასვლას, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რა როლი ითამაშა ამ ადამიანმა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, იმ დემოკრატიული ფასეულობების შექმნაში, რომლებიც დღეს ჩვენ გაგვაჩნია და შეგვიძლია თავისუფლად ვილაპარაკოთ.

რაც შეეხება მის გადადგომას, გაგდებას თუ წასვლას, ამაზე ძალიან ძნელია ჩემთვის პასუხის გაცემა, იმიტომ, რომ არ ვარ ბოლომდე საქმეში ჩახედული. რა მოხდა, იყო საუბრები პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან თუ კომპანიის სხვა მონაწილეებთან, ეს ჩემთვის უცნობია და ნაკლებადაც მაინტერესებს. მაგრამ ფაქტი ერთია, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მოხდა ამ პიროვნების წასვლა. ბევრი კითხვა მიჩნდება, მაგრამ პასუხები არ მაქვს. "რუსთავი 2"-ის გადმოსვლა თბილისში, მისი დახურვა, შემდეგ გახსნა, შემდეგ კვლავ დახურვა და გახსნა, შემდეგ უშიშროების შესვლა კომპანიაში, შემდეგ სანაიას მკვლელობა, შემდეგ რევოლუცია - ეს ყველაფერი საზოგადოების თვალწინ ხდებოდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რევოლუციის შემდეგ, საზოგადოებაში უკვე ჭორები დადის, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში, ტელევიზიიდან ამას ვერ ვიგებთ. ეს, რა თქმა უნდა, "რუსთავი 2"-გან არის გასაკვირი, თორემ სხვა არხზე, ან სხვა გაზეთში რომ იყოს ეს ამბავი, არავის გაუკვირდებოდა.

**ლევან რამიშვილი,** *თავისუფლების ინსტიტუტი:*

ცვლილება, რაც ახლა ხდება, რასაკვირველია, ერთ დღის ამბავი ვერ იქნება. ტელეკომპანიის დღევანდელი მდგომარეობის ფესვები უნდა ვეძებოთ იმ გაუგებრობაში (არც კი ვიცი, რა დავარქვა), რასაც თავის დროზე "რუსთავი 2"-ის გაკოტრება" ეწოდა და რაც ტელეკომპანიის მესაკუთრის შეცვლით დასრულდა. როგორ მოხდა ეს და რისი გამოაშკარავება შეიძლება ყოველივე ამით, ვრცელი დისკუსიის თემაა...

თავის დროზე მასმედიამ დიდი როლი შეასრულა დემოკრატიის განვითარებაში. ვარდების რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მასმედია ერთგვარი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ფაქტია, რომ მედიის, განსაკუთრებით კი ელექტრონული მედიის საშუალებები ეკუთვნით ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს ადამიანებს, რომელთა ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მედიის საშუალებებით. ამ ადამიანების ინტერესთა კონფლიქტი, საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ, მედიის დისკრედიტაციით სრულდება.

აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელმა მედიამ უნდა გაუძლოს ცდუნებას, რადგან გამორიცხულია, ერთდროულად შეძლო სიმდიდრის მოპოვებაც, ხელისუფლებასთან სიახლოვეც და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც.

მედიის წარმომადგენელთა კომენტარი

**ლაშა ტუღუში, გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორი**: ვერაფერს გეტყვით. მაგის დაზუსტება გვინდოდა სწორედ გუშინ. დავურეკეთ ბატონ ეროსის და ვერ მივიღეთ კომენტარი. ფაქტია, რომ არსებობს გარკვეული ხმები და იყო გარკვეული აქტივობები, გარეთ ასეთი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ ვიდრე ბატონი ეროსი არ გამოხატავს აზრს, ვიდრე უშუალოდ მისგან არ მეცოდინება პოზიცია, ჩემგან რამის თქმა სწორი არ იქნებოდა.

**ელისო ჩაფიძე, გაზეთი "რეზონანსი"**: ვთვლი, რომ ძალიან ცუდია, თუ ეროსი კიწმარიშვილი მიდის მედიაბიზნესიდან. იმიტომ, რომ "რუსთავი 2", გარკვეულწილად, ბოლო პერიოდში განვითარებულ ძალიან ბევრ მოვლენაში იყო ჩართული და მისი მონაწილეობა უმეტესწილად იყო პოზიტიური, ანუ ეროსი კიწმარიშვილის ხელმძღვანელობით ტელევიზიას ჰქონდა პოზიტიური შედეგები. მე ვფიქრობ, რომ ეს არის რაღაც შეზღუდვის, მედიის შეზღუდვის ნიშანი, რომელზეც მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა დიდი ხანია ვსაუბრობთ - რომ მედია გახდა ერთსახოვანი და ძირითადად ხელისუფლების მსახური. ამაზე კულუარებში საუბარი არაფერს მოგვიტანს, მაგრამ თუ ხმამაღლა იტყვი, სამსახურს დაკარგავ და ვერაფერს მიაღწევ. მე უარყოფითად ვაფასებ ამ ფაქტს. ეროსი ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდა ხელისუფლების გარკვეული ნაწილისთვის. ის იყო ფიგურა, რომელიც გარკვეულ საკითხებში დღესაც კი ოპონირებას უწევდა ხელისუფლებას. შეიძლება ეს წონასწორობა დაიკარგოს, ანუ არ იყოს განსხვავებული აზრი და ქართული მედია გახდეს ერთფეროვანი.

თუმცა, სადაც მიდის, იქ ვუსურვებ წარმატებებს.

**გიორგი ბრეგვაძე, გაზეთ "ალიას" რედაქტორი**: არა მაქვს სურვილი, რომ გამოვთქვა ჩემი აზრი. თუ რამე იქნება, გაზეთში დავწერთ.

**ქეთი ხატიაშვილი, გაზეთი "ალია"**: ამასთან დაკავშირებით, ძალიან მიჭირს რაიმე კომენტარის გაკეთება, რადგან თავად მას საჯაროდ არაფერი განუცხადებია. თავისთავად ის, რომ იგი მიდის მედიაბიზნესიდან, ძალიან ცუდია, რადგან ეროსი კიწმარიშვილი არის ადამიანი, ვინც ნულიდან შექმნა ძალიან დიდი, საინტერესო და გავლენიანი მედიასისტემა. მან გამოამჟღავნა კარგი უნარი იმისა, რომ რაღაც შექმნას და გავლენა მოიპოვოს. სხვა საკითხია, თუ როგორ გამოიყენა მან ეს გავლენები შემდგომ. ამის შესახებ მაქვს არაოფიციალური ინფორმაცია და თუ ის მართალია, ვთვლი, რომ ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა გამოიყენოს ადამიანმა თავისი ძალაუფლება. ერთხელ კიდევ ვუსვამ ხაზს - მაქვს მხოლოდ არაოფიციალური ინფორმაცია, თორემ თავად ეროსისგან განცხადებები არ ყოფილა. რამდენადაც ვიცი, მას თვითონ ჰქონდა რაღაც პრეტენზიები ხელისუფლების ვერტიკალში სერიოზული პოზიციების და ბიზნესგავლენის მოპოვებისა. მან გადაწყვიტა, მედიასფეროდან გადასულიყო სხვა სფეროში. ამიტომ, ჩემი აზრით, იგი რომც არავის გაეძევებინა მედიასფეროდან, ალბათ, აღარც ჰქონდა უფლება, ისევ მედიაში გაეგრძელებინა მოღვაწეობა.

**გიორგი უძილაური, გაზეთი "ახალი თაობა"**: ჩემი აზრით, როდესაც მედიის საშუალების ერთ-ერთი მფლობელი და მედიამაგნატი პოლიტიკაში ღრმად შეტოპავს, ასეთი ბოლო ექნება. ყველაფერი უფრო პოლიტიკის ბრალია. პოლიტიკამ აიძულა იგი, წასულიყო.

**ელდარ მდინარაძე ტელეკომპანია "მზე"**: კომენტარს არ გავაკეთებ. თქვენი საქმეები თქვენ თვითონ გაარჩიეთ.

**თამარ ჩიქოვანი, რადიო "თავისუფლება"**: ეროსი კიწმარიშვილი უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, მიუხედავად იმისა, პიროვნულად როგორი დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ - სიმპათიით ვარ თუ ანტიპათიით განწყობილი. მან შექმნა იმპერია, რომელმაც საბოლოოდ იმსხვერპლა იგი. ნიჭიერია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ნიჭი სათანადო დონეზე ვერ გამოიყენა. ჩემი მოსაზრებით, მედიამაგნატები მაქსიმალურად შორს უნდა იყვნენ პოლიტიკისგან. როდესაც მედიამაგნატი უკვე პოლიტიკას ქმნის, ძალიან ბევრს იღებს საკუთარ თავზე და მას იგივე ბედი ეწევა, როგორიც, ვთქვათ, ეროსი კიწმარიშვილს. რუსეთშიც გვაქვს ამის რამდენიმე მაგალითი. იმედი მაქვს, სხვა მედიამაგნატები ეროსის ამ არცთუ სასიამოვნო ბედს გაითვალისწინებენ და იმავე შეცდომას არ გაიმეორებენ.

**ია ანთაძე, რადიო "თავისუფლება"**: ძალიან რთული საკითხია. ახსნა შეიძლება რამდენიმე იყოს. პირველი: ფაქტობრივად, მისი წასვლა მედიიდან იმის შემდეგ მოხდა, რაც მას პოლიტიკური შეჯახება მოუვიდა ზურაბ ჟვანიასთან. ბრძოლა მიმდინარეობდა ფარულად, მაგრამ მისი შედეგები მაინც აშკარა იყო - მან დატოვა თანამდებობა, სადაც იგი პრემიერ-მინისტრმა წარადგინა, როგორც თავისი პირადი მეგობარი.

შეიძლება, ეს იყოს პროცესის გაგრძელება ან შეიძლება, იყოს დასაწყისი, ანუ იგი დაუპირისპირდა პრემიერ-მინისტრს და ისე წავიდა მისი კარიერა, რომ დღეს არჩია, წასულიყო საქართველოდან. რამდენადაც მესმის, იგი მიდის საქართველოდან უცხოეთში. არის მეორე ვერსიაც: ფაქტობრივად, არსებობდა ერთგვარი სამკუთხედი - ქიბარ ხალვაში, ირაკლი ოქრუაშვილი და ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც უპირისპირდებოდა მეორე სამკუთხედს - ბადრი პატარკაციშვილი, კახა ბენდუქიძე და ზურაბ ჟვანია. თუ მოხდა ისე, რომ არა მხოლოდ ეროსი კიწმარიშვილის კარიერაში იქნება ცვლილებები, არამედ ცვლილებები გაგრძელდება, დავუშვათ, ირაკლი ოქრუაშვილის კარიერაში, მაშინ ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ "ძალოვანმა სამკუთხედმა" ერთგვარად უკან დაიხია "ეკონომიკური სამკუთხედის" წინაშე, რაც, შესაბამის ასახვას ჰპოვებს პრეზიდენტის პოლიტიკაზე. ეს იქნება ძალიან საინტერესო პროცესი. მაგრამ დღეს ჩვენ არ ვიცით, რა დაემუქრება ირაკლი ოქრუაშვილის კარიერას - წინსვლა თუ უკუსვლა. ამიტომ შეგვიძლია ცალკე განვიხილოთ ეროსი კიწმარიშვილის საკითხი. მაგრამ მთლიანობაში მაინც, კონტექსტში, შეიძლება, ამას მოჰყვეს ცვლილება სხვების კარიერაშიც.

ბიზნესმენების კომენტარები

**ბადრი ჯაფარიძე, "მინისა და მინერალური წყლების კომპანია":** ეროსი კარგა ხანია, არ მინახავს და არ ვიცოდი, თუ მედიაბიზნესიდან წავიდა. ისე, სანამ თავად არ მეტყვის, წავედიო, კომენტარს ვერ გავაკეთებ. მიმაჩნია, რომ ის წარმატებული ბიზნესმენი, წარმატებული სატელევიზიო არხის შემქმნელია. ასევე, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი იმ მცირე წარმატებულ ბიზნესმენთაგანია, ვინც შეძლო, ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში კონკრეტული შედეგისთვის მიეღწია. ასე რომ, ძნელი სათქმელია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

**ზურაბ მარგველაშვილი, "თბილღვინო":** გამიძნელდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. არ ვარ ამ ბიზნესის საქმის კურსში. ალბათ, არის კონკრეტული მიზეზები, რის გამოც, ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შეიძლება, მან სასარგებლო პირობებით გაყიდა ბიზნესი. საერთოდ, ბიზნესიდან წასვლის გამომწვევი მთელი რიგი მიზეზები არსებობს...

**ზურაბ ტყემალაძე, "სამება":** პირველ რიგში, ქვეყანაში ნორმალური საინვესტიციო კლიმატი უნდა არსებობდეს და ბიზნესმენს ბიზნესის კეთება უნდა უხაროდეს. ზოგს შეიძლება უყვარდეს ეროსი, ზოგს არა, მაგრამ, ობიექტურად, ის სერიოზული, კარგი ბიზნესმენია, რაც მან "რუსთავი 2"-ზე თავისი მოღვაწეობითაც დაამტკიცა. ძალიან ჭკვიანი კაცია და ყველა წინაპირობა ჰქონდა იმისთვის, რომ წარმატებული ბიზნესი ეწარმოებინა, ან ახალი ბიზნესი წამოეწყო. მაგრამ შემდეგ ის პოლიტიკაში ღრმად ჩაეფლო. პოლიტიკა და ბიზნესი ერთმანეთთან შეუთავსებელია. სავარაუდოდ, ამან მოუტანა როგორც დადებითი, ასევე, საკმაოდ უარყოფითი შედეგები და აიძულა, წასულიყო ბიზნესიდან. მე სუბიექტური ვიქნებოდი, თუ რაღაც კონკრეტულ მიზეზს დავასახელებდი იმიტომ, რომ არ ვიცი, მაგრამ იმაში, რომ ეს მისი პოლიტიკაში მოღვაწეობიდან გამომდინარეა, ეჭვი არ მეპარება.

**თემურ ჭყონია, "კოკა-კოლა":** ვერ წარმომიდგენია, რა უნდა შემემთხვეს, რომ ჩემი ბიზნესი მივატოვო. ეროსი კიწმარიშვილი მედია-ბიზნესში პროფესიონალია და არა შემთხვევითი კაცი. მას უშველებელი შრომა აქვს ჩადებული იმ ტელევიზიის ჩამოყალიბებაში, რომელმაც სხვა მედიის ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი და უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციისას. ეჭვი მეპარება, რომ მას ზეწოლის გამო მიეღო ეს გადაწყვეტილება, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეროსი მათი მეგობარია. შესაძლოა, მან ამ ბიზნესში თავისი თავი ამოწურა, ან, შესაძლოა, ახლის წამოწყება სურს. თუ მის ბიოგრაფიას გავყვებით, ის ჯერ ექიმი იყო, მერე მოვიდა ამ ბიზნესში; შესაძლოა, ახლა სხვაგან სურს თავისი შესაძლებლობების მოსინჯვა. ღმერთმა დაიფაროს, ეს იძულებითი ნაბიჯი იყოს. მაშინ თანავუგრძნობ.

**ტარიელ გვალია, "თბილუნივერსალბანკი":** მე საქმეში ჩახედული არ ვარ და მიჭირს იმის თქმა, აიძულეს თუ თავისი ნებით მიიღო ეს გადაწყვეტილება. ფაქტი ისაა, რომ ეროსი ამ ბიზნესს და მედიაბაზარს საგრძნობლად დააკლდება.

**ელგუჯა ბუბუტეიშვილი, "სარაჯიშვილი":** გამორიცხულია, იყო ბიზნესშიც და პოლიტიკაშიც. ჭკვიანი პოლიტიკური ელიტა ამას არ დაუშვებს. ან ერთში უნდა იყო, ან მეორეში. ეროსი ნიჭიერი კაცია. მე მას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ "რუსთავი 2" რომ პოპულარული გახადა, ფაქტია. მაგრამ, ის ხომ რევოლუციაში მთავარი მოქმედი პირი იყო? მე რომ პოლიტიკური ლიდერი ვყოფილიყავი, ვიტყოდი, ამ კაცმა გააკეთა რევოლუცია და რა გარანტია გვაქვს, რომ მეორედ არ გააკეთებსო. თუმცა, შესაძლოა, წასვლის არჩევანი თავად გააკეთა. შესაძლოა, გაუგებრობაში მოყოლილი ადამიანია, რომელმაც ჩათვალა, რომ აქაც უნდა იყოს და იქაც. დრო არკვევს ყველაფერს. ამასაც დრო იტყვის, სწორი ნაბიჯი იყო მისი მედიაბიზნესიდან წასვლა თუ არა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რას ფიქრობთ მედიასივრციდან ეროსი კიწმარიშვილის წასვლაზე?

## პოლიტიკოსების აზრი



რევოლუციამდე მესამე სექტორის მთავარი ტრიბუნა "რუსთავი 2" იყო.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**დავით ზურაბაშვილი,** *უმრავლესობის ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი:*

პირდაპირ ვამბობ: ერთი მხრივ, ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. თუმცა, ეს არ არის ახალი. ჩემი აზრით, ახლა გამოჩნდა ის წყლულები, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს ჩამოყალიბდა. ვგულისხმობ, რომ პოლიტიკური ელიტა, სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო მედია ერთმანეთთან არ არიან ჯანსაღი ძაფებით დაკავშირებულები.

ავიღოთ ეროსი კიწმარიშვილის მაგალითი. დავუშვათ, მე ვარ უცხოელი, ვცხოვრობ ცივილიზებულ ქვეყანაში და ჩამოვედი საქართველოში. მიყვებიან ამ ისტორიას და მიხსნიან, რომ კერძო ბიზნესიდან ეს კაცი გაუშვეს. ლოგიკურად გამიჩნდება კითხვა - რას ჰქვია, გაუშვეს? შემდეგ ვიკითხავ - დანაშაული თუ ჰქონდა რამე? თუ დამნაშავეა და დაიჭირეს, ეს სხვა საქმეა. თუ არ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული და არაფერი გაუფუჭებია, მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა, რა მოხდა. გამოდის, რომ სახელმწიფო რაღაც ცუდს აკეთებს. და თუ ეროსი კიწმარიშვილი აიძულეს, საკუთარ ბიზნესზე ეთქვა უარი, ეს, თავისთავად, არაჯანსაღი პროცესია. ასეთი მიდგომები შევარდნაძის დროს ჩამოყალიბდა და ახლა იჩინა თავი, თანაც - ცუდი ფორმით. ალბათ, ჩვენი მოვალეობაა, ამგვარი პროცესების განვითარებას ხელი შევუშალოთ. შევეცადოთ, რომ ვითარება გამოსწორდეს. ბიზნესი თავის საქმეს აკეთებდეს, სახელმწიფო სტრუქტურები - სახელმწიფო საქმეებს. ამავე დროს, ეს ურთიერთობები უნდა დავიყვანოთ სამართლებრივ, ჯანსაღ ურთიერთობებამდე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ეს პროცესები არ დაწყებულა გუშინ ან დღეს. ეს არის ერთ-ერთი სიმპტომი იმისა, რომ ბიზნესისა და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობები არ მიდის იქითკენ, საითკენაც უნდა მიდიოდეს. ეს ურთიერთობები არ არის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული. მთლიანობაში, ვითარება არაჯანსაღია და ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

**ნოდარ გრიგალაშვილი,** *განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე:*

ეროსი კიწმარიშვილის "რუსთავი 2"-დან წასვლა არ არის იმ ეჭვებთან დაკავშირებული, თითქოს ხელისუფლება ბიზნესში საკუთარ ინტერესებს ატარებს და საკუთარ კადრებს ლობირებს. "რუსთავი 2" ნამდვილად არ არის ის დაწესებულება, რომელიც ბიზნესინტერესებით იყოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული. ასე ადვილად ტელევიზიაში შენს კადრებს ვერც მიიყვან და ვერც წამოიყვან. ეს არის კერძო ტელევიზია. ეს უფრო განსაკუთრებული შემთხვევა მგონია, დაკავშირებული, ერთი მხრივ, შიდა სამზარეულოსთან, ანუ ფინანსებთან, და მეორე მხრივ, მის ყოფილ ხელმძღვანელთან. იმის მიუხედავად, რომ ეს ტელევიზია გმირულად იქცეოდა და ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩვენს უახლოეს ისტორიაში, იმავდროულად, ბატონი ეროსი უშვებდა კატასტროფულ შეცდომებს. ეს პირდაპირ უნდა ვთქვა. როგორც ამბობენ, ხშირად თავად ერეოდა ხელისუფლების საქმეებში, საკადრო პოლიტიკაში. როგორც ჩანს, აქ კერძო პირისა და ხელისუფლების ინტერესთა კონფლიქტს ჰქონდა ადგილი. თუკი ის პირი, რომელიც განაგებს სიტუაციას კერძო სტრუქტურაში, ზის მყარად, ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობა, მას საკუთარი ადგილი დაატოვებინოს, უშედეგოდ დამთავრდება. თუ თქვენ თქვენივე ფინანსურ იმპერიაში წყალი გაქვთ შეყენებული, ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო, რომელმაც, თუნდაც ირიბად, ეს მომენტი თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს. ხელისუფლება ცდილობს, რომ მოწინააღმდეგეზე მეტი მომხრე ჰყავდეს. ხელისუფლება იმის ხელისუფლებაა, რომ ცდილობდეს, მომხრეების რიგებში ლაგამი ამოსდოს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ზედმეტად სარგებლობენ მასთან სიახლოვით.

**ვაჟა კილაძე,** *საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ტელეკომპანია 202-ის ყოფილი მფლობელი:*

ეროსი კიწმარიშვილს აშკარად გაეზარდა მადა და, ალბათ, მთავრობამაც იგრძნო გარკვეული საშიშროება. მიმაჩნია, რომ ის, ვინც დამნაშავეა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს - რა დამსახურებებიც არ უნდა ჰქონდეს თუნდაც რევოლუციაში თუ სხვა საქმეებში. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. წინააღმდეგ შემხთვევაში, ძალიან ბევრი უკვე დაისჯებოდა და მათ პასუხისგებაში მისცემდნენ. ისე, ძალიან სადავო საკითხია, დაისაჯა თუ არა ეროსი კიწმარიშვილი. შეიძლება მან გაცვალა თავისი ბიზნესი სხვა ბიზნესზე - ან გადაზიდვებზე, ან გადმოზიდვებზე. საერთოდ, არა მგონია, რომ ეს პროცესი მედიასივრცეს ეხებოდეს. "რუსთავი 2"-ს პრობლემები არ ჰქონია, რადგან რევოლუციის მერე იგი გადაიქცა მაღალი ხარისხის პირველ არხად, ისევე, როგორც "24 საათი" - მაღალი ხარისხის "საქართველოს რესპუბლიკად". ასე რომ, იდეოლოგიურ საკითხში, ამ სტრუქტურას მთავრობასთან პრობლემები არ ჰქონია. პრობლემა უფრო კომერციულია. კიწმარიშვილმა ძალიან ბევრი მოინდომა.

**ფიქრია ჩიხრაძე,** *საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი:*

ვფიქრობ, ეროსი კიწმარიშვილის დანაშაული ის იყო, რომ, პოსტრევოლუციურ გადანაწილებებში და გავლენების მოპოვებაში ისე ჩაერთო, როგორც რევოლუციის მეოთხე შემოქმედი. მას რომ თავიდანვე შეენარჩუნებინა ტელევიზიის ოპოზიციური იმიჯი, დარწმუნებული ვარ, ამდენს ვერ გაუბედავდნენ. და თუ ტელევიზიის ფუნქცია ოპოზიციონერობა იყო, მაშინ იგი ოპოზიციონერი უნდა ყოფილიყო იმ გუნდის მიმართაც, რომლის ხელისუფლებაში მოყვანაშიც ლომის წილი მიუძღვის. მაგრამ, რადგან იგი, როგორც მეოთხე რევოლუციონერი, მონაწილეობდა პოსტრევოლუციურ პროცესებში, უკვე მონაწილე გახდა იმ ბრძოლისა, რომელიც ყველანაირი გავლენის გადანაწილებას უკავშირდება. როგორც ჩანს, მას აჯობეს. ჩემთვის საწყენია და მიუღებელი ის ტენდენცია, რაც არა მხოლოდ მასმედიაში შეიმჩნევა. მე არ ვიცი, ამ ტელევიზიის ახალი მენეჯერი უკეთესი იქნება თუ მას ძველი სჯობდა, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას შეუძლია ჩაერიოს მედიის სამზარეულოში, ისევე, როგორც სხვა სფეროებში და დაუნიშნოს ხელმძღვანელი, ძალიან შემაშფოთებელია. ვფიქრობ, რაც უფრო მალე მოჰყვება ასეთ ფაქტებს ადეკვატური რეაქცია, მით უკეთესი იქნება ამ სახელმწიფოსთვის და ამ ხელისუფლებისთვის.

**დავით ბერძენიშვილი,** *პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

მე არ ვიცი, რეალურად რა მოხდა, მე შორს ვარ მაგ სამზარეულოსაგან, არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს სააკაშვილმა და კიწმარიშვილმა. ამიტომ, რაც არ ვიცი, იმაზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**ლევან ბერძენიშვილი,** *პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

ეს ამბავი მხოლოდ გუშინ გავიგე და ინფორმაცია არ მყოფნის, რომ გარკვეულ ტენდენციებზე ვისაუბრო. უფრო მგონია, რომ სააკაშვილსა და კიწმარიშვილს შორის კონფლიქტი მოხდა. იმის მიუხედავად, რომ ჟვანიას გული ნამდვილად არ დაწყდებოდა მოვლენების ამდაგვარი განვითარებით, მას მაინც არ ეყოფოდა იმის ძალა, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავიდან მოეცილებინა.

**ნიკო ლეკიშვილი,** *დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე:*

არ ვფლობ ამასთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას. სიმართლე გითხრათ, არც ვინტერესდები, რა ხდება.

**აკაკი ასათიანი,** *"ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე:*

რა კომენტარი უნდა გავუკეთო? არც კი მაინტერესებს, რა მოხდა და რატომ. სააკაშვილიც თუ გაჰყვება კიწმარიშვილს, კარგი იქნება. არანაირი სურვილი არ მაქვს, ეროსის ქმედებები ვაანალიზო. "რუსთავი 2" აღარ არის იმ როლის შემსრულებელი, რაც ადრე იყო; თუ ეროსი ამიტომ მიდის, სწორად იქცევა და თუ არა, ეს მისი საქმე და პრობლემებია.

**შალვა ნათელაშვილი,** *"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი:*

რა კომენტარი უნდა გავაკეთო? რევოლუცია სპობს თავის შვილებს, მით უმეტეს - ლიდერებს. მბრძანებლებს არ უყვართ ის ხალხი, ვინც ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა - ეროსი კიწმარიშვილის გარეშე რომ სააკაშვილი უბნის კოლორიტად დარჩებოდა, ზურაბ ჟვანია კი უმუშევრად, ფაქტია. მათ არავინ გაჰყვებოდა, რომ არ ყოფილიყო "რუსთავი 2" და არ ეყვირა "გვეყო ვარდნა!" და "კმარა!" ამჯერად ეროსი გადაურჩა დაჭერას, მაგრამ თუ მოუნდებათ, ამასაც გააკეთებენ. არ სურდათ მის წინაშე ყოფილიყვნენ ვალში. ამ მომყვანს ჰქონოდა ტელევიზია და შეძლებდა, იგივე გაეკეთებინა მათთვის, რაც თავის დროზე შევარდნაძეს გაუკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საკმაოდ აგრესიულად ვაკრიტიკებდი ეროსი კიწმარიშვილს, ახლა მეცოდება ის, რადგან არ დაუფასეს შრომა. ის, რომ ეროსი ჩემთვის მიუღებელია პოლიტიკურად, იმას არ ნიშნავს, რომ მათთვისაც ასე უნდა იყოს. მათ ხომ ბევრი სიკეთე გაუკეთა.

**გიგა ბოკერია,** *პარლამენტარი, უმრავლესობის წარმომადგენელი:*

იცით, ახლა ფეხბურთს ვუყურებ და იქნებ, მერე შემეკითხოთ. ბოდიში, მაგრამ საქართველოს ეროვნული ნაკრები თამაშობს...

## საზოგადოების აზრი

**დალი ბაქრაძე, ექიმი:** ეროსი კიწმარიშვილის მედიაბიზნესიდან წასვლა ძალიან ცუდია. მე ექიმი ვარ, მაგრამ ამჟამად ბიზნესით ვარ დაკავებული და კარგად ვიცი, თუ რა ძნელია აწყობილი ბიზნესისთვის თავის დანებება. თუმცა, რადგან ასე მოიქცა, ალბათ სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

**იური ბიწაძე, მეპურე:** ეროსი კიწმარიშვილი წავიდა? ეს ძალიან ცუდია. "რუსთავი 2" რომ არა, ვარდების რევოლუცია არ იქნებოდა.

**გია ზარიძე, იურისტი:** ვერ გეტყვით, კარგია ეს, თუ ცუდი, რადგან მე პიროვნულად მასთან არანაირი შეხება არ მქონია. ამის შეფასება, ალბათ, სხვა მფლობელის მოსვლის შემდეგ უკეთესად იქნება შესაძლებელი. იმედია, ის ეროსიზე კარგ ტელევიზიას შექმნის.

**ქეთი ღვაბერიძე, გეოგრაფ-გეოლოგი:** ამ საკითხში კარგად ვერ ვერკვევი. მაგრამ, ჩემი აზრით, ცუდია ეროსი კიწმარიშვილის წასვლა. იგი საკმაოდ კარგად უძღვებოდა ამ საქმეს. ბოლო ხანებში კი ბევრი რამ მოხდა; მის შესახებ უამრავი ინფორმაცია ვრცელდებოდა. ხან სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გადავიდა, შემდეგ იქიდანაც წამოვიდა და ამბობდნენ ნავთობის ბიზნესში გია ჭანტურიას ადგილზე მიდისო.

**მარინე კობიაშვილი, პედაგოგი:** რასაკვირველია, ცუდია. მართალია, გაზეთ "24 საათს" ყოველდღიურად ვერ ვადევნებ თვალყურს, მაგრამ "რუსთავი 2"-ის ერთგული მაყურებელი ვარ. კიწმარიშვილის გარეშე ხომ იმ პროცესებს ისეთი მიმდინარეობა არ ექნებოდა?

**ქეთინო დოლაბერიძე, მუსიკოსი:** ცუდია, რადგან ობიექტური ინფორმაცია იმ კრიტიკულ დღეებში რაც ხდებოდა, რევოლუციას ვგულისხმობ, ძირითადად ამ ტელევიზიით ვრცელდებოდა. მე, როგორც ვიცი, იგი სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გადავიდა. რატომ უნდა დაენებებინა ასეთი კარგი ტელევიზიისა და გაზეთისთვის თავი, არ ვიცი. ამას, ალბათ, პოლიტიკასთან აქვს კავშირი.

**შორენა კვარაცხელია, სპორტსმენი:** მედია-მაგნატობა ძალიან რთული საქმეა. ასეთი პიროვნებები, ძირითადად, პოლიტიკაში არიან ჩართული. ეროსიმ, ჩემი აზრით, ძალიან შეტოპა, რევოლუციის შემდეგ დიდ თანამდებობას ელოდებოდა, მაგრამ გაწბილებული დარჩა. მე არ ვიცი, აქვს თუ არა მას საერთოდ რაიმე სხვა ბიზნესი. არა მგონია, მხოლოდ მედიიდან შემოსული თანხები მისთვის საკმარისი ყოფილიყო. სწორედ ფინანსური მხარე მიმაჩნია მისი წასვლის მიზეზად.


# რეგულაქსი®

იგრძენით თავი მსუბუქად და კომფორტულად!

სალუქი ბრიკეტები და წვეთები
ხანმოკლე გამოყენებისთვის ყაბზობის დროს

**რეგულაქსი - ბუნებრივი კომპონენტებისგან შექმნილი ბრიკეტები**
1 ბრიკეტი შეიცავს: 710მგ სინამაქის ფოთლების ფხვნილს, 300მგ სინამაქის ნაყოფის ფხვნილს, ქლიავის მუსს, ლეღვის პასტას და სხვა დამხმარე საშუალებებს.

**რეგულაქსი - წვეთები**
1მლ ხსნარი (20წვეთი) შეიცავს: 7,5მგ ნატრიუმის პიკოსულფატ-მონოჰიდრატს და სხვა დამხმარე ინგრედიენტებს.

- რეგულაქსის მიღება რეკომენდებულია საღამოს, ძილის წინ. ეფექტი ვლინდება 8-10სთ-ის შემდეგ.
- ინდივიდუალურად სწორად შერჩეულ დოზას წარმოადგენს ის დოზა, რომელიც იწვევს რბილი განავლის ფორმირებას.
- საფაღარათო საშუალების მიღება შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 1-2 კვირას.

რეგულაქსი®
საფაღარათო
ბრიკეტები და წვეთები





## ნინია კაკაბაძის სვეტი

# მედიის სრულუფლებიანი მფლობელი

ვიდრე საქართველოში ნამდვილად საზოგადოებრივი ტელეარხი არ შეიქმნება, მანამდე თავისუფალ მედიაზე საუბარი ზედმეტია. აქამდე, კერძო ტელევიზიები მეტნაკლებად ყოველთვის გამოხატავდნენ რომელიმე კერძო ჯგუფის ინტერესებს. საზოგადოებრივი არხი დემოკრატიის ყველაზე უტყუარი ნიშანია მედიაში. საქართველოს მოსახლეობა ელოდება იმ უკვე პოპულარულ არხს, რომელსაც სათაური ნამდვილად შეეცვლება და მისი სახელწოდება იქნება საზოგადოებრივი ტელევიზია. მაგრამ, ვიდრე მას ძველი ხელმძღვანელი ჰყავს, კომკავშირული შემართებით, ვიდრე ხელისუფლებამაც პატარა ცვილებების გარდა პოსტრევოლუციურ საქართველოში ბევრი არაფერი შეცვალა და ვიდრე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მათ თავისუფალ სიტყვას წინ არაფერი უდგას, შემართება მაინც კომუნისტურ ეპოქას გვახსენებს, ვფიქრობ, ჩემი სკეპტიციზმი გამართლებულია. დღეს არაფერია რეალური, რასაც შეიძლება ჩვენი ოპტიმიზმი დავუკავშიროთ, გარდა საპარლამენტო დებატებისა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავალში ტელევიზია. ეს, მგონი, ყველამ ისედაც იცოდა, და დღევანდელ დღემდე საქართველოს ტელევიზიას ყველანაირი საშუალება ჰქონდა, სათაური თუ არა, შინაარსი და პათოსი შეეცვალა საკუთარი მაუწყებლობისთვის. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა და ამაზე საუბარი დღევანდელ დღეს უკვე გვიანია. ახლა რაც შეეხება სხვა ტელეარხებს. პირველ რიგში, ბუნებრივია, საზოგადოების მოთხოვნა უნდა იყოს, რომ შეიზღუდოს და შეწყდეს ოლიგარქთა და ნომენკლატურის მონოპოლია პრესაზე (რაც, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ჯერ კიდევ შესამჩნევია). აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ ახლანდელმა სახელმწიფო ტელევიზიამ, არამედ ყველა კერძო არხმა უნდა დაიწყოს ხალხის სამსახურში ჩადგომა და არა - ხელისუფლებისა. ყველა არხი უნდა იყოს საზოგადოებრივი.

რა ხდებოდა აქამდე? ყოველგვარი სუბიექტივიზმის გარეშე მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ტელეკომპანია "რუსთავი 2", გარკვეულ პერიოდებში მეტად თუ ნაკლებად, ობიექტური და მართალი ინფორმაციის ერთადერთი წყარო იყო. ასე იყო რევოლუციამდე. ამიტომაც ამ უკანასკნელთან ძალიან ბევრი სასიკეთო და მნიშვნელოვანი ცვლილებაა დაკავშირებული. პირველი არხი, ფარულად თუ ღიად, მაგრამ მისი მაყურებლისათვის ცხადად, იმ ხელისუფლებას ემსახურებოდა, რომელიც იმ დროს იყო. მას შემდეგ გაჩნდა რამდენიმე ტელეარხი, რომელთაც საკმაოდ ნელი ტემპით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აიდგეს ფეხი. ეს არხები ზოგიერთ შემთხვევაში, დემოკრატიული და თავისუფალი მაუწყებლობის ილუზიას ქმნიდნენ, მაგრამ ამ ილუზიამ მხოლოდ 23 ნოემბრამდე იარსება. რევოლუციის დროს აშკარა გახდა - მხოლოდ ერთი სიტყვით შემოვიფარგლები - ყველაფერი.

რა ხდება დღეს? დღეს ისევ ყველა დემოკრატობანას ვთამაშობთ და ყველა არხს ჩვენ-ჩვენი ფავორიტი გვყავს, რომელთაც ენის მოჩლექით ვიხსენიებთ. აი, მაგალითად: მაშინ, როდესაც მთელი კახეთი ფეხზე იდგა და ხალხს ყურძენი სახლებში ულპებოდა, ერთი არხი კმაყოფილი გამომეტყველებით და სიყვარულით მიამბობდა: "ცაქათელოს პლემიელ მინისტლი, კახეთში ჩავიდა და კურძენი დაკრიფა თავის პატალა ბასკუნტალებთან ერთად". ამ დროს მეორე (რიგით მეორე და არა "მე-2 არხი") მიამბობს: "დგეს საქათელოს პლეზიდენტთან ერთად ვანიკომ გურიაში, ოსეთში დაღუპული ერთ-ერთი ჯარისკაცის სახელობის საშუალო სკოლა გახსნა". ვანიკოს გამო რომ უამრავი მოხუცებული დაიღუპა შიმშილით, იმიტომ რომ ისინი გააკოტრეს და მოატყუეს, ამაზე ეს ტელეარხები იტყვიან - "მელე ლა". არის "რუსთავი 2", რომელიც ცდილობს, ყველა გამოააშკარაოს, მაგრამ ოდნავ, ენამოჩლექილი კი არა, ენადაბმულია.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თუკი რევოლუციამდე და რევოლუციის დროს "რუსთავი 2" თუნდაც შთაბეჭდილებას ქმნიდა იმისა, რომ ჩვენ - მისი მომხმარებლები, მაყურებლები ანუ მოსახლეობა ობიექტურად ვიღებდით ინფორმაციას ამა თუ იმ ჩვენთვის მტკივნეულ და საინტერესო საკითხზე, რევოლუციის შემდეგ ეს ტონი შემსუბუქდა. მაგრამ ყველანაირი შეფასება შედარებითია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი გაგებით აგრესიამ იკლო, არ შემიძლია, არ ვაღიარო, რომ "რუსთავი 2" მაინც ახერხებდა სხვადასხვა მეთოდებით, შეფარვით თუ ღიად (გარდა ერთი "პერსონა ნონ გრატას", რომელსაც ჩვენს ენაზე "პლეზიდენტი" ჰქვია), სხვადასხვა ოლიგარქი თუ ნომენკლატურის წარმომადგენელი ემხილებინა.

ტელეკომპანიის ახალ ხელმძღვანელს, რომელიც "ძველ კეთილ დროში" როგორც "ნაშთი ძველი დიდებისა", ჩვენი ნდობით სარგებლობდა, არ შემიძლია, წინასწარ ეჭვის თვალით შევხედო. საეჭვო ჩემთვის ზემოდან ნაკარნახევი თუ ნაბრძანები ულტიმატუმია. ყველაფერს, რაც "რუსთავი 2"-ის შესახებ ვთქვი, ბევრად განსაზღვრავდა ის მთავარი ფაქტი, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ხელმძღვანელი იყო. უკმაყოფილების გამოხატვას, სიმართლის თქმას - უფლება სჭირდება იმისათვის, რომ ეს შესრულდეს. და ამ უფლებას ეროსი კიწმარიშვილი იძლეოდა. პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ "რუსთავი 2" წლების მანძილზე ჩვენ გვემსახურებოდა და ისიც გვეგონა, რომ სანატრელ დრომდე მიგვიყვანა. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ვფიქრობ, ამას მხოლოდ ეს კონკრეტული ფაქტი არ ამტკიცებს. მე გარედან მაყურებელი ვარ და ჩემი დამოკიდებულება ამგვარია.

დაბოლოს... მგონი ძალიან სიმპტომატური იყო რუსი ჟურნალისტების საქართველოში ჩამობრძანება და მათი ასე ზარზეიმით დახვედრა, გამოვუყორეთ მუცლები, როგორც გვჩვევია, იმისათვის, რომ კარგმა გამძღრებმა უფრო დიდი შემართებით დაგვადანაშაულონ ხან ტერორიზმში, ხან იმპერიალიზმში და ხან ღმერთმა იცის, რაში. სწორედ მათი მეშვეობით (ჟურნალისტების) გვაქვს ასეთი "კარგი" სახელი ზოგადად მთელ რუსეთში და მათ დაქვემდებარებულ ქვეყნებში. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის მგონია, რომ საქართველო თუ ქართული მედიასივრცე პირდაპირ რუსული მედიისაკენ მიდის, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

მე პირადად ამის მეშინია და ამ საშიშროების რეალურ მიზეზებს ვხედავ. და მინდა, რომ ფხიზელი თვალი, არა მხოლოდ ერთეულებს, არამედ მთელ საზოგადოებას ჰქონდეს, რომელიც ყველა დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული არხის სრულუფლებიანი მფლობელია. ამიტომ, მოდუნება კარგია, მაგრამ ჯერ - ნაადრევი. ნუ მოვდუნდებით.

# ნავთობპროდუქტების იმპორტიორები ბენზინის ახალი სტანდარტის შემოღების გადავადებას ითხოვენ

*"ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირი" ხელისუფლებისგან ბენზინის ახალი სტანდარტის ამოქმედების 2006 წლამდე გადავადებას ითხოვს. ბენზინის ახალი სტანდარტის 2005 წლის პირველ იანვარს ძალაში შესვლის შემთხვევაში კავშირის ხელმძღვანელობა საწვავის ფასის 30 პროცენტით გაზრდას გარდაუვლად მიიჩნევს. ნავთობზე ფასის შენარჩუნების მიზნით, კავშირი კიდევ ერთ ფაქტორს, კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივების აუცილებლობას ასახელებს. კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება ნავთობპროდუქტების სეგმენტში არსებული კონტრაბანდა, რომელმაც 50 პროცენტს გადააჭარბა.*

სოფიკო ოხანაშვილი

ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის მნიშვნელოვანი წილი (დაახლოებით 80 პროცენტი) აზერბაიჯანზე მოდის. კავშირის ხელმძღვანელის ვანო მთვრალაშვილის განმარტებით კი, აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელი წარმოება, ჯერჯერობით, ვერ აკმაყოფილებს ახალი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ახალი სტანდარტის მომავალი წლის პირველ იანვარს ამოქმედების შემთხვევაში აზერბაიჯანიდან საწვავის შემოდინება შეწყდება და იმპორტიორებს საწვავის სხვა ბაზრიდან შემოტანა მოუწევთ. ეს კი, ნავთობის მინიმუმ 40 თეთრით გაძვირებას გამოიწვევს. "ნავთოპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის" პრეზიდენტის განცხადებით, კავშირმა წარმოების გადაიარაღების შესაძლო პერსპექტივებთან დაკავშირებით წერილობით უკვე მიმართა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას. **"ორი დღის წინ აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტის ნატიგ ალიევისგან მოვიდა საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის მხარე იღებს ვალდებულებას, გადააიარაღოს წარმოება და უკვე 2005 წლის მესამე კვარტლისთვის გამოუშვას ახალი ევროპული სტანდარტის შესაბამისი ბენზინი,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მთვრალაშვილმა. აქედან გამომდინარე, ალტერნატიული გზების (ეს ძირითადად ევროპის ქვეყნები იქნება) მოძიების თავიდან ასაცილებლად (რაც ბენზინზე ფასების მინიმუმ 40 თეთრით ზრდას გამოიწვევს), ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხარებელთა კავშირი მთავრობისგან ამ სტანდარტის შემოღების თარიღის ერთი წლით გადავადებას მოითხოვს. კავშირის მოთხოვნას მხარი დაუჭირა შეხვედრაზე საგანგებოდ მოწვეულმა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრმა გიორგი გაჩეჩილაძემაც, რომელიც შეკრებილ იმპორტიორებს დაჰპირდა, რომ საბჭოში ამ საკითხს ლობირებას გაუწევს და ეცდება, დაარწმუნოს კოლეგები ახალი სტანდარტის ერთი წლით გადავადების აუცილებლობაში.

ცნობისთვის, "საქსტანდარტის" 2003 წლის 12 სექტემბრის ბრძანების თანახმად, ბენზინის ახალი ევროპული სტანდარტი, რომელიც 2005 წლის პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, შემდეგ მონაცემებს ითვალისწინებს: ბენზინში ბენზოლის დასაშვები ნორმის ზედა ზღვარი მოქმედი 5 პროცენტის ნაცვლად, 1 პროცენტამდე, ხოლო არომატული ნახშირწყალბადების ზედა ზღვარი 45 პროცენტიდან 42 პროცენტამდე შემცირდება. შეგახსენებთ, რომ ბენზინის დღეს მოქმედი სტანდარტი 2000 წლიდან მოქმედებს. ეს იყო პირველი ეროვნული სტანდარტი, რომელმაც საბჭოთა კავშირის სტანდარტი ჩაანაცვლა.

შეხვედრას იმპორტიორებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც "24 საათთან" საუბარში განაცხადეს, რომ ისინი არა მარტო ეთანხმებიან შეხვედრაზე გამოთქმულ შენიშვნებს, არამედ, ეს მათი პირადი პრობლემებია. იმპორტიორები განსაკუთრებით საბაჟო პროცედურების რთულ სისტემას უჩივიან. **"ტვირთის შემოსატანად, დაახლოებით, 30 თანამშრომელთან გვიწევს სირბილი. ამას ემატება დოკუმენტაციის გარდაბანში წაღებაც, რაც დროსთან და კიდევ სხვა მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული,"** - ასეთია იმპორტიორთა პოზიცია.

"ნავთოპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის" ინფორმაციით, კვლავ სერიოზულ მასშტაბებს აღწევს ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა. **"საბაჟოს მიერ დეკლარირებული იმპორტირებული საწვავის მიმდინარე წლის სექტემბრის მაჩვენებელი - 27 ათას 792 ტონა საგრძნობლად დაბალია აგვისტოს მაჩვენებლებთან შედარებით (33 ათას 249 ტონა). ასევე ძალიან დაბალია იმპორტირებული დიზელის მაჩვენებელიც - 19 ათას 251 ტონა და ეს იმ ფონზე, როცა დაწყებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და ზაფხულთან შედარებით ავტოპარკიც მნიშვნელოვნად გაზრდილია. ეს რიცხვები კი ნათლად მეტყველებს თითქოს დროებით შეჩერებული კონტრაბანდის კვლავ გააქტიურებაზე,"** - ვკითხულობთ სპეციალურად ჟურნალისტებისათვის მომზადებულ ინფორმაციაში.

# საბიუჯეტო "განკითხვის დღე" პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

*2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესით პარლამენტარები უკმაყოფილონი არიან. ნიკო ლეკიშვილის თქმით, მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში ზერელედ მიმდინარეობს, რაშიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე მთავრობას ადანაშაულებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*ნიკო ლეკიშვილის თქმით, მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში ზერელედ მიმდინარეობს, რაშიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჭდომარე მთავრობას ადანაშაულებს.*

**"აღმასრულებელი ხელისუფლების ლამის მთელი შემადგენლობა მივლინებაშია და საკომიტეტო მოსმენებზე მინისტრებთან შეხვედრა ვერ ხერხდება. როდესაც ქვეყნის პირველი პირი საზღვარგარეთ მიემგზავრება, მინისტრებმა მივლინებები გვერდზე უნდა გადადონ. მით უმეტეს, ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს,"** - ლეკიშვილის გარდა, ასეთ საყვედურს სხვა დეპუტატებიც გამოთქვამენ და არცთუ უსაფუძვლოდ: ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ მსჯელობა პარლამენტში უკვე ერთი კვირაა, მიმდინარეობს, მაგრამ სამინისტროთა პირველი პირები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დღემდე არ გამოჩენილან.

მთავრობის ვარაუდი, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრების წინა პლანზე წამოწევით, კანონპროექტის ნაკლოვან მხარეებზე პარლამენტარები თვალს დახუჭავენ, როგორც ჩანს, არ მართლდება. იმავე ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა მისასალმებელია, მაგრამ კანონპროექტში ბევრი რამ ძალზე ბუნდოვანია. კერძოდ, არეულია სახელფასო და პრემიალური სისტემა.

**"აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის გათვალისწინებული ათჯერადი პრემიალური სისტემა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს,"** - ზოგიერთი სამთავრობო სტრუქტურის ხელმძღვანელის მადით გაოცებულია დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მომავალ წელს პრიორიტეტულად არის გამოცხადებული სამი მიმართულება: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მართლწესრიგის განმტკიცება; უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და წინა წლებში დაგროვილი სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვა. სხვა დანარჩენ სფეროებში დაფინანსების ზრდა არ მოხდება და ნამატი თანხა მთლიანად ზემოთდასახელებულ პრიორიტეტებზე გადანაწილდება. ასეთ პირობებში დეპუტატთა განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (სულ 323 კაცი) ხარჯები 3 მილიონი ლარით იზრდება და 23 მილიონამდე ადის.

**"ყველა პარლამენტარების დიდ ხელფასებზე საუბრობს და ამ დროს, ფინანსთა სამინისტროს რიგით თანამშრომლებს ჩვენზე გაცილებით მაღალი ანაზღაურება აქვთ,"** - რამდენჯერმე აღინიშნა გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს. ნიკო ლეკიშვილის თქმით, დაუშვებელია დღეს არსებული რანგირების შენარჩუნება, როდესაც დაბალი რანგის მოხელე სხვა სისტემაში მომუშავე უფრო მაღალი თანამდებობის პირზე მეტ ხელფასს იღებს.

პარლამენტარ ვაჟა კილაძის აზრით, ბევრი გაუგებრობაა საბიუჯეტო სახსრების განაწილებაშიც. იგი" სისულელეს" უწოდებს იმას, რომ 15-20 ათასი ლარით არის დაფინანსებული კოსმოსური კვლევები, 5 ათასი ლარით - სწავლულთა საბჭო და ა.შ.

**"პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთ-ერთ პრიორიტეტად საავტომობილო გზების რეაბილიტაციაც გამოაცხადა, მაგრამ ამ მიზნით გამოყოფილი თანხები, წლევანდელთან შედარებით, 20 მილიონი ლარით არის შემცირებული,"** - ბიუჯეტის პროექტით უკმაყოფილებას შოთა გვენეტაძეც გამოთქვამს.

იმ გარემოებამ, რომ საგარეო პოლიტიკური უწყება პრიორიტეტულ მიმართულებებში ვერ მოხვდა, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელობა ძალიან გაანაწყენა.

**"გამოდის, რომ მხოლოდ გაჭირვებულ ფენებს უნდა მივხედოთ და საგარეო ურთიერთობები დავივიწყოთ? განა შეიძლება მებაღე და დესპანი ერთნაირ ხელფასს იღებდნენ?"** - ბიუჯეტის პროექტის გაცნობის შემდეგ კითხვები მრავლად დაუგროვდა კოტე გაბაშვილს. თუმცა, მისი პრეტენზიები, საბიუჯეტო სახსრების სიმწირეზე მეტად, საგარეო უწყების შიგნით ამ თანხების არარაციონალური გადანაწილებით არის გამოწვეული.

**"მიუღებელია, რომ წესად იქცა ერთი საელჩოს მეშვეობით რამდენიმე სახელმწიფოს "გადაფარვა". კიდევ უფრო დაუშვებელია ე.წ "მფრინავი ელჩების" ინსტიტუტი, როდესაც ჩვენი ქვეყნის ელჩი აქ, თბილისში ზის და ინტერნეტში შეგროვილი ინფორმაციით პრეს-რელიზებს უშვებს,"** - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიეტეტის თავმჯდომარე. მისი აზრით, გაცილებით მეტ ეფექტს მოიტანს ადგილზე თუნდაც ორკაციანი საელჩოს ფუნქციონირება, ვიდრე "გადაფარვის" მეთოდის გამოყენება ან ელჩის ფუნქციების თბილისიდან განხორციელება.

მიუხედავად უამრავი პრეტენზიისა, რომელიც მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მისამართით პარლამენტში გამოითქმება, მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა უკან არ დაიხევს და მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში არსებითი ცვლილებების შეტანაზე არ დათანხმდება.

# მებაჟეებს კერძო კომპანიის საჩივრის საფუძველზე ათავისუფლებენ

*საბაჟო-გამშვები პუნქტის "გარდაბნის" უფროსს ზაალ გალდავაძეს თანამდებობიდან ათავისუფლებენ. მიზეზი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებელი კომპანიის ქვეკონტრაქტორი ფირმის "სნსკ-ტერმინალის" საჩივარი გახდა, სადაც კომპანიის დირექტორი დავით ოქრუაშვილი მებაჟეების გულგრილობით გამოწვეულ მტერიალურ ზარალზე საუბრობს.*

მარიამ ჭაჭვაძე

"სნსკ-ტერმინალი" უკვე რამდენიმე წელია, შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე დიზელის საწვავით ამრაგებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის სატუმბო სადგურებს. საჭირო საწვავი კომპანიას ქვეყანაში გარდაბნის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით შემოაქვს, სადაც "სნსკ-ტერმინალის" დირექტორის დავით ოქრუაშვილის თქმით, მის ფირმას ამ ბოლო დროს სერიოზული დაბრკოლებები ხვდება.

მისი შეფასებით, ეს ბარიერები მებაჟეების მხრიდან ხელოვნურად იქმნება, რაც მის კომპანიას ათასობით ლარით აზარალებს. კერძოდ, ხდება კომპანიის ვაგონცისტერნების გარდაბანში რამდენიმე დღით შეჩერება. ფირმის დირექტორი ამბობს, რომ მსგავსმა შეფერხებებმა, შესაძლოა, მომავალში ნავთობსადენის მშენებლობის შეჩერება გამოიწვიოს, რის გამოც "სნსკ-ტერმინალს" დაძაბულ რეჟიმში უწევს მუშაობა. **"ნავთობსადენის მშენებლობიდან გამომდინარე, დაუშვებელია დიზელის საწვავის მიწოდების შეფერხება. ჩვენ მიერ არაერთმა თხოვნამ, საბაჟოს თანამშრომლებს არ მოეხდინათ უმიზეზოდ ვაგონცისტერნების შეჩერება, შედეგი ვერ გამოიღო,"** - ნათქვამია ოქრუაშვილის მიერ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯომარის გიორგი გოდაბრელიძისთვის გაგზავნილ სპეციალურ წერილში.

საწვავის ერთ-ერთი ბოლო პარტია, რომელიც "სნსკ-ტერმინალმა" ქვეყანაში შემოიტანა, 23 სექტემბერს იყო. ამჯერად გარდაბნის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ტვირთის დაკავება 28 სექტემბრამდე გაგრძელდა. მიზეზად მებაჟეებმა სპეციალური საბაჟო სატვირთო დეკლარაციის ორიგინალის არარსებობა დაასახელეს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგაც კი, საწვავის ხსენებულ პარტიას, რომლის მოცულობა ამჯერად 2188 ტონას აღწევდა, საბაჟო-გამშვებ პუნქტზე დგომა რამდენიმე დღეს კიდევ მოუწია. გარდაბნის რკინიგზის სადგურში ტვირთების შეჩერებით გამოწვეულმა ზარალმა, მოცდენის ღირებულების სახით, "სნსკ-ტერმინალის" დათვლით 7434 ლარი შეადგინა.

გუშინ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ გარდაბნის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ზაალ გალდავაძე და ცვლის ოთხი უფროსი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა ჯერჯერობით მაინც უცნობია, ვინ აუნაზღაურებს კერძო კომპანიას მიყენებულ ზარალს.


## ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**15 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბალანჩივაძის, იოსელიანის, დოლიძის, ჩაილურის, ბაკურიანის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**15 ოქტომბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), კოჯრის გზატკეცილის, დადიანის, ტაბიძის, ასათიანის, მაჩაბელის, სოლოლაკის ხევის, ვაჩნაძის, მანჯგალაძის, გუდიაშვილის, ჯორჯაძის, ფურცელაძის, შავთელის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, ნაკაშიძის, იეთიმ გურჯის, აკოფიანის, ვერცხლის, ავლევის, ქიქოძის, ლერმონტოვის, ამაღლების, ლეონიძის, იაშვილის, დიუმას, პუშკინის, ანტონ კათალიკოსის, კუფტინის, აბესაძის, ხოდაშენის, თუმანიანის, ცინცაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

2004 წლის 12 ოქტომბერი, თბილისი

## პრესრელიზი

**„საქართველოს ბანკი" აცხადებს 512,248 სახაზინო აქციის „ფაიარბირდ ავრორა ფონდისთვის" („Firebird Avrora Fund") მიყიდვის შესახებ**

საქართველოს წამყვანმა კომერციულმა ბანკმა,სს „საქართველოს ბანკმა" („ბანკი"),დღეს 512,248 სახაზინო აქციის „ფაიარბირდ ავრორა ფონდისთვის" მიყიდვის შესახებ განაცხადა. გაყიდვა განხორციელდა დღეს საქართველოს საფონდო ბირჟაზე,სადაც „საქართველოს ბანკის" აქციები ყველაზე ლიკვიდურია და იგი ლისტინგში დაშვებული ერთადერთი ბანკია. თითო აქცია 6.0 ლარად გაიყიდა. 2004 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ბანკის ერთი აქციის საბალანსო ღირებულება 5.72 ლარს გაუტოლდა. აღნიშნული გარიგების შედეგად ბანკის სააქციო კაპიტალი 53.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

„მე მივესალმები „საქართველოს ბანკის" თითოეულ ახალ ინსტიტუციონალურ აქციონერს, რადგან აქციონერთა ბაზის განახლება ბანკის სახელს კიდევ ერთხელ გააჟღერებს საერთაშორისო ასპარეზზე. მე კმაყოფილი ვარ „გალტ & თაგგარტ სიქიურითისა" და „საქართველოს ბანკში" ახლად შექმნილი ინვესტორებთან ურთიერთობების სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოთი არსებულ და პოტენციურ აქციონერებთან", განაცხადა „საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

„საქართველოს ეროვნული ბანკი მოხარულია იმით,რომ მისი მუშაობა მარეგულირებელ საკითხებზე შედეგს იღებს და უცხოელმა ინვესტორებმა საქართველოს საბანკო სექტორი მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობად მიიჩნიეს", განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის დირექტორმა, **მურთაზ კიკორიამ**.

საქართველოს ბანკის" შესახებ

საქართველოს ბანკი" ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. მისი საბაზრო წილი სესხებში დაახლოებით 19.4%, ხოლო დეპოზიტებში 17.2%-ს შეადგენს. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო (კომპანია „გალტ & თაგგარტ სიქიურითის" მეშვეობით, რომელშიც „საქართველოს ბანკს" მნიშვნელოვანი სააქციო წილი აქვს) საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. 2004 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივების მოცულობა 279.2 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2003 წელს ბანკის წმინდა მოგებამ 9.2 მილიონი ლარი შეადგინა.

„ფაიარბირდ ავრორა ფონდისა" და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფაიარბირდ მენეჯმენტის" შესახებ

„ფაიარბირდ ავრორა ფონდი" პორტფელური საინვესტიციო ფონდია, რომელიც ინვესტიციებს აწარმოებს როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ისე აღმოსავლეთ ევროპაში. „ფაიარბირდ ავრორა ფონდი" ექვსიდან ერთ-ერთი ფონდია, რომელსაც „ფაიარბირდ მენეჯმენტი" მართავს. „ფაიარბირდ მენეჯმენტი" პორტფელური საინვესტიციო ფონდის მმართველია, რომლის საინვესტიციო პორტფელი დაახლოებით 700 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. იგი ახორციელებს ინვესტიციებს რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. „ფაიარბირდ მენეჯმენტს" დსთ-ის ქვეყნების ფინანსურ ინსტიტუტებში ინვესტირების ფართო გამოცდილება აქვს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

| | | |
|---|---|---|
| **ლადო გურგენიძე, გენერალური დირექტორი** | **+995 32 444 103** | **lgurgenidze@bog.ge** |
| **მაკა ეკიზაშვილი, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი** | **+995 32 444 256** | **ir@bog.ge** |
| იხილეთ ჩვენი ინტერნეტ გვერდი: | **www.bog.ge/ir** | |

ეს პრეს რელიზი მხოლოდ ზოგადი მიზნებისთვის არის განსაზღვრული და არ უნდა იქნას გამოყენებული რაიმე სახის ფასიანი ქაღალდის ყიდვის ან გაყიდვის შეთავაზების მიზნით. ამ პრეს რელიზში გაკეთებული ზოგიერთი განაცხადი სამომავლო ანგარიშებსა და მენეჯმენტის მოლოდინს ეფუძნება და გარკვეული გარემო პირობების გამო შეიძლება შეიცვალოს. მრავალი ფაქტორის გამო ამ პრეს რელიზში მოყვანილი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისაგან

# ნატო რეფორმებზე მსჯელობას განაგრძობს

### აშშ კი ნატო-ელ პარტნიორებზე ზეწოლას ცდილობს

ნატო-ს 26 წევრი ქვეყნის თავდაცვის მინისტრები 13-14 ოქტომბერს რუმინეთში, პოიანა ბრასოვში არაოფიციალურ შეხვედრას მართავენ. მართალია, ტრადიციულად, ასეთ შეხვედრებს მკაფიოდ განსაზღვრული დღის წესრიგი არ გააჩნია, და არც ოფიციალურ გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ ამგვარი შეხვედრები იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კოლეგა მინისტრებს ალიანსის პრობლემურ საკითხებზე თავისუფლად მსჯელობის უფრო მეტი საშუალება აქვთ. გუშინ დაწყებული შეხვედრის კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ფაქტი ის იყო, რომ იგი პირველად ტარდება ალიანსში ახლად მიღებული ქვეყნის ტერიტორიაზე.

შეხვედრის თემად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ორგანიზაციის ტრანსფორმაცია, ოპერაციები, ნატო-რუსეთის თანამშრომლობა განიხილება. კერძოდ, მინისტრები განიხილავენ ორგანიზაციაში მიმდინარე რეფორმებს, რომელთა მიზანიც ნატო-ს შესაძლებლობების გაზრდაა - როცა საჭირო გახდება, ყველგან იმოქმედოს.

გუშინ გაიმართა შეხვედრა ორმხრივი ფორმატით, სადაც ერთ მხარეს აშშ, ხოლო მეორეს - ორგანიზაციის დანარჩენი წევრები წარმოადგენდნენ. დონალდ რამსფელდმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ნატო-ელ მოკავშირეებს მოუწოდა, მეტი პასუხისმგებლობა აიღონ ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციაზე და ქვეყნის აღდგენაშიც შეიტანონ ქმედითი წვლილი. ამერიკის დელეგაციამ კონკრეტული წინადადება წამოაყენა: ამჟამად ავღანეთში ნატო-სა და აშშ-ს ცალ-ცალკე მოქმედი მისიების ბაზაზე ერთიანი, ალიანსის საერთო ხელმძღვანელობით მოქმედი ძლიერი მისიის შექმნის შესახებ.

დღეისათვის ავღანეთში 9 ათასი უცხოელი მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი იმყოფება. ამავდროულად, 18 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ალ-ქაიდასა და თალიბანის მოძრაობის წევრებზე "ნადირობას" აწარმოებს.

შეხვედრის წინ ნატო-ში აშშ-ს ელჩმა, ნიკოლას ბარნსმა დაადასტურა ინფორმაცია ავღანეთში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. "რასაკვირველია, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ ნატო-სა და ოპერაცია "დაუმარცხებელი თავისუფლების" ძალისხმევის გაერთიანებას, - ამბობს იგი, - ეს შეიძლება 2005 წელს მოხდეს, თუმცა შესაძლოა, მომდევნო წლისთვის გადაიდოს. დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები". ელჩმა არც ის უარყო, რომ ძალიან რთული იქნება ამ ორი სამხედრო მისიის გაერთიანება.




*ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია ერაყის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, თუმცა აშშ-ს ინიციატივით ჩამოყალიბებულ კოალიციაში ნატო-ს წევრი სახელმწიფოებიდან ბევრია წარმოდგენილი.*

ავღანეთში გამართული პირველი დემოკრატიული არჩევნების წინ ნატო-მ თავისი კონტინგენტი 6,5-დან 9 ათასამდე გაზარდა, თუმცა, აშშ მაინც აკრიტიკებს ორგანიზაციას ავღანეთში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გაგზავნის შეყოვნების გამო.

ამას გარდა, რუმინეთში ნატო-ელი მოკავშირეების მისამართით აშშ-ს მხრიდან კიდევ ერთი, ამჯერად ერაყის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ძალების ფორმირებაში თანადგომის მოწოდება გაისმა. პენტაგონს იმედი აქვს, რომ ალიანსი გასულ კვირას გაკეთებულ დანაპირებს შეასრულებს და ერაყში ახალი უსაფრთხოების ძალების არჩევნებამდე, მოსამზადებლად სამხედრო ინსტრუქტორებსა და აღჭურვილობას გაგზავნის. არჩევნები 2005 წლის იანვარშია დანიშნული და ამ დროისთვის უნდა დასრულდეს ერაყის ახალი უსაფრთხოების ძალების დაკომპლექტება. შეგახსენებთ, თავად ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია ერაყის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, თუმცა აშშ-ს ინიციატივით ჩამოყალიბებულ კოალიციაში ნატო-ს წევრი სახელმწიფოებიდან ბევრია წარმოდგენილი. კოალიციაში შემავალ სახელმწიფოთა სამხედროების გარდა, აგვისტოდან ბაღდადში 40 ნატო-ელი სამხედრო ინსტრუქტორი იმყოფება.

დღეს პოიანა ბრასოვში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. არაოფიციალურ ვითარებაში ერთმანეთს შეხვდებიან ალიანსის წევრ-სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები და რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. საუბრის ძირითადი თემა აუცილებლად საერთაშორისო ტერორიზმი და მასთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავება იქნება. ნატო-ს ოფიციალური წყაროს ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრები მსოფლიოში შექმნილ საერთო ვითარებაზეც იმსჯელებენ.

# დიპლომატიური სიფრთხილე და მოურიდებელი კრიტიკა

*რუსულმა ანალიტიკურმა სააგენტომ "გაზეტა.რუ" გუშინ "ონლაინ" ინტერვიუს გაუკეთა ორგანიზება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებსა და ევროპის უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტთან, ამერიკელ დიპლომატ ალექსანდრ ვერშბოუსთან, რომელიც 2001 წლიდან სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩია რუსეთის ფედერაციაში. გთავაზობთ ამერიკელი დიპლომატის შეფასებებსა და დამოკიდებულებას მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.*

ხათუნა გაბიევი

აშშ-ს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში დასმულ კითხვებს მოზომილად, მაგრამ მაინც გულწრფელად უპასუხა. დიპლომატიური ეტიკეტის მიუხედავად, იგი რიგ შემთხვევებში კრიტიკასაც არ მოერიდა.

### აშშ-სა და რუსეთის საგარეოპოლიტიკური კურსების მსგავსება და განსხვავება

მსოფლიოს ზესახელმწიფოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში მიიჩნევს, რომ რუსეთსა და აშშ-ს საგარეოპოლიტიკურ ხედვას ერთი მეორისაგან ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემის გადაჭრისა და დემოკრატიის განვითარების გზებისადმი განსხვავებული მიდგომები განაპირობებს. აზრთა სხვადასხვაობა კი მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა, თორემ სტრატეგიული მიზანი ორივე სახელმწიფოს საერთო აქვს. **"ძლიერი და სტაბილური რუსეთით ჩვენი დაინტერესება, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოში მისი გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობითა და სიდიდითაა განპირობებული,"** - აღნიშნავს ვერშბოუ. რუსეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს სტაბილურობა უკვე კარგ წინაპირობას ქმნის რეგიონული სტაბილურობისათვის. გარდა ამისა, რუსეთს გააჩნია უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები, რომ აღარაფერი ვთქვათ ახლო აღმოსავლეთზე პოლიტიკური გავლენის ხარისხზე. რუსეთის დემოკრატიულობაში აშშ-ს ინტერესი ამერიკელმა დიპლომატმა ცნობილი "დემოკრატიული მშვიდობის თეორიის" გამოყენებით განსაზღვრა: **დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთში არ ომობენ**. უკანასკნელ წლებში განცდილი პოლიტიკური ევოლუცია კი პრობლემის ერთნაირად აღქმის რეალურობას აღარ გამორიცხავს, რის მაგალითადაც ვერშბოუმ ერაყის საკითხთან დაკავშირებით აშშ-რუსეთის ხედვათა დაახლოება მოიყვანა. ირანში ბირთვული იარაღის წარმოებასთან დაკავშირებით კი აშშ-სა და რუსეთის პოზიციების თანხვედრა არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბუშერში ატომურ ენერგოსადგურს აშშ სამხედრო ობიექტად არ განიხილავს, მაინც ამჯობინებს, თუკი რუსეთი საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას შეასრულებს და გადამუშავებულ ბირთვულ ნარჩენებს ირანში არ დატოვებს, რათა იგი არ იქნეს გამოყენებული ბირთვული იარაღის საწარმოებლად. თუმცა, ეს არაფერია ურანის გამდიდრების ირანის პროგრამასთან შედარებით. ერთი სიტყვით, ირანის გადასარწმუნებლად რუსეთი უფრო დიალოგისა და თაფლაკვერის პოლიტიკას ამჯობინებს, მაშინ როცა აშშ ხისტი პოლიტიკის გატარების, კერძოდ, სანქციების დაწესების მომხრეა. თუმცა, გაცილებით ღრმაა აზრთა სხვადასხვაობა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ. ამერიკელმა ელჩმა არ დაფარა შეშფოთება ბელორუსში მიმდინარე პროცესების გამო. **"რეფერენდუმისა და ახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ბელორუსი ევროპაში "შავ ხვრელად" გარდაიქმნება,"** - აღნიშნა ვერშბოუმ. რაც შეეხება უკრაინის არჩევნებს, ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ აშშ დაინტერესებულია მხოლოდ ამ ქვეყნის ძლიერ ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში და არანაირად არ ერევა მის საშინაო საქმეებში, მით უფრო არ გააჩნია არავითარი სცენარი თუ სქემა უკრაინისათვის. ამერიკელთა აზრით, ისეთ რეგიონებში, როგორიც დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია, სტატუს კვოს შენარჩუნების მცდელობა არა მხოლოდ სუსტი ვარიანტია, არამედ შეუძლებელიცაა. **"ჩვენი აზრით, აუცილებელია ორივე მხარის დახმარება, განსაკუთრებით კი სეპარატისტულ რეჟიმებზე ზეწოლა, რაც მათ საქართველოსა და მოლდოვასთან რეინტეგრაციას აიძულებს,"** - აღნიშნა ალექსანდრ ვერშბოუმ. აშშ-ს მიერ საქართველოსთვის ფინანსური, პოლიტიკური თუ სამხედრო დახმარების აღმოჩენით რუსეთის შეშფოთებას კი ნამდვილად უსაფუძვლოდ მიიჩნევს დიპლომატი, რადგან ეს მხარდაჭერა მხოლოდ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლაში ხელშეწყობისკენაა მიმართული. **"ჩვენ არ ვაპირებთ საქართველოში სამხედრო ბაზების შექმნას, რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ბაზებს, უდავოა, რომ ისინი გაყვანილ უნდა იქნენ ამ ტერიტორიიდან,"** - აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა და რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდა, შეესრულებინა 1999 წელს სტამბულში მიღებული ვალდებულებები. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა მხოლოდ საქართველო-აშშ-ს ინტერესებში არ შედიოდა, ეს ხელს აძლევდა რუსეთსაც, რადგან სამომავლო პერსპექტივაში ამ პროგრამის შედეგი რეგიონული სტაბილურობის მიღწევა და გამყარება იყო, მიიჩნევს ალექსანდრ ვერშბოუ.

### რუსეთში მასმედიის მდგომარეობა

კრიტიკული იყო აშშ-ს ელჩის შეფასებები რუსეთში ამ ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ირიბად, მაგრამ გასაგებად მიანიშნა ვერშბოუმ იმ სახიფათო ტენდენციებზე, რაც რუსეთში დარჩენილ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ემუქრება. **"ვიმედოვნებთ, რომ დემოკრატიული რეფორმების გატარება არ გამოიწვევს იმავე დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებას, რაც ტერორისტთა მოქმედების მიზანსაც შეადგენს,"** - განაცხადა ვერშბოუმ და იქვე დასძინა, რომ აშშ ვერ გადაარჩენს დემოკრატიას რუსეთში, რადგან ეს თავად რუსების გასაკეთებელი საქმეა. აშშ-მ უკვე არაერთხელ გამოხატა თავისი შეშფოთება რუსეთში თავისუფალი სიტყვის დევნის გამო. შეშფოთების საფუძველს კი ნამდვილად იძლევა დამოუკიდებელი ტელევიზიების გაქრობა თუ ფედერალური სახელმწიფო არხების მიერ ამა თუ იმ მოვლენის სუბიექტურად გაშუქება. თავისუფალი სიტყვა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის პოზიციებს ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებებში, თუმცა სახიფათო ტენდენციები აქაც შეიმჩნევა, რიგ რედაქტორებზე ზეწოლისა თუ თვითცენზურის სახით. მაგრამ იმ ჟურნალისტთა მკვლელობები, რომლებიც ჩინოვნიკთა კორუმპირებულობასა თუ რიგ ბიზნესმენთა "საქმოსნობას" იძიებდნენ, უკვე იმდენად თვალშისაცემი სამხილია ხელისუფლების მხრიდან ობიექტურობის დევნისა, რომ თვალის დახუჭვა არა და არ ეგების.

### ტერორიზმის გამო რუსეთისა და აშშ-ს გამკაცრებული საგარეო პოლიტიკა

მსოფლიოს ახალი გამოწვევის, ტერორიზმის საფრთხის შემცირების მიზნით აშშ-ში უშიშროების სამინისტროს შექმნის სტალინის დროინდელი "კგბ"-სთვის შედარება ვერშბოუს გადაჭარბებულად მიაჩნია. გამართლებულია ყველა პრევენტიული ზომის მიღება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ ეს აუცილებლად სახალხო კონსენსუსის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. სრული ტრანსპარენტულობა, გამჭვირვალობა კი აუცილებელი პირობაა საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა. ეს უკანასკნელი კი ტერორიზმთან ბრძოლაში უმთავრესი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, მნიშინელოვანია ფართო საზოგადოებისთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს ტერორისტებმა თავიანთი მზაკვრული გეგმების განხორციელება. აშშ-ში სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ნდობისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის მაგალითი იყო 11 სექტემბრის ტერაქტის საგამოძიებო კომისიის მასალების გამოქვეყნება. **"ჩვენი გამოცდილება ამტკიცებს, რომ კომისიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის დაზვერვის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნება, შესაძლოა, არც ხდებოდეს წყაროს გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება, იცნობდეს მაქსიმალურად დიდი რაოდენობის დეტალებს, რაც წარდგენილ დასკვნას სანდოს და სარწმუნოს გახდის,"** - აღნიშნა ვერშბოუმ. მან იმედი გამოთქვა, რომ იგივე მოდელი იქნება გამოყენებული რუსეთშიც, ანუ დაცული იქნება წონასწორობა ხალხის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და საიდუმლო ინფორმაციის (რომლის გამჟღავნება ტერორისტებს ახალი ტერაქტის განხორციელების საშუალებას მისცემს) დაფარვას შორის. რაც შეეხება ჩეჩნეთის საკითხს, მას პოლიტიკური გადაწყვეტა სჭირდება, მაგრამ პოლიტიკური პროცესი ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ გულისხმობს. **"ტერორისტებთან შეუძლებელია მოლაპარაკება,"** - დაამატა ვერშბოუმ.



# ან დაქვითული ხელფასები, ან კეთილსინდისიერი დასწრება

*შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი საკრებულოს სხდომაზე უკვე მეორედ არ მივიდა. ოქრუაშვილს საკრებულოს მომავალ სხდომაზე ელიან; გუშინდელ სხდომაზე კი საკრებულოს წევრებმა მათ მიერვე დანიშნული საკუთარი ხელფასების დაქვითვის მექანიზმი შეიმუშავეს. როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება საკრებულოში პარლამენტარების კრიტიკის შემდეგ მიიღეს. საკრებულოს წევრები 1050 ლარს იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი საკრებულოსა და კომისიის არც ერთ სხდომას არ გააცდენენ. მათ აქვე განსაზღვრეს საკრებულოს რეგლამენტიც. ამიერიდან საკრებულოს კომისიების სხდომა თვეში ოთხჯერ, საკრებულოს სხდომა კი თვეში ორჯერ გაიმართება.*

თამარ დვალი

**"მინდა, განვაცხადო, რომ საკრებულოში ხელფასები არ გაზრდილა. თუკი საკრებულოს წევრები სხდომებს არ დაესწრებიან, არაფერსაც არ მიიღებენ. საკრებულოს ერთი სხდომის გაცდენაზე მათ 250 ლარი დაექვითებათ. ხომ ხედავთ, დღეს აბსოლუტურად ყველა დეპუტატი "კაცურად" ზის დარბაზში. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ხელფასის დაკარგვა არ უნდათ. ამ ექსპერიმენტის შედეგად თბილისის საკრებულო მოქმედ ორგანოს მიიღებს და მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, ამას ხელი უნდა შევუწყო,"** - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოში მიხეილ სააკაშვილის თავმჯდომარეობის დროს საკრებულოს წევრებს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების სარგო თანხა 425 ლარი დაენიშნათ, რომელიც ამჟამად 1050 ლარამდეა გაზრდილი. 1050 ლარიდან 500-500 ლარი მათ საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე დასწრებისათვის ეკუთვნით, 50 ლარი კი - ფრაქციაში მოღვაწეობისათვის. თუკი დეპუტატები არც ერთ სხდომას არ დაესწრებიან, 50 ლარზე მეტს ვერ მიიღებენ. ოფიციალური ხელფასი საკრებულოში მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს ეკუთვნით.

საკრებულოს უმრავლესობის ინიციატივას ფრაქცია "მემარჯვენეების" ლიდერი გიორგი მოსიძე არ ეთანხმება: **"საკრებულოში ხელფასი მხოლოდ ოფიციალურ პირებს ეკუთვნით, დანარჩენები კი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. წინა სხდომაზე ისე, რომ დღის წესრიგში არ იყო გათვალისწინებული, უმრავლესობამ საკრებულოს წევრების სარგო თანხის საკითხის გაზრდის საკითხი გამოიტანა. ჩვენ ამ საკითხს მხარი არ დავუჭირეთ. პარლამენტარების კრიტიკის შემდეგ საკრებულოს წევრებმა, მდგომარების გამოსწორების მიზნით, ფულის დაქვითვის მექანიზმი შეიმუშავეს. მათ, ვინც არ ივლის სხდომებზე, დაექვითებათ ხელფასი. ჩემი აზრით, ეს რეპრესიული მექანიზმია. საკრებულოს ხელმძღვანელობას საშუალება ეძლევა, ზეწოლა მოახდინოს იმ დეპუტატებზე, რომლებიც არ მოსწონს."** მოსიძეს ის თანხაც "ეზედმეტება", რომელიც საკრებულოს წევრებმა დაინიშნეს.

გუშინდელ სხდომაზე მიიღეს, ასევე, გადაწყვეტილება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე პლასტმასის სკამების დამონტაჟების შესახებ. სკამების შესაძენად და დასამონტაჟებლად 250 ათასი ლარია გამოყოფილი. აქედან 220 ათას ლარს განათლების საქალაქო სამსახურის კომუნალური ხარჯების შემცირების ხარჯზე მიიღებენ, ხოლო 30 ათასს - კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური გაიღებს. რაც შეეხება თბილისობის დღესასწაულისთვის გათვალისწინებულ 70 ათას ლარზე 110 ათასი ლარის დამატების საკითხს, საკრებულოს წევრებმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს. **"ქალაქის მერმა და პრემიერმა წარმოგვიდგინონ სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება, თუ რაში უნდა დაიხარჯოს 110 ათასი ლარი და მხარსაც იმ შემთხვევაში დავუჭერთ,"** - განაცხადეს მათ.

# ტენდერის ნაცვლად - აუქციონი

*გუშინ, 13 ოქტომბერს სასტუმრო "პრიმა ვერაში" თბილისის მერმა, მერიის შესაბამისი სამსახურებისა და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა და საქალაქო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულმა მეწარმეებმა "სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა რეგულარული გადაყვანის ნებართვის გაცემის დებულების" პროექტი განიხილეს. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა თქმით, ასოციაციამ პროექტი ქალაქის მერიასა და საქალაქო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულ მეწარმეებთან კონსულტაციების შედეგად მოამზადა. პროექტის ავტორთა თქმით, დებულების მიზანია: ადგილობრივ რეგულარულ სამარშრუტო გადაყვანაზე ნებართვის მიღების პირობების გამარტივება; სფეროში არსებული კორუფციის აღმოფხვრა და დასაქმებულ პირთა მაქსიმალური ლეგალიზაცია; მცირე მეწარმეთა უფლებების დაცვა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა; სატრანსპორტო მომსახურეობის ხარისხის ამაღლება; სამარშრუტო ტაქსებით რეგულარული გადაყვანის სისტემის საჯაროობა და გამჭვირვალობა. "დებულების ამოქმედების შედეგად ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლები წელიწადში, დაახლოებით, რვა მილიონი ლარით გაიზრდება," - ამბობენ ისინი.*

ნანა ყაველაშვილი

2001 წელს, თბილისის საკრებულოს 2001 წლის 7 მარტის №2-6 გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისში ადგილობრივ რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე დადგენილ მარშრუტებზე გადამყვანების შესარჩევი კონკურსი ჩატარდა. საკრებულოსავე 2001 წლის 1 იანვრის №1-3 გადაწყვეტილების საფუძველზე, 223 რეგულარული მარშრუტი შეიქმნა, რომლებზეც, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მონაცემებით, მთლიანად - 4441, ხოლო ყოველ სამუშაო დღეზე 3261 მიკროავტობუსი დადგინდა. კონკურსის მიხედვით, გაცემული ხაზის ექსპლუატაციის უფლება 2 წლის ვადით განისაზღვრა. თითო მიკროავტობუსზე ყოველთვიური მოსაკრებელი 50 ლარი დაწესდა. ეს სისტემა დღემდე მოქმედებს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლების თქმით, დღეს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა რეგულარული გადაყვანის სფეროში უამრავი პრობლემაა. **"თავის დროზე ხელშეკრულებები გაფორმდა 4441 მიკროავტობუსზე, არაოფიციალური მონაცემებით კი, დღეს ქალაქში 5000-ზე მეტი მიკროავტობუსია რეგისტრირებული. თითოეულ მათგანს თავისი "ხაზის მეპატრონე" ჰყავს. ისინი სამარშრუტო ხაზზე მიკროავტობუსებს ყოველგვარი ლეგალური საფუძვლის გარეშე განკარგავენ. სამარშრუტო ბიზნესი ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ე.წ "კრიშების" ჯიბეში არალეგალური გადასახადების სახით, მინიმუმ, 10 მილიონი ლარი ჩადის. ფაქტობრივი მეპატრონეების მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიმდინარეობს სამარშრუტო ხაზების გაყიდვა. ქალაქში მოძრაობს არასტანდარტული სატრანსპორტო საშუალებები; სამარშრუტო ტაქსებით გადატვირთულია ავტოპარკი; არსებობს არალეგალური და დაუსაბუთებელი გადასახადები,"** - ამბობს ამ ასოციაციის წევრი ნიკოლოზ თევდორაშვილი.

ასოციაციის მონაცემებით, 2002 და 2003 წელს, მოსაკრებლების სახით, სახელმწიფომ მილიონ შვიდას სამოცდაერთი ათასი ლარი მიიღო. გამოდის, რომ სანებართვო მოსაკრებელი გადაიხადა მხოლოდ 2935-მა სამარშრუტო ტაქსმა. მოქმედი კანონმდებლობით, მოსაკრებელი ნებართვის ყველა მფლობელმა უნდა გადაიხადოს. თუ რომელიმე არ გადაიხდის, მას ნებართვა უნდა შეუჩერდეს.

დებულების პროექტის ავტორთა თქმით, აუქციონის წესით, ნებართვის გაცემის მეშვეობით ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს საშუალება ექნებათ, სრულად აღრიცხონ სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა, ხოლო დებულების ამოქმედება არსებულ პრობლემებს მოაგვარებს.

დებულების პროექტის მიხედვით: პირზე ნებართვა სამარშრუტო ხაზზე ერთი სამარშრუტო ტაქსით მოძრაობის უფლებით გაიცემა; ერთ პირს უფლება აქვს, ფლობდეს რამდენიმე ნებართვას ერთსა და იმავე ან სხვადასხვა სამარშრუტო ხაზზე, თუ ის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ნებართვა გაიცემა ორი კალენდარული წლით; ნებართვა გაიცემა აუქციონის წესით, აუქციონზე გამარჯვებულ პირზე; სანებართვო მოსაკრებელი არის თბილისის ბიუჯეტში ერთჯერადი სავალდებულო გადასახადი, რომელიც გადაიხდება წინასწარ, აუქციონის ჩატარებამდე. თუ ნებართვა ვერ მოიპოვა, ნებართვის მაძიებელს გადახდილი მოსაკრებელი - 50 ლარი უკან აღარ დაუბრუნდება. სამარშრუტო ტაქსით მგზავრთა რეგულარული გადაყვანის ნებართვის გასხვისება დაუშვებელია, გარდა "მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული საწარმოს მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევისა. სამარშრუტო ტაქსის მგზავრთა გადასაყვანად გამიზნული ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები და 17-ზე მეტი. თითოეული სამარშუტო ტაქსი უნდა იყოს თეთრი ფერის (დებულების პროექტის ავტორთა თქმით, ქალაქში დღეს თეთრი ფერის "მარშრუტკები" ჭარბობს).

საქალაქო სატრანსპორტო სამსახურის უფროსის ზურაბ ჩიქვილაძის თქმით, აღნიშნული პროექტი ქალაქის მთავრობის პოზიციას ემთხვევა, მაგრამ მის სამსახურს გარკვეული კორექტივების შეტანა სურს. ცნობილია, რომ კიდევ ორი ალტერნატიული პროექტი არსებობს.

# "გამჭვირვალე" მერია

*საქალაქო სამსახურებში კადრების შერჩევა ამიერიდან კონკურსის წესით მოხდება. ექსპერიმენტის განხორციელება ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის სამსახურში დაიწყება. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას, სავარაუდოდ, ქალაქის პრემიერის მოადგილე ირაკლი თოდუა უხელმძღვანელებს.*

ვარდების რევოლუციის შემდეგ სხვადასხვა დაწესებულებაში უფროსების შეცვლას საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა. ხალხის აზრით, ახალ უფროსს საკადრო ცვლილებები თანამდებობებზე თავისი ახლობლების დასანიშნად სჭირდება. ამ აზრის გასაქარწყლებლად ქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე ახალი ინიციატივით გამოდის. მისი განცხადებით, მერიის ყველა საქალაქო სამსახურში კადრები საკონკურსო წესის მიხედვით შეირჩევა. გაკეთებულია თანამდებობების ნუსხა, რომლებიც კონკურსის წესით დანიშვნას ექვემდებარებიან. სპეციალურად შექმნილ კომისიას უხელმძღვანელებს პრემიერის მოადგილე სოციალურ საკითხებში ირაკლი თოდუა. მართალია, მისი კანდიდატურა საკრებულოს წევრებს ჯერ არ დაუმტკიცებიათ, მაგრამ ბრეგაძეს კოლეგების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს.

**"ყველა ადამიანს, ვისაც აქვს სურვილი და მონაცემები, მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში, შეუძლია მოვიდეს. მითქმა-მოთქმა, რომ მერიაში ხალხი ნათესაობით, მეგობრობითა და პარტიული ნიშნით ინიშნება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაქარწყლდეს. იმედი მაქვს, ირაკლი თოდუას კანდიდატურტას საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცებენ,"** - განაცხადა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ქალაქის პრემიერმა. მისივე თქმით, ყველა მთავარი სპეციალისტი და განყოფილების უფროსი, სამსახურების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების გარდა, კონკურსის წესით დაინიშნება.

კონკურსის პირობები ჩამოყალიბების პროცესშია. ჯერ ყალიბდება საკონკურსო თანამდებობები, შემდეგ ამ თანამდებობის საქმის აღწერილობა და მოთხოვნები. გამოცდები პირველად ადმინისტრაციულ ინსპექციაში მოეწყობა. კომისიის შემადგენლობაში იქნებიან საკრებულოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. რაც შეეხება რაოდენობას, პრემიერის თქმით, კომისია ძალზედ კომპაქტური და მცირე შემადგენლობის იქნება.

ექსპერიმენტი ერთ დადებით მომენტსაც შეიცავს. მისი ამოქმედების შემთხვევაში, ახალ უფროსებს არ ექნებათ შესაძლებლობა, საკადრო ცვლილებები ასე ხშირად განახორციელონ. კომისიის წესით შერჩეულ პირებს ერთგვარი ხელშეკრულებები გაუფორმდებათ.

*24 საათი*

# თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის

## შეკითხვები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას

თამაშის ახალი წესები მცირე ბიზნესს გაანადგურებს

ამ წერილის დაწერის აუცილებლობა გამოიწვია ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ახალი საგადასახადო კოდექსის დამუშავებისას მცირე მეწარმეების ინტერესების გაუთვალისწინებლობამ, მცირე მეწარმეობის განვითარების საჭიროებისა და მეწარმეთა ელემენტარული მოთხოვნების უგულებელყოფამ, ევროკომისიის 1996 წლის რეკომენდაციების, გაეროს 2001 წლის საქართველოსადმი გაწერილი დავალებების უარყოფამ და წინასაარჩევნო პერიოდში მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების მივიწყებამ.

ამ მოვლენებმა მცირე მეწარმეები საბოლოოდ გამოგვაფხიზლა, ჩვენ გავითავისეთ, რომ საკუთარი ინტერესების დაცვა მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს - უკან უმუშევრობა, სიღარიბე და სოციალური აფეთქებაა.

**მოყვარეს პირში უძრახე**

ბატონო ზურაბ, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციამ განიხილა რა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, გადაწყვიტა კითხვებით მოემართა თქვენთვის, იმისათვის რომ ხელისუფლებისათვის შეეხსენებინა მისი ერთ-ერთი წინასაარჩევო პრიორიტეტი - მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა ქვეყანაში სოციალური პრობლემების დასაძლევად. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გახდა ეს საკითხი ასეთი უმნიშვნელო და რატომ ამოიშალა მთლიანად მცირე ბიზნესი პოლიტიკური დღის წესრიგიდან და ეკონომიკური პოლიტიკიდან?

ქვემოთ გთავაზობთ იმ კითხვების ძალიან მცირე ნაწილს, რომლებიც ჩვენს ასოციაციას საგადასახადო კოდექსის ავტორებთან და პირადად თქვენთან აქვს, კონკრეტულად:

-რატომ ამოვარდა საბოლოოდ კოდექსიდან მცირე ბიზნესის გადასახადი, რომლის შეტანის გარანტია მცირე მეწარმეებს პირადად თქვენ მოგვეცით, მას შემდეგ, რაც სასტუმრო "მეტეხში" გამართულ პირველ პრეზენტაციაზე ჩვენ ამ გადასახადის გაუქმება მკაცრად გავაკრიტიკეთ?

-რატომ გააწბილეთ 287-ე მუხლით ათასობით ინდმეწარმე, რომლებსაც ჰქონდათ პრეზიდენტის დაპირების იმედი, რომ საერთოდ გათავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან, რაც თქვენც, ბატონო ზურაბ, მრავალჯერ დაადასტურეთ თქვენს საჯარო გამოსვლებში?

ამ კოდექსით კი ისინი გათავისუფლდებიან მხოლოდ 4 სახის გადასახადისაგან, და თანაც ეს არ შეეხება ყველა ინდმეწარმეს. გარდა ამისა, გამარტივებულ ბუღალტერიასა და საგადასახადო ანგარიშსწორებებს ისინი მაინც ახდენენ. რატომ ვპირდებოდით ინდმეწარმეებს იმას, რასაც ვერ თუ არ შევსრულებდით? ამით ხომ შეილახა პრეზიდენტისა და პირადად თქვენი ავტორიტეტიც ათასობით ინდმეწარმის თვალში?

- რატომ შევიდა ახალ კოდექსში მუხლი 215-ის სახით მოქმედ კოდექსში უკვე არსებული ფორმულირება, რომ გადამხდელები ვალდებულნი არიან შეიტანონ ბიუჯეტში მიმდინარე გადასახადების თანხები წინა საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით და მათ ეს გადასახადები მაინც უნდა გადაიხადონ, მიუხედავად იმისა, მიმდინარე წელს ექნებათ თუ არა შემოსავლები. წარმოუდგენელი ყაჩაღობაა! ამ ფორმულირებამ უკვე ათასობით მცირე მეწარმე გააკოტრა და კიდევ ვიმეორებთ იგივეს?
- ახალი კოდექსის მუხლ 238-ში რატომ შევიდა უცვლელად მოქმედი კოდექსის 112 მუხლის ფორმულირება, რომელმაც საქართველოში პირწმინდად გაანადგურა მცირე მეწარმეობა, რადგანაც მცირე მეწარმეებს დამატებული ღირებულების გადასახადი ფაქტიურად გადაექცათ მთლიანი ღირებულების, ანუ ბრუნვის გადასახადად?
- რატომ არ აღსდგა 1997 წლამდე არსებული სამართლიანი ფორმულირება, როცა დღგ-ის გადახდა წარმოებდა არა ბრუნვიდან, არამედ, ფასთა სხვაობიდან.
- რატომ აძლევთ, ბატონო ზურაბ, სრულ კარტ-ბლანშს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, რომელიც არის ფიქსირებული გადასახადებისა და შესაბამისად, მცირე მეწარმეობის პირველი მტერი? ეს ფაქტი მრავალ ეჭვს ბადებს, რადგანაც ყველასათვის ცნობილია, რომ სადაც იწყება ფიქსირებული გადასახადები, იქ მთავრდება საგადასახადო გამოძალვები და კორუფცია. სწორედ ამიტომაცაა მასიურად გავრცელებული მცირე მეწარმეთა დაბეგვრა ფიქსირებული გადასახადებით არა თუ მთელ მსოფლიოში, არამედ ჩვენს უშუალო მეზობელ რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ჩვენ კი ჯიუტად არ გვინდა, რატომ?
- ხომ არ გაანადგურებს საბოლოოდ ეს კოდექსი ისედაც მიწასთან გასწორებულ მცირე მეწარმეობას? საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელთან შედარებით 2003 წელს მცირე მეწარმეთა მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის წილი ქვეყნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში 18%-იდან შემცირდა 6%-მდე, ანუ სამჯერ. ამ კოდექსის მიღების შემდეგ კი სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება. მითუფრო, რომ 2001 წელს თბილისში ჩატარებულმა მეწარმეთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობაზე, როგორც მეწარმეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორაზე მიუთითა გამოკითხულთა 34,5%-მა, ხოლო ამავე პრობლემაზე 2004 წლის ივლისში მიუთითა უკვე 61,1%-მა.

მცირე ბიზნესის სამრეწველო სფეროში ერთ წელიწადში ჩვენ ათასობით სამუშაო ადგილი დავკარგეთ და გამოდის, რომ მომავალში უფრო მეტს დავკარგავთ. სტატისტიკური გაანგარიშებების მიხედვით, მცირე ბიზნესის სამრეწველო სფეროში 1 სამუშაო ადგილის დაკარგვა ამავე სფეროს არასამრეწველო სექტორში (ვაჭრობა, მომსახურება, ტრანსპორტი, რეკლამა, საშუამავლო საქმე და ა.შ.) ავტომატურად იწვევს 3 სამუშაო ადგილის დაკარგვას.

ბატონო ზურაბ, გთხოვთ, ჩვენი ეს შეკითხვები თუ კომენტარები არ ჩათვალოთ რაიმენაირ პოლიტიკურ ოპოზიციად, რაშიც თავისთავად, დემოკრატიის პირობებში ცუდი არაფერია. გთხოვთ, ეს კითხვები მიიღოთ იმ პრაქტიკოსთა რჩევების სახით, რომლებსაც ათასობით უმუშევარი ადამიანის დასაქმება და ამით სახელმწიფოს შემოსავლების გაზრდა, მისი დანახარჯების შემცირება და საზოგადოდ, ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია.

### საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო მიხეილ,**

როგორც ჩვენი შეკითხვებიდან ჩანს, საქართველოს მცირე მეწარმეობაში შექმნილია უმძიმესი მდგომარეობა, პრობლემა მარტო საგადასახადო კოდექსში არ არის. მცირე მეწარმეობაზე ტოტალური შეტევებია. უკვე დაშლილი და თითქმის განადგურებულია სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც მცირე მეწარმეობის პრობლემებზე მუშაობდნენ და რომელთათვისაც პასუხის მოთხოვნა შეიძლებოდა. ქვეყანას არა გააჩნია მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია და შესაბამისად, მისი განხორციელების გეგმაც. ჩვენი ასოციაციის მიერ დამუშავებულ პროგრამა-დეკრეტს "საქართველოში მცირე ბიზნესის რეფორმები", რომელიც 2004 წლის მარტის თვეში კინოთეატრ "ამირანში" გამართულ მცირე მეწარმეთა შეკრებაზე პირადად თქვენ გადმოგეცით, დღემდე აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს ფინანსთა სამინისტრო.

დრო არარ ითმენს. უმორჩილესად გთხოვთ მიგვიღოთ ამ პროგრამა -დეკრეტის ავტორთა 5-კაციანი ჯგუფი, რადგან გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია დაიწყოს ამ დოკუმენტის განხილვები. მანამ კი, ვიფქრობთ, სასწრაფოდ არის შესატანი ცვლილებები მოქმედ საგადასახადო კოდექსში, რომელსაც რუსეთის ანალოგიურიად, უნდა დაემატოს ცალკე თავი მცირე მეწარმეთა ამოსარჩევი ალტერნატიული საგადასახადო რეჟიმის შესახებ, რაც დღეს მცირე მეწარმეობის გადარჩენის ერთადერთი რეალური გზაა.

ქვემოთ გთავაზობთ ჩვენი პროგრამა-დეკრეტიდან ამოღებულ კანონპროექტს, რომლის მიღებაც უდიდესი შვება იქნებოდა მცირე მეწარმეებისათვის.

ღრმა პატივისცემით,

**საქართველოს თავისუფალ მეცირე მეწარმეთა საცოციაცია**

*პროექტი*

**კ ა ნ ო ნ ი**

**საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საგადასახადო კოდექსს დაემატოს ცალკე კარი: "ამოსარჩევი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადები მცირე საწარმოებისათვის". ეს კარი შევიდეს ტექსტში XIV ნომრით და განლაგდეს "გადასახადების ადმინისტრირების წესები"-ს კარის წინ.
2. XIV კარი შეიცავს 4 მუხლს. ახალ მუხლებს მიენიჭოს 216-ე, 217-ე, 218-ე და 219-ე ნომრები.
3. შესაბამისად შეიცვალოს შემდგომი კარებისა და მუხლების ნუმერაცია.
4. საგადასახადო კოდექსის ადმინისტრირების წესების 226-ე მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით: "საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების, ან გადასახადების სრული ოდენობით გადახდის თავის არიდების შემთხვევაში მცირე მეწარმეები, რომლებიც სარგებლობენ ამოსარჩევი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადებით, ისჯებიან 10-ჯერ უფრო დიდი ჯარიმის ოდენობით, ვიდრე განსაზღვრულია მოქმედი საგადასახადო კოდექსით".

**კარი XIV. ამოსარჩევი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადები მცირე საწარმოებისათვის**

ამ კარში გათვალისწინებული ამოსარჩევი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადები გამოიყენება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მცირე საწარმოთა მიმართ.

მუხლი 217. ამოსარჩევი ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადები

მცირე საწარმოებს ამოსარჩევი ალტერნატიული გადასახადების სახეებია:

1. მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადები;
2. ფიქსირებული გადასახადები შემოსავლებიდან: ვაჭრობის სფერო - 3%, მომსახურების სფერო - 10%, მატერიალური წარმოების სფერო - 5%. აგრეთვე აქციზის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სოციალური გადასახადები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
3. ფიქსირებული გადასახადები მოგებიდან: ვაჭრობის სფერო - 20%, მომსახურების სფერო - 30%, მატერიალური წარმოების სფერო - 15%. აგრეთვე აქციზის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სოციალური გადასახადები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
4. ინდივიდუალური საწარმოები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ შრომას, იბეგრებიან შემოსავლის 3%-ით, აგრეთვე აქციზისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადებით;
5. გარიგებითი სახელშეკრულებო ფიქსირებული გადასახადი.

მუხლი 218. თუ მცირე საწარმოს ხელმძღვანელობა განცხადებით არ მიმართავს საგადასახადო სამსახურს და არ ამოირჩევს ალტერნატიულ საგადასახადო რეჟიმს, მაშინ ის დაიბეგრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ჩვეულებრივი წესით.

მუხლი 219. რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში პროდუქციის მწარმოებელი დამწყები მცირე საწარმო იხდის მხოლოდ აქციზის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სოციალურ გადასახადებს მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. ამ გადასახადების გარდა მე-3 წელს მცირე საწარმო იხდის 217-ე მუხლით განსაზღვრული გადასახადების 25%-ს, მე-4 წელს ამ გადასახადების 50%-ს, მე-5 წელს ამ გადასახადების 75%-ს და მე-6 წელს ამ გადასახადების 100%, რაც შემდეგში რჩება მუდმივად.

**ინფორმაცია მცირე ბიზნესის განვითარებით დაინტერესებულთათვის**

15 ოქტომბერს 13 საათზე მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საინიციატივო ჯგუფი გამართავს პრესკონფერენციას თემაზე "ახალი საგადასახადო კოდექსი და მცირე მეწარმეობა". P

პრესკონფერენცია გაიმართება შრომის სასახლეში IV სართულზე სხდომათა დარბაზში. მისამართი: ჟ. შარტავას ქ. N7.

25 ოქტომბერს 13 საათზე მცირე ბიზნესის განვიტარების საინიციატივო ჯგუფი გამართავს შეხვედრას, რომელიც მიეძღვნება მცირე ბიზნესის განვითარების არსებული გარემოს ანალიზს.

შეხვედრა გაიმართება კინოს სახლში, კინოთეატრ "ქოლგას" დარბაზში პირველ სართულზე.

# ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დაკავებულია

თამარ კაციტაძე

*საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის საქმიანობა კვლავ პროკურატურის ინტერესის სფეროში ექცევა. ფრიდონ ინჯიას და მერაბ ადეიშვილის შემდეგ ამჯერად ესაკიას მინისტრობის პერიოდი ამოტივტივდა. თუმცა, წინასწარი დაკავების იზოლატორში გუშინ მინისტრის ნაცვლად მისი მოადგილე ომეხ დარჯანია აღმოჩნდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*თბილისის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი*

ომეხ დარჯანია, რომელიც ყოფილი ვიცე-პრემიერის ვლადიმერ დარჯანიას მამაა, გუშინ თბილისის პროკურატურაში მოწმის სახით გამოცხადდა. რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ კი გამომძიებლის კაბინეტიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ეჭვმიტანილი მინისტრის ყოფილი მოადგილე პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

**"ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს ხელმძღვანელთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს აღიძრა,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, 2000-2003 წლებში მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა ომეხ დარჯანია, რომელსაც იმჟამინდელი მინისტრის მიერ დავალებული ჰქონდა სამინისტროსთვის მართვის უფლებით გადაცემული შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაკონტროლების გზით, სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ამასთან, მას კანონმდებლობის შესაბამისად უფლება ჰქონდა, თანამდებობებზე დაენიშნა ან გაეთავისუფლებინა სამინისტროს მართვის უფლებით გადაცემულ საწარმოთა ხელმძღვანელები.

**"2000-2002 წლების განმავლობაში სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა სულ 60-მდე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელთა საქმიანობიდან დარჯანია ვალდებული იყო, სახელმწიფოს ბიუჯეტში შეეტანა ამ საწარმოთა მოგების კანონით დადგენილი წილი,"** - განაცხადა ქალაქის პროკურორმა.

მისი თქმით, აღნიშნულ პერიოდში დასახელებულ საწარმოთა მოგებამ სულ 23 მილიონ 13 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში 3 მილიონ 96 ათასი ლარი უნდა შესულიყო. თუმცა, როგორც გამოძიებამ დაადგინა, სწორედ დარჯანიას დახმარებით ბიუჯეტმა ამ პერიოდში მილიონ 92 ათასი ლარით იზარალა.

**"ამასთან, დარჯანიამ არ უზრუნველყო სამინისტროზე დაქვემდებარებული ადმინისტრაციების სპეციალური სახსრების შემოსავლებიდან სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე თანხების ოდენობის განსაზღვრა, რაც ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებით, მილიონ 300 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო. ანუ გაურკვეველი დარჩა აღნიშნული თანხის ხარჯვის კანონიერებაც,"** - აღნიშნა გიორგი ღვინიაშვილმა.

გამოძიება დარჯანიას ედავება სამინისტროს შენობის აღდგენითი სამუშაოების წარმოებაზე უკანონო ხელშეკრულების გაფორმებასაც. კერძოდ, მინისტრის მოადგილის მეშვეობით, შპს "კავშირგაბმულობის ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაციას" ბიუჯეტიდან მიზნობრივი ხარჯებისთვის გამოეყო 452,5 ათასი ლარი, ხოლო სხვადასხვა ხარჯებისთვის 148,5 ათასი ლარი, რასაც გამოძიება ასევე ეჭვქვეშ აყენებს.

**"დარჯანიამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად, ნაცვლად კანონით განსაზღვრული მილიონ 17 ათასი ლარისა, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღო მხოლოდ 601 ათასი ლარი, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირების კანონიერ ინტერესს,"** - ამბობს ქალაქის პროკურორი.

ერთი სიტყვით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობის საქმიანობით გამოძიება კვლავ დაინტერესებულია და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ საქმეში უახლოეს მომავალში სხვა მაღალჩინოსნების გვარებმაც გაიჟღეროს. იქნება თუ არა მათ რიცხვში ყოფილი მინისტრი ესაკია, ჯერჯერობით, თბილისის პროკურორი არ აკონკრეტებს. თუმცა აღნიშნავს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ყველა პირი დაისჯება, ვისაც ამ საქმესთან დანაშაულებრივი კავშირი ექნება, ეს იქნება თანამდებობის პირი თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ხელმძღვანელობა.

# რატომ და ვინ დააკავა სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი ხელმძღვანელი?

*გუშინ სოფელ ვარიანში საკუთარი საცხოვრებელი სახლის მახლობლად დააკავეს ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართული სამშვიდობო ჯარების ყოფილი სარდალი, ამჟამად სარდლის მოადგილის თანამდებობაზე მყოფი, პოლკოვნიკი მიხეილ ქებაძე.*

სოფიკო ჩხაიძე

მიხეილ ქებაძე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს და მისი საქმე გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს გადაეცა. უშიშროების მინისტრის მოადგილის ბათუ ქუთელიას განცხადებით, სარდლის მოადგილის ბინაში უკანონო იარაღის შენახვის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია არსებობდა და სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე მოხდა პოლკოვნიკის დაკავება.

მინისტრის მოადგილე არ აკონკრეტებს, უკავშირდება თუ არა ქებაძის დაკავება კონფლიქტის ზონაში ბოლო თვეებში განვითარებულ მოვლენებს, სამაგიეროდ, არ გამორიცხავს, რომ დაკავებული იარაღით ვაჭრობაში იყო ჩართული.

საუბარი იმის თაობაზე, რომ სამშვიდობო ჯარების წარმომადგენლები, როგორც რუსული, ისე ქართული მხრიდან, იარაღით ვაჭრობის ბიზნესში არიან ჩართულნი, კარგა ხანია მიმდინარეობს, თუმცა, ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტი ქართველ სამართალდამცველებს დღემდე არ გამოუვლენიათ. მეტიც, ორი წლის წინათ ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის წევრის, ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გატაცებაც, მიუხედავად იმისა, რომ ოსეთის მხარე ამ ფაქტისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემას შეეცადა, ქართველ სამართალდამცველთა მხრიდან, მართალია, ვერსიის დონეზე, მაგრამ მაინც იარაღით ვაჭრობას დაუკავშირდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოძიებამ ვერც დურგლიშვილის მოძიების და ვერც იარაღით უკანონო ვაჭრობის ფაქტების გამოვლენით, თავი ვერ ისახელა. სხვათა შორის, მაშინ, როცა ზურაბ დურგლიშვილი გაიტაცეს, ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი უკვე მიხეილ ქებაძე იყო. მიუხედავად ამისა, როგორც ცხინვალის მაშინდელი პროკურორისგან გურამ ბაბუციძისგან შევიტყვეთ, დურგლიშვილის გატაცების ძიებისას, ქებაძის წინააღმდეგ არათუ რაიმე მტკიცებულებაა მოპოვებული, არამედ ამ საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ ეჭვიც კი არავის გასჩენია.

რაც შეეხება უშუალოდ ქებაძის ბრალდებებს, ქუთელიას განცხადებით, ქებაძეს როგორც სამხედრო მაღალჩინოსანს, გარკვეული ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება ჰქონდა, მაგრამ არა იმ იარაღისა და საბრძოლო მასალებისა, რომელიც დაკავებულს საცხოვრებელ სახლში აღმოაჩნდა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ უშიშროების სამინისტრო არ აკონკრეტებს ქებაძის ბინიდან ამოღებული იარაღის არც რაობას და არც რაოდენობას და ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მიზეზად, როგორც ყოველთვის, გამოძიების ინტერესებს იშველიებს. უშიშროების სამინისტროს მხრიდან საიდუმლოდ დატოვებული ინფორმაცია კი გარკვეულ ეჭვს იწვევს. ჯერ ერთი, რომ, ჩვენი ინფორმაციით, საუბარია მხოლოდ ორ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე, ერთ ხელყუმბარასა და ავტომატის ტყვიებზე და ამ ფონზე მართლაც საეჭვოდ ჩანს ქებაძის ოჯახის წევრების კატეგორიული განცხადება იმის თაობაზე, რომ სამართალდამცველებმა იარაღი, რომლის შენახვასაც ამჟამად პოლკოვნიკს ბრალდებად უყენებენ, თავადვე ჩაუდეს. სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი სარდლის მეუღლის თქმით, ღამით მათ სახლში შემოვარდნილ შეიარაღებულ პირთაგან ერთ-ერთი სხვენზე ავიდა და ცოტა ხანში იქიდან იარაღი ჩამოიტანა.

ქებაძის დაკავების საქმეში კიდევ ერთი დეტალია, რომლის დაზუსტებაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. კერძოდ, რატომ იჩემებს უშიშროების სამინისტრო ქებაძის დაკავების ოპერაციის ჩატარებას, როცა ეს ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა და მხოლოდ შემდგომ გადაუგზავნა ეს საქმე გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაცია, რომ დაკავების ოპერაცია ადგილობრივმა პოლიციამ ჩაატარა, შიდა ქართლის პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა არც უარყო და არც დაადასტურა. რას უნდა მიეწერებოდეს ამგვარი გასაიდუმლოება, ალბათ მომავალში გაირკვევა, მანამდე კი მიხეილ ქებაძე უშიშროების სამინისტრის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. უშიშროების სამინისტრო კი გამოძიებას იწყებს და არ გამორიცხავს, რომ სისხლის სამართლის საქმე ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართაც აღიძრას.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ...............

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...............

საკონტაქტო ტელეფონი ...............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge


# შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ოჯახზე თავდასხმა მოხდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით მუმლაძის ოჯახზე გუშინ გამთენიისას თავდასხმა მოხდა. ორმა ნიღბიანმა პიროვნებამ იმერეთის ყოფილი გუბერნატორის ცოლის ძმის სახლში ფანჯრიდან შეაღწია. ბინაში ამ დროს დავით მუმლაძე ცოლთან, მცირეწლოვან შვილთან და ცოლის ძმასთან დავით შარაშენიძესთან ერთად იმყოფებოდა.

**"თავდასხმას შეკვეთილის ხელწერა ეტყობოდა და იგი, აშკარად, ჩემს ძველ თანამდებობას უკავშირდება, რადგან ყაჩაღების მიზანი ძვირფასეულობის წაღება არ ყოფილა. ერთ-ერთმა მათგანმა დამინახა თუ არა, რუსულად მომმართა - А, губернатор და ბოლომდე სწორედ იმერეთის გუბერნატორობაზე აკეთებდა აქცენტს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში შს მინისტრის მოადგილემ დავით მუმლაძემ.

მუმლაძის თქმით, თავდამსხმელები, მართალია, მიზეზს არ ასახელებდნენ, მაგრამ მას ჯერ შვილის მოტაცებით ემუქრებოდნენ, შემდეგ კი თავში ცეცხლსასროლი იარაღის კონდახი ჩაარტყეს. ამ დროს წინააღმდეგობის გაწევა სცადა ცოლის ძმამ დავით შარაშენიძემ, რომელსაც იარაღიდან ესროლეს და დაჭრეს.

შემთხვევიდან რამდენიმე წუთში ჩაირთო სიგნალიზაცია, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა ძვირფასეულობა გაიტაცეს და მიიმალნენ.

**"თავდამსხმელებს ძვირფასეულობა, ფაქტობრივად, არ მოუთხოვიათ, ბოლო წუთის განმავლობაში კი წაიღეს მხოლოდ ის, რაც ერთ ოთახში ნახეს,"** - ამბობს მუმლაძე.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში გამოცხადდნენ. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსმა დავით იაშვილმა აღნიშნა, მუმლაძის სახლში მაშინვე მიიყვანეს ძაღლი და კრიმინალისტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დანმაშავეთა კვალის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა. პოლიცია და თვით შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც, ჯერჯერობით, ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრეზე ვერ საუბრობენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში ყაჩაღობის მუხლით აღიძრა. დანიშნულია რამდენიმე ექსპერტიზა, რომელთა პასუხზეც ყაჩაღობის ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

გუშინვე სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა დავით შარაშენიძეს და მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე აღარ ემუქრება. თავის ტრავმა აქვს მიღებული დავით მუმლაძესაც, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, უფრო დიდი პრობლემების გამო, ექიმებთან მისვლა და ზუსტი დიაგნოზის დადგენა ვერ მოახერხა.

*24 საათი*

## მოკლედ

### ასლან აბაშიძის უნიკალურ არსენალს მიაგნეს

ქობულეთში, ტყის მასივებში, 100-მდე დასახელების ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, მათ შორის ანტიკვარული იარაღებიც აღმოაჩინეს. იარაღი ტყის მასივში, ორი მეტრის სიღრმეში იყო ჩამარხული.

როგორც უშიშროების სამინისტროში განგვიცხადეს, ეს სწორედ ასლან აბაშიძის მიერ დატოვებული იარაღია, რაზეც სამინისტროს ოპერატიულ ინფორმაციასთან ერთად, იარაღზე დაფიქსირებული წარწერებიც მიუთითებს. **"ჩვენ მიერ ჩატარებული ოპერატიული ოპერაციის საფუძველზე მივაგენით აღნიშნულ საცავს, ქობულეთის რაიონში ერთ-ერთ ტყის მასივში ჩამარხული იყო დაახლოებით 100-მდე იარაღი. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. ჩვენი ინფორმაციით, კიდევ უნდა იყოს მეორე საცავი,"** - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია. მისივე განმარტებით, არსებობს დამატებითი ოპერატიული ინფორმაციები, რომ მსგავსი ტიპის იარაღის საცავი აჭარის ტერიტორიაზე მეორეცაა.

უნიკალურ საცავში, რომელიც ქობულეთის ტყის მასივში აღმოაჩინეს, რუსული ანტიკვარული იარაღი ჭარბობს. როგორც ირკვევა, ეს იარაღი რუს გენერლებს უჩუქებიათ ასლან აბაშიძისთვის.

როგორც უაშიშროების სამინისტროში აცხადებენ, მასში ასევე უხვადაა ფრანგული, ესპანური და არაბული იარაღი. "გიორგი მესამეს გენერალ-მაიორ გელა ლანჩავასგან" - ეს წარწერა ამშვენებს ერთ-ერთ ქართულ დამბაჩას, რომელიც გენერალს აბაშიძის შვილიშვილისთვის გიორგისთვის 1993 წელს უჩუქებია.

წარმოდგენილი კოლექცია ძირითადად მე-18, მე-19 საუკუნით თარიღდება, თუმცა დეტალურად მას სპეციალური სახელმწიფო კომისია შეისწავლის, რომელიც რამდენიმე დღეში ჩამოყალიბდება.

*24 საათი*

### დაპატიმრებული გამგებლები მაფიაზე საუბრობენ

გუშინ დიდი ხმაური იყო აჭარის უმაღლესი სასამართლოს შენობაში, სადაც დაახლოებით ერთი კვირის წინ სპეცდანიშნულების რაზმის მიერ საკუთარ კაბინეტებში დაკავებული შუახევისა და ხულოს რაიონების გამგებლების ოთარ ცეცხლაძისა და ნოდარ ქარცივაძისთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობის საკითხს, მათი ინტერესების დამცველების საჩივრის საფუძველზე, კიდევ ერთხელ განიხილავდნენ. ხანგრძლივი დახურული სასამართლო პროცესის ბოლოს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ხე-ტყის უკანონო ჭრის ბრალდებით დაკავებული გამგებლების ადვოკატების სარჩელი და მათთვის რამდენიმე დღის წინ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა სხვა სახის აღმკვეთი ღონისძიებით არ შეცვალა.

სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას დაპატიმრებული გამგებლების მხარდამჭერთა საპროტესტო აქცია მოჰყვა, რომელიც სასამართლოს შენობის წინ კარგა ხნის განმავლობაში გაგრძელდა. მოსამართლის გადაწყვეტილება დარბაზშივე გააპროტესტა ბრალდებულმა ოთარ ცეცხლაძემ.

შუახევის გამგებელი თავს "აჭარაში მოქმედი მაფიის მსხვერპლად" თვლის და აცხადებს, რომ "ამ მაფიასთან ბრძოლას პატიმრობიდან თავის დაღწევის შემდეგაც გააგრძელებს". ვიდრე ბრალდებულ ნოდარ ცეცხლაძეს სასამართლო დარბაზიდან ბადრაგი იძულებით გაიყვანდა, იგი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა. "ჩემი განადგურება შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის გია პაპუაშვილის ინტერესებში შედიოდა. სასამართლომაც რა ქნას? ვატყობ, მოსამართლეებს ზეწოლის ქვეშ უხდებათ მუშაობა," - ირწმუნებოდა გუშინ ბრალდებული გამგებელი. სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

*24 საათი*

### პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ბიუჯეტის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის ოფისისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში 882 ათასი ლარია გათვალისწინებული, აქედან 482 ათასი ლარი ცენტრალურმა ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს, ხოლო 400 ათასი ლარი გრანტებსა და კრედიტებზე მოდის.

სახალხო დამცველის ოფისისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით, გუშინ ხმაური იყო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში. კომიტეტის წევრები სახალხო დამცველის ოფისის დაფინანსების გაზრდას კატეგორიულად მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებით იმუქრება.

"ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება, რაც არსებული დაფინანსების პირობებში ვერაფრით მოხერხდება. მაშინ, როცა ევროკავშირისკენ და ნატო-სკენ მივისწრაფვით, აუცილებელია, ქვეყანაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები, ეს კი სახალხო დამცველის მოვალეობაა. ამიტომაც არის აუცილებელი ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გაზრდა," - აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე. მის კომიტეტში თვლიან, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმ ოდენობის ხელფასს უნდა იღებდნენ, რამდენსაც მოსამართლეები. "ისინი არც მოსამართლეებზე და არც პროკურორებზე ნაკლებნი არ არიან," - ასეთი პოზიცია აქვთ პარლამენტის ადამინის უფლებათა დაცვის კომიტეტში, რომლის წევრთა განცხადებითაც, დაუშვებელია, სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებს მსგავსი სტრუქტურების თანამშრომლებთან შედარებით, რამდენჯერმე ნაკლები ხელფასი ჰქონდეთ. **24 საათი**

### პროკურატურა მოსამართლისათვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვს

გენერალურმა პროკურატურამ უზენაეს სასამართლოს 13 ოქტომბერს მიმართა შუამდგომლობით, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდოს ქრთამის აღებაში ბრალდებულ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მოსამართლე ალექსანდრე ტალიაშვილს. გენერალური პროკურატურის ცნობით, ტალიაშვილს ბრალი უკვე წაეყენა, რომლის თანახმად, იგი 500 აშშ დოლარს ქრთამის სახით იღებდა ერთ-ერთი პატიმრის ნათესავებისაგან, რათა ამ განსასჯელისათვის პირობითი სასჯელი შეეფარდებინა და პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. გამოძიება ამტკიცებს, რომ მოსამართლისთვის ბრალის დასადებად საკმარისი საფუძველი არსებობდა. დანაშაული უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ორიოდე დღის წინათ გახსნეს და საქმეც მათ აღძრეს, რომელიც შემდეგ გენერალურ პროკურატურაში გადაიგზავნა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ქუთაისში ჩადენილ ქურდობაში ჯარისკაცი და დაცვის თანამშრომელი ამხილეს. ჭავჭავაძის გამზირზე დაკავებულ გრიგოლ გვანცელაძეს და ნიკოლოზ ოყრეშიძეს ორი დღის წინ შპს "არტის" საწყობის გაქურდვაში ედებათ ბრალი, რა დროსაც მათ 700 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საგნები გაიტაცეს. გვანცელაძე ქუთაისში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილის რიგითია, ხოლო ოყრეშიძე - "დელტა-2"-ის დაცვის სამსახურის თანამშრომელი. დაკავებულები პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლეთათვის 16-17 ოქტომბერს სემინარი გაიმართება, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვას ეხება. სემინარი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ტარდება, მასში მონაწილეობას 25 მოსამართლე მიიღებს. სემინარს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის თავმჯდომარე მერაბ ტურავა და ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა წაუძღვებიან. სემინარზე განიხილება შემდეგ თემები: "აგრესიის წყარო მოზარდებში", "მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებები", არასრულწლოვანთა საქმის განხილვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით" და სხვა. **მედია-ნიუსი**

## ნიკა ტაბატაძის შეხვედრა წარსულთან



ტაბატაძემ სპეციალურ ბრიფინგზე მასმედიას ოფიციალურად მოახსენა იმის შესახებ, რაზედაც ქალაქში უკვე ორი დღეა, საუბრობენ.

გოგოტა ბუხაიძის ფოტო

ვერიკო თევზაძე

**"გუშინ და გუშინწინ ეროსი კიწმარიშვილთან ძალიან კარგი საუბარი მქონდა... ჩვენ მეგობრებად ვრჩებით. ის ცოტა ხნით დასვენებას აპირებს..."** - ამგვარი განმარტება მისცა გუშინ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკა ტაბატაძემ. ტაბატაძემ სპეციალურ ბრიფინგზე მასმედიას ოფიციალურად მოახსენა იმის შესახებ, რაზედაც ქალაქში უკვე ორი დღეა, საუბრობენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ძველ სამსახურში ძველ პოსტზე ბრუნდება.

**"ეს გადაწყვეტილება ქაღალდზე მიღებულ იქნა 11-ში. უახლოეს დღეებში დავტოვებ პოსტს და საქმეს განვაგრძობ "რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორად,"** - ნიკა ტაბატაძემ გუშინდელ ბრიფინგზე თავისი ახალი თანამდებობის სინონიმური ფორმა "დაქირავებული მენეჯერიც" მოიშველია და პრესას დაუკონკრეტა, რომ ტელეკომპანიაში თავისი 10-პროცენტიანი წილი უცვლელი რჩება.

ნიკა ტაბატაძის განცხადებით, მისთვის გადაწყვეტილების მიღება **"საკმაოდ მძიმე იყო მრავალი ფაქტორის გამო"**. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს "სიმძიმე", ძირითადად, უკავშირდება მინისტრის მოადგილის განშორებას უწყებასთან, სადაც რეფორმების რთული და საინტერესო პროცესი მიმდინარეობს.

სალომე ზურაბიშვილის შექებების შემდეგ პრესამ ნიკა ტაბატაძეს სთხოვა, დაეკონკრეტებინა, რა კავშირში იმყოფებიან მის გადაწყვეტილებასთან საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. **"მათთან საუბარი იყო ემოციურად მძიმე, თუმცა საბოლოოდ ყველამ მირჩია, გადამეწყვიტა ისე, როგორც საქმისთვის იყო საჭირო,"** - ნიკა ტაბატაძემ ამგვარი პასუხით შეძლო ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

**"რუსთავი 2 ში" დაბრუნების შემდეგ საზოგადოებისთვის უფრო დიდი სამსახურის გაწევას შევძლებ,"** - აცხადებს ნიკა ტაბატაძე.

## ლატვია სრულ მხარდაჭერას დაგვპირდა



საქართველოსა და ლატვიის პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

თემურ ბრიგალაშვილი
ტალინი-რიგა

13 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ესტონეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

**- ჩვენ დასაკარგი ადამიანები არ გვყავს. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულის სამშობლოში დაბრუნებაა,** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, **- გასული წლიდან საქართველო მხოლოდ წინ მიდის - ამას ყველა ხედავს. საქართველო წარსულს აღარასოდეს დაუბრუნდება. ჩვენი მოვალეობაა, რომ ქვეყანამ, რომელიც თავისი კულტურით, ისტორიით, წეს-ჩვეულებებით, მომხიბვლელობით, ბუნებითა და ადგილმდებარეობით სრულიად განსაკუთრებულია, ევროპაში კუთვნილი ადგილი დაიკავოს.**

შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

დიასპორასთან შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მეუღლესთან ერთად ქართულ რესტორან "ფიროსმანში" გაემგზავრა, რომელიც ტალინელი ქართველების შეხვედრების ერთ-ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენს. რესტორანმა საქართველოს პირველი ლედისგან საჩუქრად პიანინო "რიგა" მიიღო. სანდრა რულოვსმა ინსტრუმენტი იქვე გამოსცადა და "თბილისო" დაუკრა.

ლატვიის რესპუბლიკაში გამგზავრებამდე საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ გააკეთა კომენტარი.

**- აფხაზეთში გამართული არჩევნები სრულიად უკანონოა, რადგან იმ ტერიტორიაზე გაიმართა, საიდანაც მოსახლეობის უმრავლესობა - ფაქტობრივად, მთელი ქართველობა გაძევებულია. ერთი საინტერესო რამაც მოხდა - ყველაზე ანტიქართული ჯგუფის არჩევნებთან დაკავშირებული გეგმები აშკარად ჩაიშალა და ყველაზე ექსტრემისტული და რადიკალური ძალები საკმაოდ სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მინდა ვთქვა, რომ იქ ჩვენს მეგობრად ვერავის აღვიქვამ, რადგან ჩვენი მეგობრები ქართველებს არ გამოყრიდნენ. თუმცა, ყველა საშუალებას გამოვიყენებთ, რათა მშვიდობიანი დიალოგის საშუალებები მაქსიმალურად ამოვწუროთ. უნდა შევხვდეთ და ვესაუბროთ ყველას. ყველას სათითაოდ უნდა ავუხსნათ, რომ საქართველოს მხოლოდ მშვიდობიანი განზრახვა აქვს და გაერთიანება მხოლოდ ამ გზით სურს - აფხაზი ხალხის ყველა უფლების დაცვით. ჩვენი მიზანია, რომ აფხაზი ხალხის მომავალიც იყოს გარანტირებული, უზრუნველყოფილი და დაცული. მათთან მეგობრული და ძმური ურთიერთობის აღდგენა გვსურს და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. წარსულის უბედურება უკან უნდა მოვიტოვოთ.**

ამით საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ესტონეთში დასრულდა და იგი დელეგაციასთან ერთად ლატვიის რესპუბლიკაში გაემგზავრა.

იმავე დღეს, ლატვიაში, რიგის ციხესიმაგრეში (ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სამუშაო რეზიდენცია) საქართველოს პრეზიდენტის მიღების ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. საქართველოს პირველ პირსა და პირველ ლედის ლატვიის პრეზიდენტი ქალბატონი ვაირა ვიკე-ფრეიბერგა და პრეზიდენტის მეუღლე იმანტს ფრეიბერგსი დახვდნენ.

საუბარი ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის შედგა, რის შემდეგაც გაიმართა საქართველო-ლატვიის დელეგაციათა მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე.

მოლაპარაკებათა დასრულებისას მიხეილ სააკაშვილმა და ვაირა ვიკე-ფრეიბერგამ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას "ევროპის მომავალი და თანამშრომლობა". ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კი საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

შემდგომ საქართველოსა და ლატვიის პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ლატვიის პრეზიდენტის განცხადებით, მისი ქვეყანა მზადაა, საქართველოს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ევროსტრუქტურებში გაერთიანების საქმეში. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა იგი თბილისში დაპატიჟა, სადაც ის აუცილებლად ჩავა მომავალი წლის დამდეგს და ეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების ახალი ეტაპის დასაწყისი იქნება.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ლატვიამ საკმაოდ რთულ პერიოდში დიდ წარმატებას მიაღწია და ეს ფაქტი საქართველოსთვის სამაგალითოა.

**- ქალბატონი ფრაიბერგა დღევანდელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსია და მისი მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია. ლატვია ევროკავშირისა და ნატო-ს სრულფასოვანი და აქტიური წევრია და ამ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებისთვის მის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ლატვიის პრეზიდენტი თბილისს უახლოეს მომავალში ესტუმრება, რაც იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი ვიზიტის მიზანი გამართლდა - საქართველომ მეგობრები შეიძინა. ის, რომ ლატვია ყველა ფორუმზე, ევროკავშირში, რომლის სრულფასოვანი წევრიც არის, ყველა დონეზე ნატო-ში, სადაც ასევე სრულფასოვანი წევრია, დაგვპირდა აბსოლუტურად სრულ მხარდაჭერას, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვეყანა დღეს, ისე როგორც არასდროს, საერთაშორისო არენაზე ძლიერდება. სხვადასხვა დონის ორგანიზაციებში მას ბევრი მხარდამჭერი და მეგობარი გამოუჩნდა,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი თავისუფლების მონუმენტთან გაემგზავრა და გვირგვინით შეამკო.

საქართველოს პრეზიდენტი ლატვიის პარლამენტის (სეიმი) თავმჯდომარის მოადგილეს იანის სტრაუმეს შეხვდა.

საღამოს კი მიხეილ სააკაშვილმა ლატვიის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა.

*საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## პარლამენტის თავმჯდომარემ და აშშ-ს ელჩმა საქართველოში საპარლამენტო სტაჟირების პროგრამის პრეზენტაცია გამართეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა გუშინ პარლამენტში ახალ საპარლამენტო სტაჟირების პროგრამის პრეზენტაცია გამართეს. პროგრამა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის არის განკუთვნილი.

"საპარლამენტო სტაჟირების პროგრამა აუცილებელი და საჭირო რესურსი იქნება პარლამენტისათვის. სტაჟიორები მონაწილეობას მიიღებენ საკომიტეტო საქმიანობაში. როგორც მკვლევარები, მოამზადებენ ნაშრომებს პარლამენტარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე და დაეხმარებიან პარლამენტის წევრებს, დროულად უპასუხონ მოქალაქეთა შეკითხვებს," - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რიჩარდ მაილსის განცხადებით კი, სტაჟიორები ამერიკის კონგრესშიც არიან და დღეს ეს პრაქტიკა მსოფლიოში მიღებულია. საპარლამენტო სტაჟირების პროგრამა არის საპარლამენტო ზედამხედველობის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, რომელსაც აფინანსებს USAID და ხორციელდება NDI-ის მიერ," - აღნიშნა მაილსმა.

მისი თქმით, პროგრამის მიზანია, განავითაროს პარლამენტის წევრის პოლიტიკური და საკანონმდებლო უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმების პროცესსა და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. NDI სტაჟიორებს სპეციალურ ტრეინინგებს ჩაუტარებს საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის საკითხებში.

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ცხრა პარლამენტარისგან იყო დაკომპლექტებული, 100 მსურველისგან 10 სტაჟიორი შეარჩია. შვიდი სტაჟიორი კომიტეტებს დაეხმარება საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო სამი სტაჟიორი პარლამენტის თავმჯდომარის აპარატში იმუშავებს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკანონოს უწოდებს და აცხადებს, რომ აფხაზეთში ანტიქართულ ძალებს გეგმები ჩაეშალათ.

როგორც სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის ყურადღებით აკვირდება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს და მიაჩნია, რომ ყველაზე ექსტრემისტული და რადიკალური ძალა სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

პრეზიდენტის თქმით, ის მზადაა საქართველოში მშვიდობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად რიგით აფხაზთანაც კი გამართოს მოლაპარაკება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გომიაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის უნდა არსებობდეს "შეთანხმებული გრაფიკი ან დოკუმენტი" საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე "ზემო ლარსის" საკონტროლო-გამშვები პუნქტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

თუ მიზეზთა გამო სრული დატვირთვით ვერ მუშაობს პუნქტი, ეს ქართულმა მხარემაც უნდა იცოდეს, რათა როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ წინასწარი ინფორმაცია, როდის შეძლებენ საზღვრის გადაკვეთას, - აცხადებს გომიაშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონის შს განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაბა შორაპანში ადგილობრივი მკვიდრი, 20 წლის ოთარ ბაღდავაძე და 29 წლის თბილისელი გელა ტეფნაძე დააკავეს, რომელთაც პირადი ჩხრეკისას "ნაგანი" და საფანტის უნომრო პისტოლეტი აღმოაჩნდათ. დაკავებულებმა აღიარეს, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს შორაპანში მიკროავტობუსს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის ოპერატიულ განყოფილებაში დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების მუხლით სააქციო საზოგადოება "სპეცმშენის" დირექტორის, თამაზ ჩოგოვაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

საგადასახადო ინსპექციამ "სპეცმშენის" 2002-2004 წლებში მუშაობა შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ ამ სააქციო საზოგადოებას საგადასახადოში წარდგენილ დეკლარაციებში ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხები ხელოვნურად აქვს შემცირებული. რიგ შემთხვევებში კი ისინი მალავდნენ და საერთოდ არ მიუთითებდნენ, რომ თანხები გადასახდელი ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, სააქციო საზოგადოება "სპეცმშენს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 25 ათას ლარზე მეტი აქვს გადასახდელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს "ჩიორა" დაზგა-დანადგარების (პლასტმასის ბოთლების გასაბერი მოწყობილობა) დამამზადებელი ფირმაა. ორგანიზაცია რუსთავის საგადასახადო ინსპექციაში დგას აღრიცხვაზე და მისი დირექტორი აბრაამ (პაატა) მამასაშვილია. 2003 წელს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ დეკლარაციაში ფირმის ხელმძღვანელობამ დღგ-ს გადასახადი ხელოვნურად შეამცირა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტს 26135 ლარი დაუმალა. ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილებამ სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების მუხლით აღძრა. სანქცია-საურავების ჩათვლით მამასაშვილს ახლა 58000 ლარი აქვს გადასახდელი. **მედია-ნიუსი**

## აფხაზეთის "უნიკალური მაიმუნები"

პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით კრემლის მასმედია მის ხელთ არსებული ყველა მეთოდით ცდილობს, გამართლება მოუძებნოს აფხაზი მოსახლეობის არჩევანს, რომელმაც მათთვის გასაოცრად, 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და მხარი არ დაუჭირა ვლადიმირ პუტინის რჩეულს - რაულ ხაჯიმბას.

**"11 ოქტომბერს, საღამოს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სენსაციური განაცხადი გააკეთა - საპრეზიდენტო რბოლაში გამარჯვებულია 56 წლის სერგეი ბაღაფში, რომელსაც ანალიტიკოსები უფრო "თბილისის აგენტად" მიიჩნევენ, ვიდრე რუსეთის,"** - წერს რუსული ელექტრონული გაზეთი "გაზეტა რუ", რომელიც ოფიციალური თბილისის დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებისადმი **"თავშეკავებულ ზეიმს"** უწოდებს.

ზოგადად რუსული პრესის ხედვა კი ასეთია - აფხაზეთის არჩევნებში დამარცხდა კრემლი და გაიმარჯვა საქართველომ. ამის ერთადერთ საბუთად კი თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებებში მოყვანილია სერგეი ბაღაფშის მეუღლის ქართული წარმომავლობა.

თუმცაღა, კრემლის მასმედიის ამ კუთხით გააქტიურება გასაკვირი არც უნდა იყოს, რამდენიმე დღის წინ თავად აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ ოპოზიციონერი სერგეი ბაღაფში თბილისს დაუკავშირა.

**"აფხაზეთის ცესკო-მ სერგეი ბაღაფშის მომხრეთა მუქარითა და ზეწოლით, უმაღლესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მიიღო უკანონო და აბსურდული გადაწყვეტილება, სადაც ლაპარაკია პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის გამარჯვებაზე. ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაც ვერ აკონტროლებს ამ პროცესებს, მოკლებულია საფუძველს. სახეზე გვაქვს კარგად მოფიქრებული აქციები, რომელიც თბილისის სცენარით ხორციელდება და რომლის უკან თოჯინების გამოცდილი ოსტატი დგას. არსებითად აფხაზეთში ხორციელდება მცოცავი გადატრიალება,"** - განაცხადა ვლადისლავ არძინბამ.

მაგრამ, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ვლადისლავ არძინბა უკვე რამდენიმე წელია, რაც ავად არის და იგი თვალით არავის უნახავს, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რომელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი და კრემლის რჩეული პრეზიდენტობის კანდიდატი საუბრობს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით.

არ ცხრება თავად ცესკო-ს მიერ პრეზიდენტად აღიარებული სერგეი ბაღაფშიც: **"მაშინ, როდესაც ჩვენ ყველა წარმოქმნილი პრობლემის მშვიდ ვითარებაში გადაჭრას ვცდილობთ, ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა მსგავს განცხადებებს აკეთებს. არ შეიძლება სიტუაციის დაძაბვა, სამოქალაქო ომისკენ მოწოდება. ეს საშიში განცხადებაა,"** - ამბობს იგი.

ამასთანავე, სერგეი ბაღაფში დღეს სოხუმში "აფხაზი ხალხის საერთოეროვნულ ყრილობას" იწვევს. მისი თქმით, აფხაზეთის კონსტიტუციით, სწორედ ყრილობამ, რომელშიც დაახლოებით 20 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ გახდეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი.

ხაჯიმბას მომხრეებმა კი სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის შენობა დაიკავეს და აცხადებენ, რომ მას მანამ არ დატოვებენ, ვიდრე რესპუბლიკის მეთაურის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით **"სამართლებრივი და კანონიერი გადაწყვეტილება"** არ იქნება მიღებული.

ფილარმონიაში სიტყვით გამოსვლისას კი რაულ ხაჯიმბა აცხადებს: **"თუ არ არსებობს სხვა გზა იმისათვის, რომ ჩვენი ერის კონსოლიდირება მოვახდინოთ, მაშინ მე რადიკალური ზომების მიღებისთვის მზად ვარ - საპრეზიდენტო არჩევნებში სერგეი ბაღაფშთან ერთად მოვხსნი საკუთარ კანდიდატურას."**

ამ ვითარების ფონზე, აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზიის მთავარი რედაქტორი ოთარ ლაკრბა ოცამდე წამყვან ჟურნალისტთან ერთად სამუშაო ადგილიდან წასვლის შესახებ განცხადებას წერს. მათი განცხადებით, გადაწყვეტილება გამოწვეულია პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო შტაბების მხრიდან ზეწოლით.

**"პირადად მე არ ვარ თანახმა, რომ ასეთ რეჟიმში ვიმუშაო. ტელევიზიის კოლექტივის უდიდეს ნაწილს არ შეუძლია ასეთი ზეწოლის ქვეშ მუშაობა. ჩვენ გვსურს ობიექტურად და მიუკერძოებლად მოვიხადოთ ჩვენი პროფესიული ვალი და არა ის, რომ შევასრულოთ პოლიტიკური დაკვეთები,"** - განაცხადა ლაკრბამ.

მოგვიანებით, სახელმწიფო ტელევიზიის კოლექტივმა პრემიერ-მინისტრ ნოდარ ხაშბას მთავრობისგან **"ტელევიზიის საეთერო პოლიტიკაში გარეშე პირთა ჩარევის შეწყვეტა"** მოითხოვა.

მთავრობის მეთაურის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ სამშაბათს საღამოს ტელეეთერში აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატის სერგეი ბაღაფშის მაკომპრომეტირებელი გადაცემა გავიდა, რომელიც მაუწყებლობის პროგრამით არ იყო გათვალისწინებული და რომელმაც რესპუბლიკაში ვითარების მკვეთრი დესტაბილიზაცია გამოიწვია. მისი ტრანსლაცია სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის ხელმძღვანელობის და სარედაქციო კოლექტივის უმრავლესობის დაუკითხავად განხორციელდა.

ჟურნალისტები პრემიერ ხაშბასთვის გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავენ, რომ ამგვარი გადაცემები "ძაბავს ისედაც დაძაბულ სიტუაციას საზოგადოებაში და ტელეკომპანიის საეთერო პოლიტიკას ეწინააღმდეგება".

პრემიერისადმი მიმართვას ხელს დაახლოებით 30 ტელეჟურნალისტი აწერს.

ბოლოს კი საინტერესო იქნება რუსული პრესის გაწონასწორებული, მაგრამ ირონიანარევი დასკვნა აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელსაც გაზეთი "იზვესტია" აქვეყნებს.

**"ამჟამად აფხაზეთში ვერაფერს ხვდებიან და უკვე არც არაფერს ელიან, მგონი, მხოლოდ სოხუმის ცხოველთსაშენის უნიკალური მაიმუნები - მათთვის უცხო არ არის არც ექსპერიმენტები, რომლებსაც მათზე კაცობრიობისთვის ატარებენ და არც სიცივე თუ შიმშილი, რაც 90-იან წლებში გადაიტანეს. თანაც მათ არაფერი არ უნდა დაუმტკიცონ არც უმაღლეს სასამართლოს და არც აფხაზეთის მოსახლეობას, რომელიც, არჩევნების ნებისმიერი შედეგისას, მათ გასაჭირში მიტოვებას მაინც ვერ შეძლებს."**

## ყურძნის ჩაბარების პრობლემა მთავრობამ კანონდარღვევით გადაჭრა

ყურძნის ჩაბარების პრობლემა მთავრობამ კანონდარღვევით გადაჭრა. როგორც გუშინ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გაირკვა, მთავრობამ უარი თქვა ბიუჯეტში თეთრი ყურძნის შესყიდვისთვის გამოყოფილი 600 ათასი ლარის ტენდერით განაწილებაზე და, არსებული ფორსმაჟორის გამო, თანხა ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მსურველ ღვინის შვიდ ქარხანაზე გადაანაწილა.

ამასთან, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გარეშე გადაწყდა, რომ 600 ათასი ლარის ნაცვლად, ყურძნის მიღებისათვის ღვინის ქარხნები ბიუჯეტიდან 1 მილიონ 5 ათას ლარს მიიღებენ. აღნიშნულ თანხას ღვინის ქარხნები ბიუჯეტს 2005 წლის 1 სექტემბრამდე დაუბრუნებენ.

როგორც კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ სარჯველაძემ განაცხადა, 17 ოქტომბრის მდგომარეობით, კახეთის მხარეში წარმოებულია 97 ათასი ტონა ყურძენი, რომლის 30 პროცენტი - 31 ათასი ტონა ღვინის ქარხნებმა გადაამუშავეს. "მომავალ წელს შეიძლება, ყურძნის მიღების მსურველი ღვინის ქარხნები აღარც იყოს, რადგან ყველა ქარხანას საკუთარი ვენახი გააჩნია," - განაცხადა სარჯველაძემ.

ღვინის ქარხნებს ბიუჯეტიდან თანხა ჯერ არ მიუღიათ, თუმცა ქარხნების ხელმძღვანელები პრემიერ-მინისტრს სიტყვაზე ენდნენ და გლეხებისგან ყურძენი თანხის მიღების იმედად ჩაიბარეს.

*ინტერ-პრესი*

## საპარლამენტო უმრავლესობა კიდევ სამმა დეპუტატმა დატოვა

პირველი გვერდიდან

მაშ ასე: გუშინ საპარლამენტო უმრავლესობა ფრაქცია "ნაციონალ-დემოკრატების" ერთმა დეპუტატმა გიგა ბუკიამ და სახელისუფლებო ფრაქცია "მაჟორიტარის" ორმა წევრმა გიორგი ცანავამ და ბიძინა გუჯაბიძემ დატოვეს (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოფიციალურად, საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ ფრაქცია "ნაციონალ-დემოკრატების" წევრებისაგან შედგება და მასში არ ირიცხება ფრაქცია "მაჟორიტარი". თუმცა არაოფიციალურად მაჟორიტარები მაინც უმრავლესობის პოლიტიკის გამტარებლები არიან).

გუშინ განდგომილმა დეპუტატებმა პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის სამუშაო ოთახში პრესკონფერენციაც გამართეს და იმ მიზეზებზე ისაუბრეს, რომლის გამოც მათ უმრავლესობის რიგები დატოვეს. ისინი განსაკუთრებულ აქცენტს პარლამენტის იმ გადაწყვეტილებაზე აკეთებდნენ, რომლის "წყალობითაც", საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნა ვერ მოხერხდა.

გიგა ბუკიას თქმით, მას არ სურს იმ დეპუტატებთან ერთად ფრაქციაში ყოფნა, ვინც ჯერ მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნას და შემდეგ საკუთარი ხელმოწერა უკან გაიწვია. **"მე ვერ შევძლებ იმ ხალხთან თანამშრომლობას და აზრიც არა აქვს ჩემს ყოფნას ფრაქციაში. ისინი, ალბათ, ვიღაცის შეკვეთას ასრულებდნენ,"** - ასეთი კატეგორიული იყო ბუკია. ბიძინა გუჯაბიძის თქმით კი, **"საპარლამენტო უმრავლესობა სახელმწიფოებრივი აზროვნებისთვის მომზადებული არ არის".**

საინტერესოა, რომ გუშინ სამივე დეპუტატმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, უმრავლესობის ლიდერები მათთან დაზავებაზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ დეპუტატები არ **ემიჯნებიან "პრეზიდენტის პოზიციას ქვეყნის მართვის ძირითად საკითხებში, თუმცა მას მხარს ისე დაუჭერენ, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი დეპუტატები".**

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისთვის უმრავლესობიდან წასული დეპუტატების საქციელი გაუგებარი აღმოჩნდა.

**"არ მინდა, მკვეთრი ვიყო, მაგრამ ეს, როგორც მინიმუმ, არაკორექტულია. არ ვიცი, რა არის მათი გასვლის მიზეზი. რომ ვიცოდე, ამისათვის საჭიროა, დეპუტატებმა ჩათვალონ თავი ვალდებულად და ელემენტარული ეთიკის ნორმა დაიცვან. იქნებ, ჩვენ ვითვალისწინებთ მათ პრეტენზიებს? იქნებ, მათი პრეტენზიები მართლაც არგუმენტირებული და სამართლიანია და ვაპირებთ მის გათვალისწინებას ჩვენს საქმიანობაში? როცა არ ხდება წინასწარი გასაუბრებები, დეპუტატთა უმრავლესობიდან გასვლა თვითმიზანს ჰგავს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

გაცილებით მკვეთრი ტონი ჰქონდა უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის კომენტარს, რომელმაც სამივე დეპუტატს "სექტანტები" უწოდა. ნადირაძის განცხადებით, ერთ-ერთი მათგანი - დეპუტატი გიგა ბუკია პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის ნათესავია და **"უმრავლესობის დატოვების მიზეზს მას შემდეგ ეძებდა, რაც საპარლამენტო უმრავლესობა თავად ძიძიგურმა დატოვა".** მისი შეფასებით, **"ასაღელვებელი მხოლოდ ისაა, რომ პარლამენტში სექტანტურ მოძრაობას აქვს ადგილი".**

სამაგიეროდ, გუშინ აშკარად კმაყოფილი იყო ზვიად ძიძიგური, რომელიც დარწმუნებულია, რომ სულ მალე მას და კობა დავითაშვილს ნატვრა აუხდებათ და მათ საკუთარი ფრაქცია ექნებათ. **"ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ რაც შეიძლება ბევრმა დეპუტატმა დატოვოს უმრავლესობა. ასე, მაგალითად, გუშინ ხელისუფლებამ ხელების გადაგრეხვით აიძულა უმრავლესობის წევრები, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის ხმა არ მიეცათ,"** - ასე აუბა მხარი ძიძიგურმა უკვე საკუთარ თანაგუნდელებს.

გუშინვე "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე კვლავ საპარალმენტო უმრავლესობის რღვევის გარდაუვალობაზე ალაპარაკდა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა "ხელოვნურად შეკოწიწებულ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენს".

გამყრელიძის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის პროცესს პრეზიდენტ სააკაშვილის რეიტინგის დაცემა უწყობს ხელს. **"პრეზიდენტის რეიტინგი ეცემა და უმრავლესობაც, მინიმუმ, ოთხ ჯგუფად დაიშლება. ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის გუნდები ცალცალკე წავლენ და შიდა დინებებით, კიდევ რამდენიმე გუნდი ჩამოყალიბდება. ამ დროს ძირითად პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიცია კოორდინაციისათვის იბრძოლებს,"** - აღნიშნა მან. ამასთან, გამყრელიძის თქმით, ოპოზიციის გაერთიანება თვითმიზანი არ არის. "ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარებას არ ვაპირებთ," - დასძინა მან.

კორუფცია და სნობიზმი ჩვენს კულტურაში



B2

ერთი ხომ უნდა წაგვეგო



B4

შტრიხები ქალაქის პორტრეტისთვის



B7

ნომრის სტუმარი

# როგორ ვუშველოთ ხელისუფლებას...

A1 გვერდიდან

მთავარი შეცდომა - ხელიდან გაუშვეს საქართველოში კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დამკვიდრების უნიკალური შანსი.

ერთი წელი ძალიან ცოტა დროა იმისთვის, რომ სრულყოფილად გავაანალიზოთ რევოლუციის შედეგები ან ვიმსჯელოთ ახალი ხელისუფლების სისუსტეებსა და სიძლიერეზე. მით უფრო, მცირეა რაიმე სერიოზული დასკვნების გასაკეთებლად. რაოდენ პროფესიონალური და მოტივირებულიც არ უნდა იყოს ხელისუფლება, შეუძლებელია 11 თვეში სერიოზული ცვლილების ჩვენება, რომელიც მასობრივი სიღატაკის ფონზე ხალხს სულის მოთქმის საშუალებას მისცემს. იმ მემკვიდრეობის ფონზე, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას დახვდა, ქვეყანაში ეკონომიკური ბუმის მოლოდინი, ან სერიოზული სოციალური გარღვევა აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო და, შესაბამისად, მოლოდინიც არ გაგვცრუებია. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს ხელისუფლების სათავეში მყოფი ძალები ბოლო ერთი წლის მანძილზე ყველაზე უხვად სწორედ ამგვარ დაპირებებს არიგებდნენ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების დაპირებასთან ერთად.

**- მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, ერთი წელი საკმარისია ახალი ხელისუფლების არჩევანზე, კურსზე და იმ მთავარ პრობლემებზე საუბრისთვის, რომელიც ახალ საქართველოში გამოიკვეთა.**

- რევოლუციიდან ერთი წლის განმავლობაში ჩემი მთავარი და, შესაძლოა, ერთადერთი მოლოდინი იყო სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა. მეტი ნდობა და თანამშრომლობის, ახალი საქართველოს ერთად შენების სურვილი. როგორც ჩანს, ჩემი იმედები იმის შესახებ, რომ უპირობო ნდობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობამ ერთ ადამიანს გამოუცხადა, თანდათანობით სახელმწიფოსადმი მზარდ ნდობად იქცეოდა და სწორედ პრეზიდენტი იქნებოდა ამგვარი ნდობის ზრდის წამახალისებელი, უსაფუძვლო გამოდგა. როგორც ჩანს, არც არჩევნებზე გამოხატული ნდობა იყო უპირობო.

ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც პრაქტიკულად შეუძლებელია, ქვეყნის პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა უკვე დაუშვა - მათ ხელიდან გაუშვეს საქართველოში კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დამკვიდრების უნიკალური შანსი.

მზარდი ნდობის სანაცვლოდ, რომელიც ხალხისა და საზოგადოების მუდმივ დიალოგს უნდა დაფუძნებოდა, მივიღეთ საზოგადოება, რომელიც რევოლუციიდან ერთი წლის თავზე უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც გაყოფილი და ხელისუფლებისგან გამიჯნულია, ისევ დაეჭვებული და უნდობლობით აღვსილია და რაც ყველაზე სამწუხაროა, სავარაუდოდ, იმედდაკარგულია.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა კანონის უზენაესობისა და კანონმორჩილების დამკვიდრების თვალსაზრისით. სამართლიანობის აღდგენის, თანასწორობის, ადამიანის უფლებების და ღირსების პატივისცემის მოთხოვნით მომხდარი რევოლუციის ფონზე, შედეგები ძალზე საგანგაშოა. იმის ნაცვლად, რომ ახალი ხელისუფლების სხვადასხვა რანგისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პირების, ისევე როგორც თავად პრეზიდენტის, თითოეული საჯარო გამოსვლა კანონიერების კულტურის განმტკიცებას მოხმარებოდა, პოსტ-რევოლუციური რიტორიკა თითქმის არ შეცვლილა. განსხვავებული აზრის მატარებლები ისევ ქვეყნის მტრებად და მოღალატეებად ირაცხებიან, კვლავაც სახეზეა კანონის საკუთარ თავზე მორგების პრაქტიკა. მუდმივი განგაშის, გარეშე მტრის ძიების და, შესაბამისად, ვნებების გარეთ გატანის ტაქტიკა ისევ წარმატებულად მუშაობს. მრავალი სხვა პრობლემა, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენი საზოგადოების თანმდევი იყო, ფაქტობრივად, არ შეცვლილა.

რაც შეიცვალა, არის ის, რომ დღეს გვყავს მინისტრი, რომელიც თავს ვალდებულად არ თვლის საკუთარ მოსახლეობას აუხსნას და განუმარტოს თავისი გადაწყვეტილებების მიზანშეწონილება და სანაცვლოდ ბილწსიტყვაობით ცდილობს საწინააღმდეგო აზრის მოგერიებას. დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც ღიად მადლობას იხდის ადამიანების წამებისთვის. ყველაზე მოულოდნელი მაინც ის საკონსტიტუციო ცვლილებები იყო, რომელიც პარლამენტმა პრეზიდენტის ინიციატივით და მოთხოვნით მიიღო. შევარდნაძის ნაოცნებარი და მრავალტანჯული ცვლილებები სააკაშვილმა დაახლოებით ერთ კვირაში აქცია რეალობად. შედეგად - სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის სანაცვლოდ კონსტიტუციური ბელადი მივიღეთ, რაც, თავის მხრივ, არჩევნების შედეგების სამართლებრივი გაფორმება იყო.

**- აქვს თუ არა დღეს რეალური გავლენა ძალებს, ვისაც ხალხმა პრეზიდენტთან ერთად გამოუცხადა ნდობის მანდატი?**

- იმის მიუხედავად, თუ კიდევ ვინ იყო პოპულარული და ვინ იწვევდა ხალხის სიმპათიებს - რევოლუციის შემდეგ ჩატარებულ სამივე არჩევნებში ხალხმა ხმა მისცა ერთ კაცს, პრეზიდენტს და ქვეყნის მართვის მანდატიც მას ჩააბარა, ამას ვერ დავუკარგავთ. რამდენადაც ქვეყნის განვითარებისთვის კარგი და უმნიშვნელოვანესია ლეგიტიმური ხელისუფლება, იმდენად ძნელია მართო ქვეყანა, როდესაც ამხელა ტვირთს ატარებ. არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის, ანუ საქართველოს აქტიური მოქალაქეების 90 პროცენტზე მეტის მხარდაჭერა ნამდვილად არ არის ყველაზე სასურველი შედეგი დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნისათვის. ჩემი აზრით, დღეს სწორედ ამ შედეგის ნაყოფს ვიმკით.

**- მაქედან როგორ გამოიყურება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები?**

- 2004 წლის აგვისტოში, ყველაზე რთული გადაწყვეტილება, რომელიც, შესაძლოა, მიმეღო ქვეყნის დატოვება და 5 თვით ამერიკაში წასვლა იყო. ამგვარი გადაწყვეტილების სირთულე ბევრი მიზეზით იყო გამოწვეული. თანაც აქტიური საზოგადოებრივ-რევოლუციური ცხოვრებიდან ბიბლიოთეკაში, ლექციებზე და ზოგადად აკადემიურ გარემოში დაბრუნება არცთუ ადვილია, მაგრამ ყველაზე ძნელად შესაგუებელი მაინც იმის განცდა იყო, რომ თითქოს გავიქეცი.

თუმცა, ამ პროგრამას ამოსუნთქვის საშუალება დავარქვი. აქედან ყველაფერი სხვაგვარად ჩანს. როდესაც ყოველდღიურობის მონაწილე არ ხარ, არ იცი, რა ხდება კულუარებში და მხოლოდ იმ ინფორმაციით იკვებები, რომელსაც მედიის საშუალებები, ან უკეთეს შემთხვევაში, ოჯახის წევრები და მეგობრები გაწვდიან, ძნელია სწორი დასკვნების გაკეთება. მუდმივად გგონია, რომ სამყაროს სხვისი თვალებით უყურებ. თუმცა, აქ ყოფნის საუკეთესო მხარე ბევრი ფიქრის, წარსულის შეფასების და მომავალის განსჯის საშუალებაა. ამასთანავე, დაინტერესებული და დაუზარელი ადამიანისთვის იელის უნივერსიტეტში ყოფნა და მისი აკადემიური რესურსების ხელმისაწვდომობა, ალბათ, ყველაზე უფრო დიდი ოცნებაა. როდესაც უყურებ მსოფლიოს, გლობალიზაციას, ერაყის ომს, ამერიკის ინტერესებს და მის როლს სამყაროს სხვადასხვა კუთხეში - გაცილებით უფრო მარტივი გეჩვენება საქართველოში ცხოვრება და პრობლემები. ამასთანავე, არ გტოვებს ფიქრი იმაზე, რომ სამყაროს მხოლოდ ერთი პატარა წერტილი ხარ და შესაძლოა, არც თუ ყველაზე მნიშვნელოვანი. შესაბამისად, მხოლოდ შენი ასაშენებელია შენი მომავალი. მეგობრები იმისთვის არსებობენ, რომ დაგეხმარონ, მაგრამ შენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებს და ეს მხოლოდ ბედნიერებაა. უმეტეს ქვეყნებს, სადაც სხვა ინტერესების გამო "დიდი ძმები" მივიდნენ და დემოკრატიული განვითარების მოტივით "აღმშენებლობა" დაიწყეს, მხოლოდ საერთო ტრაგედია აერთიანებთ. ჩვენ ამ ვალდებულებისგან თავისუფალი ვართ.

როდესაც ამ გადასახედიდან განვლილ ერთ წელიწადს უყურებ, ქვეყნის ბედით შეწუხებულ ადამიანს მხოლოდ სინანულის განცდა შეიძლება დაეუფლოს - რატომ ვერ სწავლობენ ადამიანები სხვების შეცდომებზე, ან თუნდაც საკუთარ წარსულ შეცდომებზე, რაც დღეს ხელისუფლებაში მყოფი ზოგიერთი პირისაგან უფრო მოსალოდნელი იქნებოდა.

**- ეროსი კიწმარიშვილი ჯერ სავაჭრო პალატის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა და შემდეგ - "რუსთავი 2"-დანაც. რა პროცესებთან გვაქვს საქმე? ვისი და რისი ჯერი დგება?**

- არ ვიცი, რა მოხდა "რუსთავი 2"-ში და რატომ წავიდა ეროსი კიწმარიშვილი. ხმები, რომელიც საზოგადოებაში მუსირებს, ძალზე შემაშფოთებელი და სამწუხაროა. ერთადერთი, რაც შემიძლია გავიხსენო - სწორედ ამ ერთი წლის ქართული მედიაისტორიაა.

როდესაც დაიხურა "ღამის კურიერი" და ინგა გრიგოლიას გადაცემა, ადამიანების ერთ ჯგუფს და მათ შორის მეც, პროტესტის გრძნობა გაგვიჩნდა. პროტესტი იმის გამო, რომ არჩევნების წინ ორი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური გადაცემა გაქრა და იმის გამოც, რომ ახალ საქართველოში მსგავს გადაცემებს ახალი ელფერი უნდა შეეძინა. ამის სანაცვლოდ ისინი დაიხურა. ჩვენი პროტესტი იმითაც იყო გამოწვეული, რომ არავინ ჩათვალა საჭიროდ, აეხსნა, რა მოხდა, რატომ აღარ იყო საჭირო დებატები. რეორგანიზაცია და ახალი ფორმატი იყო ორი პასუხი, რომელიც მივიღეთ. ამის შემდეგ დაიხურა მთელი ტელევიზია (მე-9 არხი) და ისევ მხოლოდ მითქმა-მოთქმა და ჭორები, არავითარი ახსნა-განმარტება. ამას მოჰყვა მედიის სხვა საშუალებების გაქრობის სერიალი და ისევ არავითარი ახსნა-განმარტება, თუ არ ჩავთვლით ტელეკომპანია "იბერიის" შემთხვევას, სადაც ინფორმაციის ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა.

ბუნებრივად იბადებოდა კითხვები, რომელზეც პასუხის გასაცემად არავინ



გოგიტა ბაბაიძის ფოტო

*ვინ იქნება შემდეგი? ნებისმიერი ჩვენთაგანი! თუკი დაგროვილ საგადასახადო ვალდებულებებს და ფინანსურ მაქინაციებს ვერ მოგვიძებნიან, მუდმივ მზადყოფნაშია მრავალგზის ნაცადი ნარკოტიკების ან იარაღის ჩაგდების ტექნოლოგია.*

დღევანდელი ერთპარტიული და რევოლუციის შარავანდედით დამშვენებული ხელისუფლების პირობებში, დამოუკიდებელი მედიის გაქრობა ქვეყნის მარცხის და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების კიდევ 10 წლით გადადების პირდაპირპროპორციულია.

თავი არ შეიწუხა. სწორედ ნდობის დეფიციტი განაპირობებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ჯერ ზღვარის გავლებას და შემდეგ ურთიერთგამიჯვნას. ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებისადმი ნდობა ძალზე დაბალია და სადაც ყველაფერი ცუდის მიზეზი ხელისუფლებაა, ძნელია საზოგადოება დაარწმუნო, რომ არაფერ შუაში ხარ. მახსოვს ხელისუფლების წამორმადგენლების ცინიკური გამონათქვამები, რომელიც მუდმივად თავის მართლებასავით ისმოდა ეთერში - "კარგით რა, ვინმეს სჯერა, რომ "ღამის კურიერში" ან რომელიმე გადაცემაში ნათქვამის გვეშინია?!". ეს იყო სწორედ დასაწყისი იმ პრობლემებისა, რომელიც შემდეგ ახალი სიმწვავით იჩენდა თავს და ბოლოს "ვიღაცების ყიყინის" შესახებ პრეზიდენტის ცნობილი გამოთქმებით დაგვირგვინდა. საკუთარი ამომრჩევლისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ დაამხო წინა რეჟიმი და ყველაზე მეტად ხალხი სწორედ უპატივცემლობას და აბუჩად აგდებას არ პატიობს საკუთარ ხელისუფლებას. აზრის გამოხატვისა და კრიტიკისადმი ასეთი დამოკიდებულება, ალბათ, ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო თითოეული ჩვენგანისთვის.

სწორედ პოსტრევოლუციურ გარიჟრაჟზე გაჩნდა პირველი ეჭვი, რომ მედიის საშუალებები ვერ უძლებდნენ ზეწოლას და, უბრალოდ, უკეთესი მომავლის იმედით დროებით გაცლას ამჯობინებდნენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ლოგიკა - "გაზეთი მისია და როცა უნდა, დახურავს და როცა უნდა, გამოსცემს" - დამღუპველი და არასწორია. მიუხედავად იმისა, თუ ვისი საკუთრებაა მედიის საშუალება და რა კომერციული ინტერესებით არის ნაკარნახევი მისი დახურვა, ან თუნდაც გასხვისება, საზოგადოებას ყველა უფლება აქვს, იცოდეს სიმართლე და მიზეზები. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პოპულარულ გადაცემებს ან მედიის საშუალებებს. ასეთი ცოდნა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და სიტყვის თავისუფლების რეალიზაციისათვის.

**- დღეს საუბრობენ, რომ ახალ ვითარებაში მედიის ყველა დღემდე არსებული საშუალება წარსულში დაგროვილი საგადასახადო ვალდებულებების გამო ობიექტურად ვეღარ იარსებებს...**

- ბიზნესორგანიზაციების დიფერენციაცია არ შეიძლება და ბუნებრივია, კანონის უზენაესობისა და თანასწორობის პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად, ყველა თანაბარ პირობებში უნდა იყოს, მაგრამ თუკი პოსტრევოლუციური სამართალი სელექციურია, მაშინ რატომ ხდება, რომ ამგვარი სელექციის პირველი მსხვერპლი სწორედ მედიაა?

ვინ იქნება შემდეგი? ნებისმიერი ჩვენთაგანი! თუკი დაგროვილ საგადასახადო ვალდებულებებს და ფინანსურ მაქინაციებს ვერ მოგვიძებნიან, მუდმივ მზადყოფნაშია მრავალგზის ნაცადი ნარკოტიკების ან იარაღის ჩაგდების ტექნოლოგია. ან უფრო მარტივი, ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ასე გასაიდუმლოებული იყო თვეების განმავლობაში. თუნდაც მუშა მდგომარეობაში მყოფი კანონპროექტის გასაიდუმლოებას შევარდნაძის მთავრობაც ვერ ბედავდა. თუმცა, სწორედ ეს არის ლეგიტიმური ხელისუფლების ხიბლი.

**- დღეს პრეზიდენტმა საზოგადოებრივ სტაბილურობას პოლიტიკური სტაბილურობა არჩია. რა არის ამაში ორიგინალური და განსხვავებული წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებებისგან?**

- საკონსტიტუციო ცვილებების მიღებით და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებით პრეზიდენტმა დიდი ხნის წინ გააკეთა თავისი არჩევანი. ჩემთვის ძნელია ასეთი არჩევანის ახსნა, კიდევ უფრო ძნელია იმის გაგება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები და პრინციპში, კონსტიტუციური რევოლუცია იმისთვის გვჭირდებოდა, რომ რევოლუციის შემდეგ ასეთი იყო შეთანხმება სამთა შორის?! ჩემი აზრით, ქართველმა ხალხმა ასეთ არჩევანზე პასუხი ჯერ კიდევ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე გასცა და აქტიური, შევარდნაძის მოწინააღმდეგე ოპოზიციური პარტია აირჩია.

**- როგორ განვითარდება მოვლენები, თუკი მედია მთლიანად მოექცევა ხელისუფლების გავლენის ქვეშ?**

- ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართული საზოგადოების ყველაზე დიდი შენაძენი მედია, აქტიური და უშიშარი ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორი იყო. მედიის "გაკოტრება" ან აქტიური პოლიტიკის ავანსცენიდან ჩამოსვლა აბსოლუტურად დამღუპველი იქნება როგორც ჩვენი სახელმწიფოს, ასევე თავად ახალი ხელისუფლებისთვის. კრიტიკისა და ოპონირების გარეშე დარჩენილი ხელისუფლება ყველაზე უფრო საცოდავია და დარწმუნებული ვარ, ამას მმართველი პარტიის ლიდერების უმრავლესობა აცნობიერებს.

შევარდნაძის ხელისუფლების გახრწნის და საბოლოოდ დამხობის მთავარი მიზეზი სიტყვის თავისუფლების და პოლიტიკური დებატის უგულებელყოფა იყო. სიტყვის თავისუფლება მაშინდელ საქართველოში მხოლოდ სტატისტიკით ფასდებოდა - მედიის რაც უფრო მეტ საშუალებას მიითვლიდა ხელისუფლება, მით უფრო მეტი თვითკმაყოფილება ეუფლებოდა და თავს იწონებდა მსოფლიოს წინაშე. თუმცა, სიტყვის თავისუფლების მთავარი არსი დაკარგული იყო, სიტყვა არ ისმინებოდა, კითხვები უპასუხოდ რჩებოდა და საჯაროდ გაკიცხული თანამდებობის პირები წინაურდებოდნენ.

ამ მიმართებით დღევანდელი ხელისუფლების სტრატეგია ჯერ კიდევ უცნობია. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ნეგატიური სტატისტიკური მაჩვენებლებია, თუმცა სიტყვის თავისუფლების ხარისხიც მნიშვნელოვნად დაეცა. პოსტრევოლუციური ეიფორიის, მაღალი ლეგიტიმურობის და თავად მედიის მხრიდან რევოლუციის შედეგებით, როგორც საკუთარი მონაპოვარით ტკბობის სურვილის ფონზე (ბუნებრივია, ეს უკანაკნელი მედიის ყველა საშუალებას არ ეხება), ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ რაც უფრო მოკლე იქნება ეს პერიოდი, მედიასაც და ხელისუფლებასაც გადარჩენის მეტი შანსი აქვს.

**- როგორ გგონიათ, დღეს საზოგადოება დააფინანსებს კიდევ ერთ ე.წ. დემოკრატიულ მონაპოვარს - საზოგადოებრივ მაუწყებლობას, თუ მას იმედები უკვე გაუცრუეს აქამდე არსებულმა ინსტიტუციებმა - სასამართლომ და პარლამენტმა, პროკურატურამ?**

- როგორც უკვე მოგახსენეთ, მთავარი იმედგაცრუება სწორედ ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ზრდის აუცილებლობის უგულებელყოფა იყო. თუმცა, საზოგადოებრივ ტელევიზიასთან მიმართებაში საქმე კიდევ უფრო მძიმედ არის. იგივე ფენომენთან გვაქვს საქმე - საჭიროდ არავინ თვლის, საკუთარ თანამოქალაქეებს დისკუსიებისა და დაძაბულობის გარეშე აუხსნას, რა არის საზოგადოებრივი ტელევიზია, როგორ და რატომ იქნება იგი დღეს არსებული სახელმწიფო ტელევიზიისაგან განსხვავებული, ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად მონიტორინგის როგორი სქემა იმუშავებს და მრავალი სხვა პასუხგაუცემელი კითხვა. ჯერ არშექმნილი საზოგადოებრივი მაუწყებლობა უკვე მონსტრის როლშია, რომელსაც ხან ტელეანძის დაპატრონება უნდა და ხანაც სარეკლამო ბაზრის გაკონტროლება.

ამასთანავე, მედიის ტოტალური მორალური გაკოტრების ფონზე ძნელია დაიჯერო, რომ სწორედ სახელმწიფო შექმნის მედიის უფრო პოზიტიურ და აქტიურ საშუალებას, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებს და მხოლოდ ობიექტურობისა და ნეიტრალობის კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს.

**- პრეზიდენტმა მოგისაკლისათ, როგორც ერთ-ერთი სერიოზული ოპონენტი. როგორ წაიკითხეთ ეს სინანული?**

- მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტს ისევ ვახსოვარ და სასიამოვნოა, როდესაც ამგვარ შეფასებას ისმენ. მინდა იმედი დავიტოვო, რომ ხელისუფლება და განსაკუთრებით პრეზიდენტი არ გაურბის ჯანსაღ კრიტიკას და რაც უფრო მეტი დრო გავა, პოზიციები კიდევ უფრო ნათელი გახდება.

ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ ადამიანების კატეგორიას, ვინც ერთი წლის გადასახედიდან გლოვობს საკუთარ ნამოქმედარს და ძველ დროს მისტირის - დღესაც ზუსტად იგივეს გავაკეთებდი და ისევე მოვიქცეოდი, როგორც ერთი წლის წინ, რადგან შევარდნაძის ხელისუფლების წასვლას ალტერნატივა არ ჰქონდა. ალტერნატივა არ აქვს არც ხალხის გამოღვიძებას და თუნდაც მიღწეულით ხანმოკლე სიხარულს. თუმცა, სწორედ ეს არის ის ვალდებულება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი, ვინც იმ დღეებში რუსთაველის გამზირზე ვათენ-ვაღამაბედით, ვატარებთ - ამ ქვეყანაში მოვლენების იმავე სცენარით განვითარება არ უნდა დავუშვათ. არ დავუშვათ, რომ ჩვენივე არჩეული ხელისუფლება შეურაცხყოფას გვაყენებდეს და გვატყუებდეს.

**- მაგრამ, დღეს ყველაფერი შეიცვალა. ეს არ არის ის საქართველო, რომელიც 2003 წლის ნოემბრამდე იყო და რევოლუციის ლიდერებმა ეს კარგად იციან. როგორ ვუშველოთ ხელისუფლებას?**

- ძალიან ცდებიან, თუკი ფიქრობენ, რომ ხალხი იმედიანად არის და ისევ ღრმა ძილს მისცა თავი - ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც დღევანდელ საქართველოს შეიძლება დაემუქროს. თითოეული ჩვენგანის ვალია, ისევე ფხიზლად და შეუპოვრად ვემსახუროთ ქვეყანას, როგორც ამას შევარდნაძის რეჟიმის პირობებში ვახერხებდით. დღეს ხელისუფლება გაცილებით უფრო ძლიერი და პოპულარულია. თუმცა, როდესაც ხელისუფლების სათავეში ქვეყანაში ყველაზე პოპულარული და არაპოპულარული პოლიტიკოსები არიან, პოპულარობაც პირობითი ხდება. სწორედ ამ ახალ რეალობაშია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კრიტიკა, ქვეყანაში დებატების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მეტი შესაძლებლობების შექმნა და ახალი, პოპულარული ხელისუფლების მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების მრავალმხრივი შეფასება.

დღეს ყველაფერი ხალხის სახელით კეთდება, შესაბამისად, ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი შეხედულებები გამოხატოს, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს, ალტერნატივები შესთავაზოს და ა.შ. დღევანდელი ერთპარტიული და რევოლუციის შარავანდედით დამშვენებული ხელისუფლების პირობებში დამოუკიდებელი მედიის გაქრობა ქვეყნის მარცხის და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების კიდევ 10 წლით გადადების პირდაპირპროპორციულია. სწორედ ასეთ პირობებში ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს დებატები, ზოგადად პლურალისტური საზოგადოება და ხალხის მტრებად არ გამოაცხადოს ყველა, ვინც ამ ისტორიულ მომენტში ბედავს და განსხვავებულ პოზიციებზე დგას.



# აფიშა

## კონცერტები

**სამეფო უბნის თეატრი**
ახალი მუსიკის დღეები - "საქARTველო - 2004"
კომპოზიტორები: ფარაჯ ყარაევი (აზერბაიჯანი), ზვიად ბუცხრიკიძე (საქართველო), ლუჩიანო ბერიო (იტალია), ელმირ მირზოევი (აზერბაიჯანი), ლელა მაქარაშვილი (საქართველო); კოკი ლორთქიფანიძე, მაკა ვირსალაძე.
შემსრულებლები: ანსამბლები "სონორი" (აზერბაიჯანი) და ანსამბლი "სენსუსი" (საქართველო);
დას: 19:00 სთ.

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2004"
დას: 19:00 სთ

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გოეთე
"ფაუსტი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

**ქართული ფოლკლორის თეატრი**
"ნაბადი"
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
მესამე ნიდერლანდურ-ფლანდრიულ-ქართული კულტურის ფესტივალი FER
14:30 - იოს სტელინგის ლექცია
16:00 - "მეისრე" (ი.ს.)
18:00 - "მფრინავი ჰოლანდიელი" (ი.ს.);
20:00 - მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
დას: 12:30; 15:00; 19:30 სთ.

"გარფილდი"
დას: 17:30 სთ.

"ევროტური"
დას: 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"გარფილდი"
დას: 12:00; 16:30 სთ.

"მეფე არტური"
დას: 14:00; 18:00; 20:30 სთ

## გამოფენები

**ძველი გალერეა**
მაკა ვარვარიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
"კოლექციიდან კოლექციამდე"

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
L`ART POUR L`ART
პიერ მენდელისა და მენდელი&ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ანსელმო ძერმის (იტალია) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
მარია ნატალია ვაზ-პირეს ბიეკის (პორტუგალია) ნამუშევართა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# კორუფცია და სნობიზმი ჩვენს კულტურაში

## საჯარო დისკუსია სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*"გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ", - შეიცვალა თუ არა ხელისუფლების დამოკიდებულება კულტურის პოლიტიკისა და კულტურის მოღვაწეებისადმი; რამდენად ღრმად აქვს გადგმული ფესვები სნობიზმს ჩვენს საზოგადოებაში? შეცვალა თუ არა პოპვარსკვლავის სახე პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ? ზოგადად, რა არის კულტურა - დახვეწილი ფორმით მოწოდებული მაღალი ხელოვნება, სამარშრუტო ტაქსებში აჟღერებული მუსიკა, თუ ორივე ერთად?, - სხვა უამრავთან ერთად, ამ შეკითხვებმა განსაკუთრებული სიმძაფრე გუშინ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში საჯარო დისკუსიის დროს შეიძინეს.*



იური ლობოდინის ფოტო

ოქტომბრიდან ფონდში განახლებული საჯარო დისკუსიების ციკლი დაიწყო თემით: სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკა: ახალი მიდგომები? ფონდის ოფისში მომხსენებლების სტატუსით სარგებლობდნენ: დავით ოქიტაშვილი (თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი), გიორგი გვახარია (კინომცოდნე) და ნანა ყიფიანი (ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია); დისკუსიას კი მარინა ელბაქიძე (კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი) წარმართავდა. დისკუსია აბა, როგორ გაამართლებდა სახელწოდებას, თუ მასში არ ჩართავდნენ სტუმრებს. როგორც წესი, ამ უკანასკნელთა შეკითხვებისა და რეპლიკებისთვის განსაზღვრული იყო დისკუსიის მეორე ნაწილი, მოხსენებების შემდეგ, მაგრამ არც ისაა გასაკვირი, რომ ეს ნაწილი დაგეგმილზე ადრე დაიწყო. თუმცა, გულახდილად რომ ითქვას, ზოგჯერ ყალბი წესრიგის დარღვევა სჯობს ასეთ წესრიგს და სტუმართა მხრიდან გაუთვალისწინებელ დროს გამოთქმული რეპლიკებიც ასატანს ხდიდა ზოგიერთი მომხსენებლის (დაკონკრეტება არ მიმაჩნია აუცილებლად) გამოსვლას.

წამყვანს, ალბათ, კეთილი მიზნები ამოძრავებდა, როდესაც დისკუსიის გახსნა დააკისრა სახელმწიფო მოხელეს, იმ უწყების ხელმძღვანელს, ვისაც დედაქალაქში კულტურული ცხოვრების მართვა ევალება. დათო ოქიტაშვილს თავის ათწუთიან მოხსენებაში მინიმუმ პასუხი უნდა გაეცა ყველაზე ლოგიკური და მარტივი შეკითხვებისთვის - რა შეიცვალა ჩვენი ქალაქის კულტურის პოლიტიკაში უკანასკნელი 11 თვის განამვლობაში, რევოლუციის შემდგომ ხანაში? მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პირველმა პირმა საუბარი დაიწყო წინა ხელისუფლების წყალობით ყელში ამოსული ფრაზით: გახდება თუ არა კულტურა სახელწმიფოსთვის პრიორიტეტი? დათო ოქიტაშვილს დიდი იმედი აქვს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ეს ასე იქნება. "ორი წელიწადია ვმუშაობთ ხედვაზე, როგორი უნდა იყოს ჩვენს ქალაქში კულტურული ცხოვრება", - თქვა დისკუსიის პირველმა მომხსენებელმა. ეტყობა, ეს ის ორი წელიწადია, როდესაც ეს უწყება აქტიურად იყო დაკავებული შოუბიზნესისა და მისი "სახელოვანი" წარმომადგენლების "პრომოუშენით", რაც მოგვიანებით არაერთხელ ინანა კულტურის საქალაქო სამსახურის შეფმა. ასე იყო ამჯერადაც: "მე, როგორც კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს, არ მქონდა უფლება, არ დავხმარებოდი ამ ადამიანებს, რომელთაც საკუთარი სახე აჩვენეს; დაანახეს საზოგადოებას, საიდან მოდიან და სად წავიდნენ", - დავით ოქიტაშვილმა ამ ადამიანების დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა საჭირო ნამდვილად არ იყო, ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელია. ოქიტაშვილს არც მის უწყებაში დაგეგმილი კონკრეტული მოქმედებების შესახებ უთქვამს რაიმე. როგორც შეგვპირდა, ნოემბერში პროექტად ჩამოყალიბებული ხედვის პრეზენტაციაზე მიგვიწვევს და ყველაფერს იქ შევიტყობთ. შეგვპირდა სხვა რამესაც: "ქალაქი აღარ დააფინანსებს იმ უმსგავსობას, რასაც აქამდე აფინანსებდა". ოქიტაშვილის საყვედური მასმედიის საშუალებებსაც მოხვდა, რადგანაც ისინი სამსახურის მიერ შოუბიზნესში გაწეული "ღვაწლით" უფრო ინტერესდებოდნენ, ვიდრე გაცილებით სერიოზული (მაგალითად, თბილისში გადარჩენილი ბიბლიოთეკებით, ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკებისა და მეცნიერებისთვის გაწეული დახმარებებით და ა.შ.) საქმიანობით.

კულტურულ ცხოვრებაში მერიის როლის თემა გიორგი გვახარიამ გააგრძელა და თქვა, რომ სასურველი იქნებოდა დისკუსიას ქალაქის მერიც დასწრებოდა. საყვედურის მიზეზი ის უხეში შეცდომებია, რასაც გვახარიას აზრით, ძველ ქალაქზე საუბრისას მერიის ხელმძღვანელები უშვებენ. "ძველი ქალაქის მენეჯმენტი უნდა იყოს სხვაგვარი და არა ისეთი, როგორიც იქნება ვაკეში ან გლდანში", - გიორგი გვახარიამ გუშინდელ დისკუსიაში პირველმა წამოიწყო საუბარი სასტუმრო "ივერიის" ბუნდოვან მომავალზე. თემა დისკუსიის განმავლობაში არაერთხელ გაგრძელდა როგორც მომხსენებლების, ისე სტუმართა რიგებიდან. "თუკი ამ სასტუმროს ბედის გადაწყვეტაში ჩართულები იქნებიან მშენებლები და არა თეორეტიკოსები, ალბათ, მის დანგრევას სჯობს, დარჩეს რაც არის", - ასეთი იყო გვახარიას მოსაზრება სასტუმრო "ივერიის" ბედთან დაკავშირებით.

საინტერესო წიაღსვლებითა და დასკვნებით გამოირჩეოდა გიორგი გვახარიას მოხსენების ძირითადი თემა. სნობიზმისა და კორუფციის როლი ჩვენს კულტურაში, - ძირითადად, ასე შეიძლება დახასიათდეს მოხსენება. რაზე იყო კონკრეტულად საუბარი? ამისთვის გვახარიას შორს წასვლა არ დასჭირვებია და გაიხსენა ყოფილი პრეზიდენტის ცნობილი ლოზუნგი: გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ. გაიხსენა ის თავყრილობაც, რომელზეც შევარდნაძემ კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეები შეკრიბა, როდესაც ბუხართან მიმსხდარი ეს ადამიანები ეპითეტებს არ იშურებდნენ სახელმწიფოს პირველი პირის მისამართით. ეს ფაქტი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაჩნდეს კორუფცია კულტურაში; სათავეებში დანერგილი კორუფცია, საზოგადოებაში სნობიზმის სახით რომ გამოვლინდება. "ვერანაირი რევოლუცია ამ მენტალიტეტს ვერ მოშლის, ეს არის საზოგადოების ნება, მასმედიის ნება", - მომხსენებელმა ნათქვამის საილუსტრაციოდ კიდევ რამდენიმე მაგალითი მოიშველია ახლო წარსულიდან. მაგრამ ეს იყო ახლო წარსულში. რაღაცები არც ახლა იცვლება. "სააკაშვილს სნობიზმს ნამდვილად ვერ ვამჩნევ, მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს საშიშროება პრეზიდენტი და მისი ცოლი პოპვარსკვლავებად გავხადოთ. ვინ ფიქრობს, გაუწიოს ამას წინააღმდეგობა?", - მომხსნებლის შეფარული შენიშვნა უკვე იმ მხარის მისამართით ჟღერდა, ვინც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა (ან, არსებობს გადავარდნის სიმპტომები). საზოგადოებაში პარანოიის დამკვიდრების ნიშნებად კი მომხსენებელმა ჩვენს ტელეარხებზე ბოლო დროს გაჩენილი გადაცემები (სატანისტურ ორგანიზაციებზე) და სიუჟეტები (რომლებიც მოგვითხრობენ, როგორ იზრდიან მამაკაცები სასქესო ორგანოებს იმისათვის, რომ სრულფასოვნად იგრძნონ თავი) მიიჩნია.

სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი რა კავშირში იყო გუშინდელი დისკუსიის თემასთან უკანონო მშენებლობები (თუმცა, კი ნამდვილად აქტუალური და საჭირბოროტო), რაზეც აუდიტორიის გამძაფრებული ინტერესის გამო, საუბარი მოუხდა მორიგ მომხსენებელს ნანა ყიფიანს. ერთი კი ცხადია - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში თუ არა, სადმე სხვაგან ნამდვილად უნდა გაიმართოს საჯარო დისკუსია ამ თემაზეც. ძველი თბილისის გაურკვეველი სტატუსი, პრეზიდენტის რეზიდენციის უკანონი მშენებლობა და სასტუმრო "ივერიის" ბუნდოვანი ბედი ნამდვილად იმსახურებს ამას.

# ფანტაზიორი-პლაკატისტი

გუშინ გოეთეს ინსტიტუტს სტუმარი ჰყავდა გერმანიიდან. ცნობილი გრაფიკული დიზაინერის ჰელმუტ ბრადეს თბილისში ჩამოყვანისა და მისი პლაკატების გამოფენის ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველო-გერმანიის საზოგადოება გახლავთ.

ჰელმუტ ბრადე ყოფილი გდრ-დან, ქალაქ ჰანედანაა. დიზაინერმა ოცდაათწლიანი კარიერის განმავლობაში უამრავი პლაკატი შექმნა. უკანასკნელად მის გამოფენას უმასპინძლა მშობლიურმა ქალაქმა, სადაც ბრადეს 1500 პლაკატი გამოიფინა. ცხადია, თბილისში ამ ნამუშევრების მხოლოდ მცირე ნაწილს იხილავს დამთვალიერებელი.

გამოფენა გოეთეს ინსტიტუტში გუშინ გაიხსნა. გამოფენის გახსნამდე კი მისი ავტორი, გერმანელი სტუმარი გოეთეს ინსტიტუტში შეკრებილ აუდიტორიას პროექტორის საშუალებით ამ პლაკატების ისტორიას მოუთხრობდა და მცირეოდენ ცნობებს იძლეოდა საკუთარი, საკმაოდ საინტერესო, ბიოგრაფიიდან.

ჰემუტ ბრადე თბილისში პირველად შარშან, საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდა. სწორედ მაშინ გაუჩნდა სურვილი საქართველო-გერმანიის საზოგადოებას, სამომავლოდ მოეწვია თბილისში ბრადე საკუთარი გამოფენის წარსადგენად. გუშინ ცნობილი პლაკატისტი გოეთეში შეკრებილ სტუმრებს წარუდგენდა სხვადასხვა თეატრებისა და წარმოდგენებისთვის შექმნილ საკუთარ პლაკატებს; ბრადეს ნამუშევრები ორიგინალურობით გამოირჩევა. სარკაზმი და ირონია დამახასიათებელია მისი თითქმის ყოველი პლაკატისთვის. პლაკატების გარდა, ბრადე რამდენიმე შრიფტის ავტორიცაა. "კალიგრაფია ჩემი სუსტი წერტილია. მე ის ძალიან მიყვარს", - გაგვიმხილა გუშინ სტუმარმა და ისიც გვიამბო, როგორ დამკვიდრდა მის პოეტურ პლაკატებზე სხვადასხვა მწერი. "ამ მწერების გამო მრავალი პოეტი დამიმეგობრდა და მრავალმა ვეღარ ამიტანა", - ამბობს ჰელმუტ ბრადე.



იური ლობოდინის ფოტო

ჰელმუტ ბრადეს ვიზიტით არ ამოიწურება უახლოეს მომავალში გერმანია-საქართველოს საზოგადოების ღონისძიებათა ნუსხა. ხვალ ამ საზოგადოების ორგანიზატორობით გაიხსნება ქანდაკების სიმპოზიუმი, სადაც გერმანელ მოქანდაკესთან - ჰანს შაიბთან ერთად მონაწილეობას ადგილობრივი ხელოვანები, მათ შორის, ფოტოგრაფებიც მიიღებენ. გამოფენა "სახელოსნო კოლხეთში" ხვალ აბრეშუმის ფაბრიკაში გაიხსნება. ***24 საათი***

# მღვდელმთავართა მიმართვის გამო

ორშაბათს, 11 ოქტომბერს "24 საათმა" გამოაქვეყნა სამი ქართველი მღვდელმთავრის მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი. ამ ტექსტის გამოქვეყნებას შესამჩნევი რეზონანსი მოჰყვა დაინტერესებულ წრეებში (თუ ამგვარად შეიძლება მოვიხსენიოთ მთელი ქართველი საზოგადოებრიობა). ამ შემთხვევაში, ვაქცევ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გამოქვეყნების გამო ერთგვარი შეშფოთება გამოთქვეს თვით მიმართვის ავტორებმაც.

ბუნებრივია, გაზეთი "24 საათი" პროფესიული ეთიკის მოსაზრებებზე დაყრდნობით თავს იკავებს ხსენებული ტექსტის მომწოდებელთა დასახელებისაგან. მაგრამ თავის ვალად მიიჩნევს, მოახსენოს მაღალყოვლადუსამღვდელოეს ავტორებს, რომ თვით ტექსტის გამოქვეყნების მოტივი იყო ის იმედი და სიხარული, რომლითაც ყოველი გულწრფელი ადამიანი ხვდება ეკლესიის წიაღში გამოჩენილ განახლებისა და სასიცოცხლო ძვრების ნათელს. მიუხედავად ამისა, ვაღიარებთ, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიგვექცია იმ სიძნელეებისათვის, რომლებიც თან სდევს ყოველ გონიერ წამოწყებას, და არ დაგვვიწყებოდა, რაოდენ სათუთია ახლად აღმოცენებული "მორჩი კეთილი".

**ნოდარ ლადარია**
***"24 საათის"***
***პრეს-ომბუდსმენი.***

# კონცერტი კერსენბროკის დირიჟორობით

დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართება. კონცერტს გერმანელი დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკი უდირიჟორებს, სოლისტი კი გია ქობულაშვილი (ჰობოი) იქნება.

კონცერტის პირველ ნაწილში ჰაიდნი (კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისათვის) და დებიუსი (პრელუდია "ფავნის ნაშუადღევის დასვენება") შესრულდება, მეორე განყოფილებაში კი - სიბელიუსის N1 სიმფონია.

# კიბერ ომი, ღმერთი და ტელევიზია

*გთავაზობთ ინტერვიუს ცნობილ კულტუროლოგთან პოლ ვირილიოსთან, სადაც ის ლაპარაკობს ტელევიზიის მნიშვნელობაზე თანამედროვე სამყაროში.*

**- ტექსტში, "უბედური შემთხვევების მუზეუმი" თქვენ ეხებით მეცნიერების მუზეოლოგიის პირისპირ მდგარი პოზიტივიზმის პრობლემებს და საუბრობთ "მეცნიერების, როგორც ანტი-მეცნიერული მუზეუმის" აუცილებლობაზე.**

**პოლ ვირილიო**: "შემთხვევების მუზეუმის" ბოლო ნაწილში მე ვაფიქსირებ, რომ ტელევიზია მოქმედი მუზეუმია. ტექსტის დასაწყისში კი ვამბობ: გვესაჭიროება უბედური შემთხვევების მუზეუმი, რაც მკითხველს აიძულებს წარმოიდგინოს რაღაც შენობა, სადაც უბედური შემთხვევები ხდება; მაგრამ ბოლოში მე ვამბობ: არა, ასეთი მუზეუმი უკვე არსებობს და ეს ტელევიზიაა.

ჩემს ნათქვამს უბრალო მეტაფორად ნუ აღიქვამთ: კინო უდავოდ იყო ხელოვნება, მაგრამ ტელევიზია ხელოვნება ვერ გახდება იმიტომ, რომ ის უბედური შემთხვევების მუზეუმია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტელევიზიის "ხელოვნება" იმაში მდგომარეობს, რომ იქცეს იმ სივრცედ, სადაც უბედური შემთხვევები მოხდება. მაგრამ ეს მისი ერთადერთი ხელოვნებაა.

**- აქედან გამომდინარე, როდესაც თქვენ საუბრობთ სიმულაციის ინდუსტრიაზე და მის ფუნქციაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ "გააშუქოს" უბედური შემთხვევა, იმისათვის რომ თვითონ არ "გაეშუქოს" უბედურ შემთხვევებს, ამ საკითხთან დაკავშირებით დაუმატებდით თუ არა რაიმეს ტელევიზიასთან მიმართებაში?**

**ვირილიო:** უბედურ შემთხვევებს ვაშუქებთ იმიტომ, რომ თვითონ არ "გავშუქდეთ" მათ მიმართ. ეს ინვერსიაა. ერთი ფრანგული გამონათქვამის მიხედვით, უბედური შემთხვევების მიმართ "გაშუქება", ვთქვათ, როდესაც ქუჩას გადადიხართ უყურადღებოდ, ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეიძლება მანქანამ გაგიტანოთ. ეს უბრალო სიტყვების თამაში როდია; ეს ფუნდამენტური პოზიციაა. მაგალითისათვის, როდესაც მხატვარი თავის ნამუშევრების გამოფენას აწყობს, ჩვენ ვამბობთ: *ის აშუქებს თავის ნამუშევრებს;* ანალოგიურად, როდესაც ქუჩაზე გადავდივართ, ჩვენ "ვშუქდებით" იმისათვის, რომ მანქანამ გაგვიტანოს. ტელევიზია კი მსოფლიოს "აშუქებს" უბედური შემთხვევების მიმართ. მსოფლიო "შუქდება" უბედური შემთხვევების მიმართ ტელევიზიის მეშვეობით. ამას წინათ New York Times-ის ჟურნალისტმა ინტერვიუ მისცა Le Nouvel Observateu-ს და მან თქვა ის, რასაც მე ულაპარაკოდ ვეთანხმები: ტელევიზია კრიზისის მედიაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ტელევიზია უბედური შემთხვევების მედიაა. ტელევიზიას მხოლოდ ნგრევა ძალუძს. ამის გათვალისწინებით და მიუხედავად იმისა, რომ მარშალ მაქლუჰანი ჩემი მეგობარი იყო, მე არ ვიზიარებ მის იდილიურ მოსაზრებას ტელევიზიაზე.

**- მაგრამ უდავოა ისიც, რომ ეს პოზიცია ტელევიზიაზე ადრე სიმულაციის მეშვეობით დაფიქსირდა, ასე არაა?**

**ვირილიო:** სიმულატორი, უპირველეს ყოვლისა, ესაა თავის თავში ჩაკეტილი საგანი, რომელიც განსხვავდება ტელევიზიისაგან და მიმართულია კიბერ (ვირტუალური) სივრცისაკენ. აშშ-ს საჰაერო ძალების მიერ შემუშავებული პირველი დახვეწილი ე.წ. "ფრენის სიმულატორი" გამოიყენებოდა იმისათვის, რომ დაეზოგათ ბენზინი რეალურ დროში ფრენისას, პილოტების სამხედრო ბაზაზე ვარჯიშის მეშვეობით. ეს კი უკვე "კიბერ-სივრცული" ხილვაა: დაფრინავ არა რეალურ სივრცეში, არამედ ქმნი ვირტუალურ სივრცეს მთელი თავისი ატრიბუტიკით. ეს განსხვავებული ლოგიკაა. ნაწილობრივ, სიმულატორი უფრო ახლოს დგას კიბერ სივრცესთან ვიდრე ტელევიზიასთან. ის ქმნის განსხვავებულ სამყაროს. აქედან გამომდინარე, სიმულატორი უმალ გარდაიქმნება უბედური შემთხვევების სიმულატორად, მაგრამ ეს ყოველივე ამით არ სრულდება: ფრენის სიმულატორის მეშვეობით ხდებოდა ფრენის *დროს* აქტუალური *დროის* სიმულირება, რომლის დროსაც დრო აქტუალურ საათებში ითვლებოდა და ყოველივე ეს პილოტების პროფესიონალიზმის დონის შესამოწმებლად კეთდებოდა. სიმულირებული და რეალური ფრენის დრო ეკვივალენტურნი გახდნენ. მაგრამ ეს იყო არა უბედური შემთხვევა, არამედ რაღაც სხვა, უფრო მეტი: *უბედური შემთხვევა თვით რეალობას "შეემთხვა".* ვირტუალობა დაანგრევს რეალობას. ეს უდავოდ უბედური შემთხვევაა, თუმცა განსაკუთრებული ხასიათის უბედური შემთხვევა.

მაგალითად, აი, ამ ჭიქას თუ დავამსხვრევ, იქნება თუ არა ეს უბედური შემთხვევა? რა თქმა უნდა, არა; უბედური შემთხვევა ჭიქის რეალობას შეემთხვევა და არა ჭიქას. ჭიქა, რა თქმა უნდა, დაიმსხვრევა და აღარ იარსებებს, მაგრამ როგორც ფრენის სიმულატორის შემთხვევაში, უბედური შემთხვევა შეემთხვა ჭიქის რეალობას და არა თვითონ ჭიქას: აქედან გამომდინარე უბედური შემთხვევა მთელ სამყაროს შეემთხვა. ვირტუალური სივრცე რეალობის უბედური შემთხვევაა. ვირტუალური რეალობა, თვით რეალობის უბედური შემთხვევაა.

**- დიახ, მაგრამ სიმულატორს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ჭიქაა.**

**ვირილიო:** ეს უკვე უფრო რთული ასახსნელია. ჩვენ გაგვაჩნია რეალობის ისეთი შეგრძნება, რომელსაც ფიზიკური შეგრძნების მეშვეობით ვაფიქსირებთ. აი, ახლა მე ბოთლი მიჭირავს ხელში: ეს რეალობაა. კომპიუტერული ხელთათმანის მეშვეობით მე შევძლებ ვირტუალური ბოთლის ხელში დაჭერას. კიბერ სექსიც ასევეა: ესაა უბედური შემთხვევა, რომელიც სექსუალურ რეალობას შეემთხვა, ალბათ ძალიან არაორდინარული, მაგრამ მაინც უბედური შემთხვევა. მეტსაც ვიტყოდი, - უბედური შემთხვევა ცვალებადია. ის უკვე სინათლისა და ვიზუალური ხატების მეშვეობით გვევლინება. კიბერ სივრცე სინათლის შოუა. ესე იგი, უბედური შემთხვევა სინათლეში ხდება და არა სუბსტანციაში. ვირტუალური ვიზუალური ხატის შექმნა უბედური შემთხვევის ერთგვარი ფორმაა. ეს კი მიუნიშნებს იმაზე, თუ რატომაა ვირტუალური რეალობა კოსმიური მასშტაბის უბედური შემთხვევა. ეს უბედური შემთხვევა რეალობას შეემთხვა. მე არ ვეთანხმები ჩემს მეგობარ ჟან ბოდრიარს სიმულაციასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხში. მე პირადად, სიტყვა "სიმულაციას", "შენაცვლებას" ან "ჩანაცვლებას" ვამჯობინებდი.

აი, ეს ნამდვილი ჭიქაა, ეს არაა სიმულაცია. მაგრამ, როდესაც მე ვირტულური ჭიქა მიჭირავს, ეს სიმულაცია კი არა, შენაცვლებაა. სწორედ აქაა დიდი განსხვავება ჩემსა და ბოდრიარს შორის: მე არ მჯერა სიმულაციის, მე მჯერა, რომ სამყარო ისედაც ძველმოდურია. ჩემი აზრით, ახალი ტექნოლოგიები ვირტუალური რეალობით ანაცვლებენ აქტუალურ რეალობას. ეს უბრალო გარდამავალ ფაზად არ უნდა აღვიქვათ: ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა. ჩვენ მივემართებით ისეთი სამყაროსაკენ, სადაც ერთი რეალობის ნაცვლად, ორი გვექნება, ისევე როგორც გვაქვს ორი თვალი, მაღალი და დაბალი ტონები, სტერეოსკოპია და სტერეოფონია. გვექნება ორი რეალობა, - აქტუალური და ვირტუალური. ეს კი უკვე სიმულაცია კი არა, შენაცვლებაა. რეალობა სიმეტრიული ხდება. რეალობის ორად გახლეჩის პროცესი კი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სიმულაცია.



**- ყოველივე ეს კინემატოგრაფის ადრეულ პერიოდს მაგონებს, როდესაც პანიკით მოცული მაყურებელი დარბაზს ტოვებდა ხოლმე.**

**ვირილიო:** სერჟ დანეისა და დელეზისაგან განსხვავებით, მე მიმაჩნია, რომ ტელევიზიასა და კინემატოგრაფს არაფერი აქვთ საერთო. არსებობს გარდამავალი ფაზა ფოტოგრაფიასა და კინემატოგრაფს შორის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ტელევიზიასა და ვირტუალურ რეალობას შორის. სიმულატორი ხანმოკლე, შუალედური ფაზაა ტელევიზიასა და ვირტუალურ რეალობას შორის. სიმულატორს კიბერ სივრცისაკენ მოვყევართ, სადაც ერთი ბოთლის ნაცვლად ჩვენ უკვე ორი ბოთლი გვექნება. შეიძლება მე ვერ ვხედავდე ბოთლს, მაგრამ სამაგიეროდ შემიძლია შევიგრძნო, შევეხო მას. ის უკვე რეალობაშია ჩამჯდარი. ზემოთ ნათქვამი გასაგებს ხდის, თუ რატომაა ფრაზა "ვირტუალური რეალობა" უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფრაზა "კიბერ სივრცე"; ეს უკანასკნელი უფრო პოეტურია.

სქესთან დაკავშირებით კი იმის თქმა შეიძლება, რომ დღესდღეობით არსებობენ ორი მამაკაცი და ორი დედაკაცი, - რეალური და ვირტუალური. ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზულად ვერ აღვიქვამთ კიბერ სივრცეს, მაგრამ ის ნამდვილად მხედველობაშია მისაღები: ეს დრამაა, ადამიანის ორად გახლეჩის დრამა! ადამიანს დღეს უკვე შეუძლია რაღაც სპექტრად იქცეს ან აჩრდილად, რომელსაც შეუძლია, დისტანციური სექსით ისიამოვნოს. ეს, მართლაც რომ, შემაშინებელია, ვინაიდან ის, რაც ყველაზე ინტიმური და მნიშვნელოვანი იყო რეალობასთან მიმართებაში ორად გაიხლიჩა. ეს კი სიმულაცია კი არა, ორი განსხვავებული სამყაროს თანაარსებობაა. ერთ მშვენიერ დღეს კი ვირტუალურ რეალობას შესაძლებელია მიეცეს შანსი, რომ "ბეჭებზე დადოს" აქტუალური, ნამდვილი რეალობა.

ახალი ტექნოლოგიები ვირტუალურ რეალობას უფრო აძლიერებენ, ვიდრე აქტუალურ რეალობას, რაც სრულიად შემთხვევით მოხდა. ის დღე, როდესაც ვირტუალური რეალობა აქტუალურ რეალობაზე ძლიერი გახდება, ეს იქნება დიდი უბედური შემთხვევის დღე. კაცობრიობას ჯერ კიდევ არასოდეს არ შემთხვევია ასეთი არაორდინარული უბედური შემთხვევა.

**- თვითონ რა შეგრძნება გეუფლებათ ყოველივე ამის გამო?**

**ვირილიო:** არ მეშინია, მაინტერესებს. ეს ხომ დრამაა. ხელოვნება დრამაა. ნებისმიერი სახის შეხება ხელოვნებასთან აგრეთვე სიკვდილთან შეხებაა. ქმნა მხოლოდ დესტრუქციასთან მიმართებაში არსებობს. შეუძლებელია დაბადების და სიკვდილის, შექმნის და ნგრევის, კარგის და ცუდის გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხელოვნება დრამაა, რომელიც ჩვენი ცხოვრების მსგავსად ორ ექსტრემალურ პოლუსს, სიცოცხლესა და სიკვდილს შორისაა მოქცეული. ვერაფერს ცუდს ამაში ვერ ვხედავ, ვინაიდან იყო ცოცხალი, ნიშნავს იყო მოკვდავი. ხელოვნება ცოცხალია იმიტომ, რომ მოკვდავია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხელოვნება დღეს უფრო მეტია, ვიდრე ნახატი, სკულპტურა ან მუსიკა. ის უფრო მეტია ვიდრე ვან გოგის პეიზაჟი ან ვაგნერის ოპერა. დღესდღეობით, მთელი ჩვენი რეალობა იქცა ხელოვნების საგნად. ისეთი მხატვრისათვის, როგორიცაა სურბარანია, რომელიც ძირითადად ნატურმორტებს ხატავდა, მსხლები და ლიმონები ხელოვნების საგნები იყო. მაგრამ ელექტრონული ინჟინერისთვის, რომელიც ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებზე მუშაობს, მთელი ჩვენი რეალობა იქცა ხელოვნების გამომხატველ საშუალებად იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია ამ ორი რეალობის ერთმანეთით შენაცვლება.

**- რა მოხდება, როდესაც ვირტუალური რეალობა სიტუაციის ბატონ-პატრონი გახდება?**

**ვირილიო:** ეს უკვე მოხდა. გაიხსენეთ სამარი ოპერაციები სპარსეთის ყურეში ან ჩაუფიქრდით ახალ სამხედრო ტექნოლოგიებს, - მათ ვირტუალური ომებისაკენ მივყავართ. თავიდან, ვიდეო და დანარჩენი სიმულაციის ტექნოლოგიების უმრავლესობა საომარ მიზნებს ემსახურებოდა. მაგალითად, ვიდეო გამოგონილი იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თვითმფრინავებისა და აეროტრანსპორტის რადიოკონტროლირების მიზნით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიდეო ომს "შემოჰყვა". არტისტებმა ვიდეოს გამოგონებიდან ოცი წლის შემდეგ დაიწყეს მისი, როგორც ხელოვნების გამომხატველი საშუალების გამოყენება. ზუსტად ასევე, ტელევიზორი თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც ერთგვარი ტელესკოპი, ოღონდ არა სატელევიზიო გადაცემებისათვის. სვორკინს, ტელევიზორის გამომგონებელს, უნდოდა კამერების რაკეტებზე დამონტაჟება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ცის სივრცის დაზვერვა.

**- ნუთუ ომის მსვლელობის ცოცხალმა გადაცემამ ეთერში განაპირობა ის, რომ ეს ომი სპარსეთის ყურეში "ვირტუალურ ომად" მოიხსენიება?**

**ვირილიო:** უმაღლესი ტექნოლოგიების მეშვეობით, რომლებიც ამ ომის დროს გამოიყენებოდნენ, ეს კონფლიქტი უნიკალურად იქცა, მაგრამ ომის დერეალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 1945 წელს დაიწყო. ეს ომი მართალია, კუვეიტში მიმდინარეობდა, მაგრამ ის, ამავე დროს, მთელი მსოფლიოს ტელეეკრანებზეც "გადიოდა." გამარჯვება-დამარცხების სივრცე ომის ველი კი არა ტელეეკრანი იყო. (სწორედ ამ ომს მიეძღვნა ჩემი წიგნი: "უდაბნოს ეკრანი") ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ტელევიზია კრიზისის მედია, უბედური შემთხვევების მუზეუმია.

**- ყოველივე ეს, ალბათ, რაღაცნაირ ზეგავლენას მოახდენს ფიზიკურ რეალობაზე?**

**ვირილიო:** იცით, ეს რას ჰგავს? მე რომ თვალი ამოვითხარო, გადავაგდო და მაინც ვხედავდე. ვიდეო ესაა სენსორული ორგანოების დისკვალიფიკაცია, "დე-სხეული-ზაცია", რომლის ადგილიც მანქანებმა დაიკავეს. თვალი და ხელი კომპიუტერულმა ხელთათმანმა შეცვალა, ტანი - კომბინეზონმა, სექსი, - ვირტუალურმა სექსმა. სხეულის ყველა ფუნქცია მანქანაშია გადასროლილი. სწორედ ამ საკითხს ვეხები ჩემს წიგნში - "მანქანის ხელოვნება." ჩვენ ჯერ ვერ შევეჩვიეთ ამას: ჩვენ ვიზიფხებთ ჩვენსავე სხეულს, ჩვენ ვკარგავთ მას. სწორედ ეს "უბედური შემთხვევა" ანუ და-ნა-*წევ*-*რება* შემთხვა ჩვენს სხეულს. სხეული და-ფლეთილი და და-ნაწევრებულია.

**- სპარსეთის ყურეში გაჩაღებულ ომს ამდენი გაუგებრობა, ალბათ, იმიტომ მოჰყვა, რომ ეს ომი იზოლირებული იყო.**

**ვირილიო:** ომი სპარსეთის ყურეში პირველი "ცოცხალი," "პირდაპირი" ომია. მეორე მსოფლიო ომი სივრცეში მიმდინარეობდა. მან მოიცვა მსოფლიო ევროპიდან იაპონიის ჩათვლით. მეორე მსოფლიო ომი სრულიად განსხვავდებოდა პირველი მსოფლიო ომისაგან, რომელიც გეოგრაფიულად შეზღუდული იყო ევროპის ფარგლებით. სპარსეთის ყურეში გაჩაღებული ომის შემთხვევაში კი, ჩვენ საქმე გვაქვს სივრცეში ექსტრემალურად ლოკალურ, მაგრამ დროში გლობალურ ომთან იმდენად, რამდენადაც ეს ომი პირველი "ცოცხალი" ომია. მათ კი, ვინც ჩემი მეგობრის, ჟან ბოდრიარის მსგავსად ამბობს, რომ ეს ომი სინამდვილეში არც კი შემდგარა, მე ვპასუხობ: ეს ომი შესაძლებელია არ შემდგარა აქტუალურ გლობალურ სივრცეში, მაგრამ ის შედგა გლობალურ დროში. ამისათვის კი მადლობა სი-ენ-ენს და პენტაგონს უნდა გადავუხადოთ. ეს ომის ახალი ფორმაა და ყველა შემდგომი ომი, რომელიც მომავალში მოხდება, ყველა შემდგომი უბედური შემთხვევა, იქნება "ცოცხალი" /პირდაპირი/ომები და უბედური შემთხვევები.

**- როგორ იმოქმედებს "ამპუტაციის" ასეთი ეფექტი ადამიანებზე?**

**ვირილიო:** უპირველეს ყოვლისა, ესაა დე-რეალიზაცია. რეალობის "გაუბედურებულ-შემთხვევიანობა." ამ დროს ზარალდება არა ერთი, ორი ან სამი ათასი ადამიანი, არამედ თვით რეალობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა სახიჩრდება იმის გამო, რომ "სახიჩრდება" რეალობა. ეს ფენომენი სიგიჟის იდენტურია. გაგიჟებული ადამიანი რეალობის დამახინჯებული ხედვითაა "დასახიჩრებული." წარმოიდგინეთ, რომ უეცრად ვინმემ დამარწმუნოს, რომ მე ნაპოლეონი ვარ: მე აღარა ვარ ვირილიო და ვარ ნაპოლეონი. ამ დროს ჩემი რეალობა სახიჩრდება. ვირტუალურ რეალობას მსგავსი დე-რეალიზაციისაკენ მივყავართ. აქედან გამომდინარე, ის უკვე აღარ მოქმედებს ინდივიდების დონეზე, როგორც სიგიჟის შემთხვევაში, მაგრამ მისი ქმედება მსოფლიო მასშტაბს იძენს. სხვათა შორის, ესეც დრამაა, მაგრამ ეს არაა სამყაროს დასასრული: ყოველივე ეს შემაშფოთებელიცაა და სასიხარულოც, კარგიც და ცუდიც. ეს ერთდროულად ბევრი ურთიერთგამომრიცხველი რამაა. და ყოველივე ამაში გარკვევა, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია.

**- როგორ უნდა გადავიტანოთ ასეთი დანაკარგი?**

**ვირილიო:** ვირტუალური რეალობის ნამდვილი პრობლემა ისაა, რომ ის შეუძლებელს ხდის ორიენტაციას. ჩვენ დავკარგეთ ორიენტაციისათვის აუცილებელი ამოსავალი წერტილი. დე-რეალიზებული ადამიანი დე-ორიენტირებული ადამიანია. ჩემს უკანასკნელ წიგნში, "მანქანის ხელოვნება", მე უკანასკნელ ამერიკულ აღმოჩენაზე ვსაუბრობ; ესაა GPS (გლობალური პოზიციონირების სისტემა), რაც ერთგვარ საათს წარმოადგენს. უფრო სწორად, ეს ხელსაწყო ორი საათის კომბინაციაა. პირველი გვიჩვენებს დროს, მეორე კი გვიჩვენებს, თუ სად ვიმყოფებით დროის მოცემულ მონაკვეთში. მე რომ ახლა ეს ხელსაწყო მქონდეს, თანამგზავრების მეშვეობით საოცარი სიზუსტით შევძლებდი მეთქვა, თუ სად დგას ეს მაგიდა მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში. ეს საოცარია! მე-15 საუკუნეში ჩვენ გამოვიგონეთ პირველი საათი და ახლა კი მეორე, ოღონდ იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ სივრცის რომელ მონაკვეთში ვიმყოფებით. როდესაც ადამიანი ვირტუალურ რეალობაში ხვდება, მან არ იცის, თუ სად იმყოფება ის, მაგრამ GPS-ის მეშვეობით მას ვირტუალურ რეალობაშიც კი შეუძლია გაიგოს საკუთარი ადგილმდებარეობა. ეს ხელსაწყო გამიზნულია გემებისათვის და მას შეუძლია გიჩვენოს არა მარტო შენი ადგილმდებარეობა, არამედ უჩვენოს დანარჩენებს, თუ სად იმყოფები შენ. თქვენი შეკითხვა საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ შენ არც კი იცი, თუ რას ნიშნავს რეალობაში დაკარგვა. მაგალითად, ადვილია იმის დადგენა, დაიკარგე თუ არა შენ საჰარას უდაბნოში, მაგრამ როგორია რეალობაში დაკარგვა?! ყოველივე ამაში გარკვევა ძალიან რთულია. ვინაიდან არსებობს ორი რეალობა, როგორ გავერკვეთ, რომელში ვიმყოფებით ჩვენ? ამ დროს ჩვენ სიმულაციიდან შორს ვდგავართ. ჩვენ შე/ჩა-ნაცვლებას მივაღწიეთ. მე მწამს, რომ ეს ერთდროულად ფანტასტიკური, შემაშინებელი და ექსტრაორდინარული სამყაროა.

# ბრაზიანი რეპერის მორიგი მსხვერპლი

ძალიანაც რომ მობეზრდეთ გაზეთებს ემინემზე წერა, შექმნილი გარემოებების გამო, შეჩერებას მაინც ვერასდროს ახერხებენ. ხანდახან ამაზე მაიკლ ჯექსონიც კი ზრუნავს. გუშინ მის მიმართვას ტელევიზიებისადმი ყველა საინფორმაციო სააგენტო ავრცელებდა. ჯექსონი ტელესადგურების ხელმძღვანელებს სთხოვდა, ეთერიდან მოეხსნათ ემინემის ბოლო ვიდეო, რომელიც, მისი აზრით, "შეურაცხმყოფელი და უხეშია".

ჯექსონს შეურაცხმყოფელი ეჩვენა არა მხოლოდ კლიპი, არამედ სიმღერის შინაარსიც. Just Lose It პირდაპირ ჯექსონის გასაქილიკებელ ტექსტს შეიცავს. კლიპში კი ემინემი ჯექსონივით იცვამს და ერთ კადრში საწოლზე, პატარა ბიჭებთან ერთადაც ჩანს. "სხვაა იუმორი და სხვა, როცა ყველაფრის ფარგლებს სცდები და სხვის დამცირებაზე გადადიხარ", - აცხადებს ჯექსონი.

ჯერჯერობით, ერთადერთი არხი, რომელმაც მომღერლის თხოვნა ყურად იღო და ემინემის ვიდეო ეთერიდან მოხსნა, "ბლექ ინთერთეინმენთ ნეთუორქია". არხის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ჯექსონი მათ ტელევიზიასთან დიდი ხანია მეგობრობს და რომ, საერთოდაც, ლამაზი არ არის, როცა ვარსკვლავს ასე ღიად შეურაცხყოფენ.

"ძალიან გაბრაზებული ვარ იმის გამო, როგორც ემინემმა თავის კლიპში აღმწერა. მანამდე მას ვაფასებდი, როგორც კარგ მუსიკოსს, მაგრამ ახლა შოკში ვარ. ვიდეომ შეურაცხყო ყველა - მეც, ჩემი შვილებიც, ოჯახიც და მთლიანად საზოგადოებაც", - დასძენს ჯექსონი ლოს ანჯელესის რადიოეთერში საუბრისას.



თუმცა, თავისი სიმღერის გამო ბოდიშს არ იხდის ემინემი. ეს მას არ სჩვევია. მით უფრო, რომ მაიკლ ჯექსონის თემა მისთვის მტკივნეული მხოლოდ დღეს არ გამხდარა. პოპის ყოფილ მეფეს ემინემი შარშანაც დასცინოდა: როცა გლაზგოში, სასტუმროს აივანზე შავ-თეთრი სპორტული კოსტიუმითა და ქირურგის ნიღბით გამოვიდა და ქვევით შეკრებილი ფანების დასანახად ჰაერში თოჯინა ათამაშა - ანუ, გაიმეორა ის, რაც ბერლინის სასტუმროს ნომრიდან ჯექსონმა გაუკეთა თავის შვილს და რის გამოც ბევრის გაღიზიანება გამოიწვია.

ახლა კი ემინემის წარმომადგენელი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ძალიან სამწუხაროა, "ბლექ ინთერთეინმენთ ნეთუორქმა" ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო. ეს, ცხადია, ბოდიში არ არის. ემინემი ფიქრობს, რომ მღერის იმას, რაც სურს და აშაყირებს იმას, ვინც არ მოსწონს. ამას რეპერი ახალ სიმღერაში დაახლოებით ასეთი ტექსტით ახერხებს: "მოდით, ჩამიჯექით ბავშვებო, კალთაში/ ყველაფერს შევხებივარ, გარდა პატარა ბიჭებისა/ არა, ამ სიტყვებით მაიკლს არ ვუტევ/ ეს უბრალოდ მეტაფორაა/... მიდით, ბიჭებო, გაანძრიეთ უკანალები/ უფრო სწორად, შემეშალა, მიდით, გოგონებო.../" მოკლედ, მტკიცების მიუხედავად, რომ მაიკლი არაფერ შუაშია, სინამდვილეში მუხლებზე შემოსკუპებული ბიჭების მეტაფორა სწორედ მაიკლ ჯექსონის პედოფილიის საქმესთან ავლებს პარალელს. გარდა ამისა, ემინემი მას ახალ კლიპში პლასტიკური ოპერაციის გამოც დასცინის და იმ ინციდენტს ათამაშებს თავიდან, როცა 1984 წელს, "პეპსის" რეკლამის გადაღებისას ჯექსონს თმაზე ცეცხლი წაეკიდა.

მართალია, სიმღერაში Just Lose It ემინემი მადონას და ემ სი ჰამერსაც დასცინის, მაგრამ მათ ჯერჯერობით პროტესტი არ გამოუთქვამს. ამას, მით უმეტეს, ვერ იზამდა სანტა კლაუსი, რომელიც ემინემის ბასრი იუმორის კიდევ ერთი მსხვერპლია.

თუმცა, ერთიც არის - Just Lose It მხოლოდ შესავალია - ვინ იცის, ბრაზიანი რეპერის მსხვერპლის სია ერთი-ორად გაიზარდოს მას შემდეგ, რაც ნოემბერში მისი ახალი ალბომი გამოვა. ემინემი ხომ არავის ინდობს და უკან, ალბათ, არც მას შემდეგ დაიხევს, რაც ბრიტნი სპირსი, კრისტინა აგილერა, ელ გორის მეუღლე და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი, მისი აზრით, უღირსი და ამორალი გაამწარა.

ფეხბურთი

# ერთი ხომ უნდა წაგვეგო

სანდრო ნავერიანი





**უკრაინა-საქართველო 2:0**

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ფიოდოროვი, ტიმოშჩუკი, იეზერსკი (ჩეჩერი 46), რუსოლი, შევჩენკო, გუსევი, ვორონინი (შელაიევი 39) (ზაკარლიუკა 64), ბელიკი, ჰუსინი.
**მთავარი მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**საქართველო:** დევაძე, მჟავანაძე (ბურდული 46), ხიზანეიშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, ასათიანი, კობიაშვილი, იაშვილი, ჯამარაული (დემეტრაძე 85), შ. არველაძე.
**მთავარი მწვრთნელი:** ალან ჟირესი
**გოლები:** ბელიკი 12, შევჩენკო 80
**გაფრთხილება:** არველაძე, ბურდული.

ბოლო დროს ქართველმა სპორტსმენებმა გაგვანებივრეს და გასაკვირი არ არის, რომ გუშინდელ მატჩში უკრაინის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამარჯვებას ვითხოვდით.

შეხვედრა დაიწყო და ნელ-ნელა ჩვენც ნაკლებად ამბიციურნი გავხდით. რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ არც ის არის ურიგო, რომ ქართველებმა ფეხბურთი ითამაშეს და არა ბაგაბუგი.

ფეხბურთის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ 12 წელიწადია, თავგადაკლული თუ არა, აქტიური გულშემატკივარი მაინც ვარ. ვფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ რაღაც ანალიზი გავაკეთო.

პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არ არის ერთსულოვნება, უფრო სწორად, არ არის სრული ურთიერთგაგება, რაც ფეხბურთის ენაზე შეუთამაშებლობას ნიშნავს. მართალია, დიდი ხანია, რაც ნაკრების ფეხბურთელები ერთმანეთის მხარდამხარ თამაშობენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდი ახალი მწვრთნელის ხელშია და, თამამად შეიძლება ითქვას: საქართველოს ნაკრებზე ჯერ კიდევ ექსპერიმენტები ტარდება.

მეორე. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სამივე მატჩში საქართველოს ნაკრების ყველაზე სუსტი წერტილი იყო დაცვის ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ აქ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი კახა კალაძე გვყავს, ამ რგოლში მაინც ყველაფერი მოშლილია. გუშინდელ მატჩში კი კალაძეც არ იყო, რამაც ჩვენი დაცვის ხაზი სულ მთლად მოშალა. გოლი სრულიად ალოგიკურ სიტუაციაში მივიღეთ. ამ ეპიზოდში მარტო მცველების დადანაშაულება ცოდვა იქნება - არც დევაძეს უთამაშია უშეცდომოდ. მოკლედ, ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებში ყველაზე სუსტად დაცვა თამაშობს.

მესამე. ჩვენს ფორვარდებს აშკარად აკლიათ იმპროვიზაცია, რომელიც, ვფიქრობ, გუშინდელ მატჩში ყველაზე მეტად იყო საჭირო. ჩვენი ყოველი შეტევა, რომელიც გაცილებით მეტი გვქონდა, ვიდრე უკრაინელებს, ადვილად იკითხებოდა. პირველ ტაიმში კი მარჯვენა ფრთა სრულიად გამოთიშული იყო თამაშიდან. მჟავანაძემ სულ რაღაც ხუთჯერ მიიღო ბურთი და ხეირიანი ვერაფერი შექმნა. მარჯვენა ფრთასთან შედარებით მარცხენა ფლანგზე კობიაშვილი კარგად ირჯებოდა, ყველა შეტევა სწორედ მისგან იწყებოდა, რამაც უკრაინელებს არაერთი თავსატეხი გაუჩინა. თუმცა, თავსატეხი მაშინ იქნებოდა, ქართველ თავდამსხმელებს კარის მიმართულებით და უფრო ზუსტად რომ დაერტყათ. ქართველებმა ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელიც ასათიანის დარტყმით დასრულდა. აი, ამ მომენტზე კი აუგს ვერ ვიტყვი. კომბინაცია სწრაფად, ერთი შეხებით გათამაშდა, რის შემდეგაც მალხაზ ასათიანმა ფეხის წვერით, ანუ "ნასოკი" დაარტყა. ვთვლი, რომ იმ შემთხვევაში ასათიანი სწორად მოიქცა. მეკარისგან მარცხენა კუთხეს მცველი ფარავდა, რომელიც ასათიანს ფეხებში ჩაუვარდა, რის გამოც მარცხენა დაბალ კუთხეში ბურთს ვერ გაგზავნიდა, ხოლო მეკარისგან მარჯვენა კუთხეს თავად შოვკოვსკი ფარავდა. აქ სწორედ ძლიერი დარტყმა იყო საჭირო, რაც ასათიანმა შეასრულა კიდეც, უბრალოდ, უკრაინელებს გაუმართლათ და შოვკოვსკიმ ბურთი მოიგერია. საერთო ჯამში, თავდასხმამ სათანადოდ ვერ ითამაშა, თუმცა, მცველებთან შედარებით მათი მოქმედება უფრო თავდაჯერებული იყო.

მეოთხე. ნახევარდაცვაში კი, პირდაპირ ვიტყვი: კობიაშვილის გარდა, არავის უთამაშია. დაცვიდან წამოღებული ბურთი ცენტრში მცველებს მიჰქონდათ, იქ კი კობიაშვილი ან ფორვარდები იწყებდნენ ბურთის თრევას.

დაბოლოს. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პრიმიტიული ფეხბურთი ითამაშა, თუმცა, მაინც იმ აზრზე ვარ, რომ ჩვენმა ნაკრებმა ფეხბურთის თამაში დაიწყო. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა, ჟირესი სამ-ოთხ თვეში ნამდვილად დააყენებს გუნდს, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება არა მარტო ალბანეთისა და მოლდოვას დონის, არამედ ევროპის საშუალო დონის გუნდებისთვისაც.

რაგბი

# ახალი კაცი რუსულ რაგბიში

## იგორ მირონოვი: "შევიცვლებით იმდენად, რამდენიც საჭირო იქნება"

პაატა თოთაძე



*მომავალ წელს რუს "დათვებს" თბილისში იგორ მირონოვი ჩამოუძღვება.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რუსულ რაგბიში კრასნოიარსკელთა ჰეგემონია ემხობა. გარდა იმისა, რომ ზედიზედ ორი წელიწადია, ჩემპიონი მოსკოვის ოლქის "ვვა-მონინო" ხდება, რაგბის ცენტრიც ციმბირიდან ნელ-ნელა მოსკოვისკენ ინაცვლებს. ძალთა გადანაცვლების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი ნაკრების მწვრთნელად იგორ მირონოვის დანიშვნა იყო. კრასნოიარსკის "ენისეის" მწვრთნელის ალექსანდრ პერვუხინის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენებაზე კარგა ხანია ფიქრობენ რუსული რაგბის მმართველ წრეებში, მაგრამ აქამდე ეს როგორღაც არ ხერხდებოდა, ახლა კი... ერთი სიტყვით, ერთა თასის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ რუსებს იგორ მირონოვი გამოიყვანს.

წარსულში ცნობილი მორაგბე ბოლო 15 წელი საფრანგეთში ცხოვრობდა, მწვრთნელობდა და ცოტას ბიზნესმენობდა კიდეც. "ძალიან ძლიერი მორაგბე იყო. მისნაირი სამმეოთხედელი მეორე არ მოიძებნებოდა საბჭოთა კავშირში. "ვვა"-ში თამაშობდა, ძირითადად, გარე სამმეოთხედელისა და მცველის პოზიციაზე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფალი ნახევარმცველიც იყო. ეს არცთუ იშვიათად ხდებოდა და, უნდა ითქვას, ამასაც მშვენივრად ართმევდა თავს", - იგონებს ლევან მგელაძე, ბათუმის "დათვების" მწვრთნელი.

როგორ აპირებს მირონოვი მუშაობას? რას შეცვლის ნაკრებში, ან, საერთოდ, შეცვლის თუ არა რამეს? პასუხს ამ კითხვებზე მიიღებთ მასთან ინტერვიუში, რომელიც რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

### რუსეთის ნაკრები

- ჯერჯერობით მხოლოდ დროებით ვარ მთავარი მწვრთნელი, - ასე დაიწყო საუბარი მირონოვმა.

**- რას გულისხმობთ სიტყვა "დროებითში", ორ თვეს, სამ თვეს, ერთ წელიწადს...**

- რუსეთში თებერვალში ჩამოვედი ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების ფედერალურ მწვრთნელად. გეგმაში მქონდა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გავმხდარიყავი და გავხდი კიდეც, მაგრამ დროებით, რაკი ალექსანდრ პერვუხინს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება. რამდენ ხანს გასტანს ეს მდგომარეობა, არ ვიცი, თუმცა, იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა.

**- იქნებ გაგვაცნოთ თქვენი უახლოესი გეგმები საქართველოსთან მომავალი მატჩის წინ?**

- უახლოეს მომავალში გავემგზავრებით საფრანგეთში, სადაც გავივლით შეკრებას. ორ ტესტ-მატჩსაც ვითამაშებთ, 17 ნოემბერს კი კრასნოდარში ჩავალთ და უშუალოდ მატჩის გამართვის ადგილზე მოვემზადებით.

**- ახალ მწვრთნელს, უმეტესად, ახალი მოთამაშეებიც მოჰყვებიან ხოლმე. თქვენ თუ აპირებთ ახალი მორაგბეების მიწვევას ნაკრებში?**

- ამ ეტაპზე გაუმართლებლად მიმაჩნია შემადგენლობაში რაიმე ცვლილების შეტანა. მით უმეტეს, საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ, რომლისთვისაც, აგერ უკვე რამდენი წელიწადია, არ მოგვიგია. მომავალში, თებერვლის მატჩებისთვის, არაა გამორიცხული, ნაკრებში ახალი სახეები გამოჩნდნენ, ახლა კი - არა.

**- სხვა ეროვნების მოთამაშე მსოფლიოს არაერთ ნაკრებში თამაშობს. თქვენ თუ აპირებთ გუნდში ისეთი მოთამაშეების მიწვევას, რომლებსაც რუსული ფესვები ექნებათ?**

- ჩვენი რაგბის კავშირი ახლა სწორედ ასეთ მოთამაშეებს ეძებს. ასე რომ, თუ ვინმე გამოჩნდა, რომელიც ამავე დროს იმაზე მაღალი კლასის უნდა იყოს, ვიდრე აქ მოთამაშე, ბუნებრივია, მოვიწვევთ.

**- იქნება თუ არა ცვლილება სათამაშო ტაქტიკაში?**

- აუცილებლად. პირველ ყოვლისა, უნდა განმტკიცდეს დისციპლინა მოედანზე. ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. ერთის რამის თქმა ახლავე შემიძლია: შევიცვლებით იმდენად, რამდენიც საჭირო იქნება.

**- რომელი ნაკრები მოგწონთ და ხედავთ თუ არა საჭიროებას, რომ რუსეთის ნაკრებმა რაიმე გადაიღოს ამ გუნდისგან, თუ თვლით, რომ ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს?**

- მე ახალზელანდიურ და ფრანგულ რაგბის ვანიჭებ უპირატესობას. ძალიან მომწონს ზელანდიელთა სათამაშო დისციპლინა და ფრანგთა, ასე ვთქვათ, ანარქიზმი, თუმცა, ძალიან უყვართ და, რაც მთავარია, კარგადაც გამოსდით ხელით თამაში. ვფიქრობ, ამ ორი სტილის ერთობლიობა იდეალური იქნება ჩვენი გუნდისთვის.

**- როგორ ფიქრობთ, რით არის ძლიერი დღეს რუსეთის ნაკრები და ვინ არის გუნდის ლიდერი?**

- სამწუხაროდ, გუნდს ლიდერი არ ჰყავს. არ ჰყავს მოთამაშე, რომელიც გაუძღვება პარტნიორებს. ჩვენი სიძლიერე კი... არ ვიცი, მომავალში გამოჩნდება.

### რუსეთის ჩემპიონატი

**- ბოლო წლებში თქვენ საფრანგეთში ცხოვრობდით, მაგრამ, ბუნებრივია, წარმოდგენა გაქვთ რუსეთის ჩემპიონატზე. როგორ შეაფასებთ მას?**

- როგორც სუსტს. საწყენია, რომ ქვეყანაში მხოლოდ სამი ძლიერი გუნდია. ბოლო დროს ცოტა წამოიჩიტნენ "სლავა" და პენზის გუნდი, მაგრამ მათ მაინც ბევრი უკლიათ მოწინავე სამეულამდე. რაც შეეხება სამეულს, ვფიქრობ, მათგან "ვვა-მონინომ" მნიშვნელოვნად გაასწრო კრასნოიარსკელ კონკურენტებს. ერთადერთი, რაც მფრინავებს აკლიათ, იმპროვიზაციაა. მათი თამაში ერთფეროვანია. თუ ამასაც ეშველება, "მონინო" გაცილებით უკეთესი გუნდი იქნება.

**- კარგია თუ ცუდი, რომ ნაკრები ძირითადად სამი გუნდის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული?**

- ცუდი, თანაც, ძალიან ცუდი, მაგრამ სხვა გზა არ არის.

**- რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი თამაშობს. საკმარისი რაოდენობაა, თუ თვლით, რომ ის შესაცვლელია?**

- შესაცვლელია. ჩემი აზრით, ოპტიმალური ვარიანტი 10 გუნდია.

**- კი მაგრამ, რის ხარჯზე უნდა გაიზარდოს გუნდების რაოდენობა?**

- უპირველსად დაფინანსების ხარჯზე, ანუ რაგბიში მეტი ფული უნდა ჩაიდოს. უნდა შეიქმნას მეტი საბავშვო სკოლა, რომლის აღზრდილებიც მომავალში უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

**- ეს მომავალში, მაგრამ დღეს რუსეთში სამი გამოკვეთილი ლიდერი და სამი აუტსაიდერია. თუ ამათ კიდევ ოთხ გუნდს დაამატებთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მატჩი, შესაძლოა, კატასტროფული ანგარიშით დასრულდეს?**

- ასეც იქნება, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ამის არ უნდა შეგვეშინდეს, თორემ არაფერი გამოგვივა.

### რაგბის შესახებ

**- თქვენი შეფასებით, რას წარმოადგენს დღეს რაგბი მსოფლიო სპორტში?**

- საფრანგეთის მაგალითზე შემიძლია ვისაუბრო. იქ რაგბი ბევრით არაფრით განსხვავდება ფეხბურთისგან. მატჩების საყურებლად 80 000 გულშემატკივარი დადის. სხვა საქმეა, რომ ფეხბურთი გაცილებით რეკლამირებულია და ფულიც გაცილებით მეტი ტრიალებს. თუმცა, ბოლო წლების პროგრესიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ რაგბის უდიდესი პოტენციალი აქვს.

**- რატომ არ ვითარდება რაგბი რუსეთში?**

- საბჭოთა პერიოდში, უფრო ზუსტად, 1982 წელს, ჩვენ სამჯერ დავამარცხეთ საფრანგეთი. მიწვეულნი ვიყავით ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირში რაგბი საკმაოდ განვითარებული იყო, მისი დაშლის შემდეგ კი საბჭოთა რაგბიც დაიშალა.

**- უშლის თუ არა ხელს ტრადიციული რაგბის განვითარებას 13-კაცა რაგბი?**

- არ შეიძლება, სპორტის რომელიმე სახეობაზე თქვა, ცუდიაო. პირადად მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და, ვფიქრობ, არც კლასიკური რაგბის განვითარებას უშლის ხელს.

**- მაშ, რას იტყვით იმაზე, რომ არცთუ იშვიათად მოთამაშეები ტოვებენ კლასიკურ რაგბის და სათამაშოდ 13-კაცაში მიდიან?**

- ეს, პირველ ყოვლისა, იმ კლუბების ხელმძღვანელთა პრობლემაა, საიდანაც მოთამაშეები მიდიან.

**- თქვენს მშობლიურ "ვვა-მონინოზე" ვისაუბროთ. როგორ შეაფასებთ გუნდის წლევანდელ თამაშს?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სამწვრთნელო შტაბი სწორ გზას ადგას. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდი ვითარდება. არის გარკვეული დეტალები, რომლებსაც, ვისურვებდი, უკეთ იყოს, მაგრამ საერთო ჯამში გუნდის თამაში მომწონს. მოთამაშეები ფიზიკურადაც მშვენივრად არიან მომზადებულნი. ახლა მთავარია, ცოტა გაამრავალფეროვნონ თამაში.

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ "ვვა" გახდა და დიდხანს იქნება რუსული რაგბის ლიდერი?**

- დიახ. ის უკვე ლიდერია და, ალბათ, დიდხანსაც დარჩება ამ პოზიციაზე. კრასნოიარსკული კლუბები ბევრ ლეგიონერს ყიდულობენ, მაგრამ ისინი შეთამაშებული არ არიან, ამიტომაც გამოიყურება "მონინო" უკეთ.

**- თქვენი აზრით, არ არის საჭირო ამდენი ლეგიონერის ყიდვა?**

- როგორ არა, აუცილებელიც კია, მაგრამ ასევე აუცილებელია ლიმიტის შემოღება ლეგიონერებზე, რათა ჩვენები არ დავკარგოთ.

**- საფრანგეთში გადავინაცვლოთ. თქვენ დიდი ხანია იქ ცხოვრობთ და ინფორმაციასაც მეტს ფლობთ ფრანგული რაგბის შესახებ. რატომ განვითარდა სპორტის ეს სახეობა საფრანგეთში?**

- იმიტომ რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა ჰქონდა. საფრანგეთში ძალიან ბევრი პროფესიული კლუბია, განსაკუთრებით სამხრეთში. მათ დიდ ყურადღებას აქცევენ მერიები, პრეფექტურები. რაგბის ასწავლიან სკოლებში, ტარდება ჩემპიონატები სკოლებს შორის. ერთი სიტყვით, როცა ასეთი მხარდაჭერაა, განვითარებასაც ხელს არაფერი შეუშლის.

**- რა შეიცვალა რაგბიში მას შემდეგ, რაც თქვენ წახვედით აქტიური სპორტიდან?**

- ჩემი აზრით, ადრე რაგბი უფრო საინტერესო იყო. მეტი ინდივიდუალისტი თამაშობდა, ვფიქრობ, სილამაზეც მეტი იყო თამაშში.

**- ესე იგი, თქვენი აზრით, რაგბიმ რეგრესი განიცადა?**

- არა, ასე თქმა არ შეიძლება. უბრალოდ, შეიცვალა. ჩვენ დროს სამმეოთხედელები საშუალოდ 70 კილოგრამს იწონიდნენ, ახლა ეს მაჩვენებელი 90 კილომდე გაიზარდა, რაც თავისებურ კოლორიტს მატებს თამაშს. გარდა ამისა, თამაში უფრო სწრაფი გახდა, გაიზარდა ბურთით თამაშის დროც, რაც ასევე თავისებურ ხიბლს აძლევს თანამედროვე რაგბის.

კალათბურთი

# დღიური, რომელიც წიგნად აქციეს

სანდრო ნავერიანი

მიმდინარე თვის ბოლოს ამერიკული გამომცემლობა "პინგვინ პრესი" გამოსცემს წიგნს, რომლის ავტორიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი ფილ ჯექსონია. წიგნი არ იქნება მხატვრული ნაწარმოები, არც სატირა და არც ტრაგედია, უბრალოდ, მასში ასახულია ფილ ჯექსონისა და კობი ბრაიანტის ურთიერთობა. როგორც თავად ჯექსონმა განაცხადა, აზრადაც არ მოსვლია, ოდესმე მის დღიურს მზის შუქი ეხილა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცდებოდა, უფრო სწორად, შეაცდინეს. "პინგვინ პრესის" წარმომადგენელი თვლის, რომ წიგნი აუცილებლად ბესტსელერი გახდება. ამას კი ასე ხსნის: "წიგნში, ძირითადად, ფილ ჯექსონისა და კობი ბრაიანტის ურთიერთობაზეა მოთხრობილი. მითხარით, განა არსებობს კალათბურთის მოყვარული, რომელსაც მათი ურთიერთობა არ დააინტერესებს? კალათბურთის მოყვარულები კი, საბედნიეროდ, ძალიან, ძალიან ბევრნი არიან".



ფილ ჯექსონის დღიური გამომცემლობა "პინგვინ პრესმა" წიგნად აქცია.

მართალია, წიგნი ჯერ არ გამოცემულა, მაგრამ ყოველკვირეულმა ჟურნალმა "ლოს-ანჯელეს მეგეზინმა" უკვე დაბეჭდა ნაწყვეტი ჯექსონის წიგნიდან, თუმცა, ჟურნალი ორშაბათიდან გაიყიდება. "ლოს-ანჯელეს მეგეზინზე" მაგარი გამოდგა გაზეთი "ლოს-ანჯელეს თაიმსი", რომელმაც ის მასალა მოიპოვა, რომელიც "ლოს-ანჯელეს მეგეზინმა" ორშაბათს უნდა გამოსცეს. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელის "ექსკლუზიური მასალა" ლოსანჯელესურმა გაზეთმა დააძველა. ნაწყვეტს, რომელიც კალიფორნიულ გაზეთსა და ჟურნალში დაიბეჭდა, სათაურად "ბოლო სეზონი" აქვს.

წიგნში კობი ბრაიანტისა და შაკილ ო`ნილის დაპირისპირების უამრავი ეპიზოდია. ასევე კარგად ჩანს, რომ ბრაიანტისა და ფილ ჯექსონის თანამშრომლობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რაც დადასტურდა კიდეც: "ჩემსა და კობის შორის კონფრონტაცია, როგორც ჩანს, გარდაუვალია", - ამბობს ჯექსონი. გასული სეზონის სტარტის წინ კობი ბრაიანტი აფრთხილებდა ჯექსონს: "თუ "შაკი" ჟურნალისტებთან ცუდად მომიხსენიებს, მეც აუცილებლად ასევე ვუპასუხებ. მე არ მეშინია მასთან დაპირისპირების", - თავისი და კობის დიალოგის ციტირებას ახდენს ფილ ჯექსონი. "ის (ბრაიანტი) გამუდმებით ბრაზობდა, "შაკს" უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ვიდრე მეო, - ვკითხულობთ წიგნში, - მაგრამ იმ წლების განმავლობაში, რაც მე "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" ვწვრთნიდი, კობი ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას გრძნობდა პრესიდან, ტელევიზიიდან, ხელმძღვანელებიდან, ვიდრე ო`ნილი", - ამბობს ჯექსონი.

ჯექსონი თვლიდა, რომ ბრაიანტი მის მიმართ უპატივცემულობას ამჟღავნებდა. და, საერთოდ, ბრაიანტი მთელი კლუბისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ საშინელი საქციელით გამოირჩეოდა. ჯექსონი იხსენებს ერთ ეპიზოდს, როდესაც ბრაიანტმა ის მოატყუა. კობიმ ვარჯიში გააცდინა და არ ირბინა კროსი, რომელიც მათ ჯექსონმა დაავალა. კობიმ უთხრა, რომ ინდივიდუალურად ირბენდა ამ კროსს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრაიანტმა ჯექსონი მოატყუა. "ჩვენს შორის ფსიქოლოგიური ომი მიმდინარეობდა", - იხსენებს ჯექსონი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად "ლეიკერსის" გენერალურ მენეჯერს მიჩ კაპჩაკს მიმართა მოთხოვნით, ბრაიანტი სხვა კალათბურთელზე გაეცვალა. "თუ ის გუნდში დარჩება, მაშინ მომავალი სეზონიდან მე მწვრთნელი აღარ ვიქნები. მას არავისი არ ესმის და არავის არ უჯერებს. უკვე ყელში ამომივიდა ეს ბიჭი", - განუცხადა ჯექსონმა კაპჩაკს, რომლისგანაც მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგო: "არა"!

წიგნში ასევე წერია იმის შესახებ, რომ პირველივე სეზონში ჯექსონს კობი ბრაიანტის "ფენიქს სანზში" გაშვება, იქიდან კი ჯეისონ კიდისა და შონ მერიონის გამოყვანა უნდოდა. ამის შესახებ იმდროინდელ გენერალურ მენეჯერს ჯერი უესტს (უესტი იმავე თანამდებობას იკავებს, ოღონდ "მემფის გრიზლისში") მოახსენა, მაგრამ უესტმა ჯექსონს კატეგორიულად განუცხადა, რომ ბრაიანტს არასოდეს არავისში არ გაცვლიან. იგივე გაუმეორა კაპჩაკმა ჯექსონს ამა წლის იანვარში. ხოლო ერთი თვის შემდეგ, თებერვალში, კაპჩაკმა საერთოდ გაწყვიტა ჯექსონთან მოლაპარაკებები კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე, თუმცა, ფილ ჯექსონი ისედაც არ აპირებდა "ლეიკერსში" დარჩენას.

"დეტროიტ პისტონზთან" ფინალურ მატჩში მარცხიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფილ ჯექსონი უკანასკნელად მივიდა ბრაინატთან და ჰკითხა, გააგრძელებდა თუ არა კობი ბრაიანტი "ლეიკერსთან" კონტრაქტს იმ შემთხვევაში, თუ თვითონ (ფილ ჯექსონი) გუნდში დარჩებოდა. "გადაწყვეტილებას ჩემგან დამოუკიდებლად უნდა იღებდეთ", - განუცხადა კობიმ. ჯექსონმა უთხრა, რომ გუნდიდან წასვლას აპირებს. "ნუთუ მართლა?" - ირონიულად განუცხადა კობიმ. მაშინ ჯექსონმა კობის ჰკითხა, იქონიებდა თუ არა გავლენას შაკილი ო`ნილის გუნდში დარჩენა მისი კონტრაქტის გაგრძელებაზე. "რა თქმა უნდა?" - მიუგო კობიმ. "მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, ერთად ითამაშოთ!" - არწმუნებდა ჯექსონი ბრაიანტს. "ეჭვიც არ მეპარება. ჩვენ რვა წელიწადს ვთამაშობდით ერთად, მაგრამ მომწყინდა ყოველთვის უკანა პლანზე ყოფნა", - თქვა კობიმ.

ბრაიანტი ყოველთვის უკმაყოფილო იყო შაკილ ო`ნილით. მაგალითად, ყველა ვარსკვლავის (all star) მატჩის მეორე დღეს ო`ნილმა ვარჯიში გააცდინა, კობი ბრაინტმა კი ჯექსონს ნიშნისმოგებით უთხრა: "აი, ხომ ხედავ, როგორი ლიდერიც არის".

იმის თქმა არ შეიძლება, რომ ფილ ჯექსონსა და შაკილ ო`ნილს შესაშური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ჯექსონს თავის წიგნში "ბოლო სეზონი" ერთი მეტად საინტერესო ფრაგმენტი აქვს: "შაკთან თანამშრომლობა და ვარჯიში ყოველთვის მემახსოვრება და შევეცდები, თუ კიდევ დავიწყე რომელიმე გუნდის გაწვრთნა, იგივე პრინციპით ვავარჯიშო ჩემი შეგირდები და ო`ნილის ვარჯიშისადმი სიყვარული ჩავუნერგო, ხოლო ბრაიანტთან მუშაობას არასოდეს გავიხსენებ, თუ, რა თქმა უნდა, შევძელი და დავივიწყე".

# ეგოისტი

სანდრო ნავერიანი

*ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელი ტრანსფერებიდან ყველაზე გახმაურებული შაკილ ო`ნილის "ლოს-ანჯელეს ლეიკერსიდან" "მაიამი ჰიტში" და ტრეისი მაკგრეიდის "ორლანდო მეჯიქიდან" "ჰიუსტონ როქეთსში" გადასვლა იყო. "შაკზე", "ლეიკერსსა" და "მაიამიზე" ტრანსფერის განხორციელების შემდეგ და მანამდეც საკმარისზე მეტი მოგახსენეთ, მაკგრეიდის შესახებ კი სიტყვაც არ გვითქვამს.*




*მაკგრეიდი მომავალ სეზონს იმედიანად შესცქერის და ჩემპიონობაზე ოცნებობს.*

ახლა ტიმაკი და "ჰიუსტონ როქეთსი" ჩინეთში არიან. დღეს ისინი შანხაიში "საკრამენტო ქინგზის" წინააღმდეგ ითამაშებენ, ხოლო კვირას პეკინში ისევ "საკრამენტოს" დაუპირისპირდებიან. ეს შეხვედრები ტესტ-მატჩების კატეგორიას მიეკუთვნება, ასე რომ, მას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ტრეისი მაკგრეიდი აცხადებს: სწორედ ამ მატჩებში უნდა დაუმტკიცოს ტეხასურ კლუბს, რომ გადაბირებით ბევრი მოიგეს. ტიმაკი ასევე აცხადებს, რომ დაივიწყებს ინდივიდუალურ მიღწევებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა გუნდს ჩემპიონის ბეჭდები მოაპოვებინოს. "ინდივიდუალური წარმატებისთვის არავითარ შემთხვევაში არ გამოვეყოფი გუნდს, ყოველთვის გუნდურ კალათბურთს ვითამაშებ. შეიძლება ბევრმა თქვას, რომ "ორლანდო მეჯიქში", ძირითადად, ეგოისტური თამაშით გამოვირჩეოდი, იმისთვის ვთამაშობდი, რომ მხოლოდ საკუთარი თავი წარმომეჩინა, მაგრამ, მერწმუნეთ, შარშანდელ სეზონში "ორლანდო მეჯიქი" იმდენად სუსტი გუნდი იყო, მე რომ იქ საკუთარ თავზე არ მეზრუნა, შეიძლება წლეულსაც იმ გუნდში ვყოფილიყავი. მე კი წარმატების მიღწევა მინდა. მინდა, რომ ისეთ გუნდში ვითამაშო, რომელსაც ჩემპიონობის ამბიცია აქვს და უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, ვიდრე ფლორიდული კლუბი", - განაცხადა ტიმაკმა.

შარშანდელ სეზონს რომ ვიხსენებ, პირველ რიგში, მაგონდება ტიმაკის მიერ მოგროვილი 62 ქულა "ვაშინგტონ უიზარდსის" წინააღმდეგ. ამას გარდა, კიდევ ბევრი მატჩი, რომელშიც მაკგრეიდი 30-დან 50 ქულამდე აგროვებდა ხოლმე. არ შეიძლება ასეთ კალათბურთელს ეგოისტი უწოდო. ეგოისტი, რა თქმა უნდა, სპორტული თვალსაზრისით, თორემ ტიმაკი ცხოვრებაში როგორია, არ ვიცი და, მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. მოკლედ, მაკგრეიდიმ შარშანდელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და სუსტი შემადგენლობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ პლეი-ოფამდეც მიეღწია.

პლეი-ოფი. აი, სწორედ ამაზე მაქვს ლაპარაკი. ისეთი კალათბურთელი, როგორიც ტიმაკია, იმსახურებს, სულ ცოტა, პლეი-ოფის პირველ რაუნდში თამაშს. სწორედ ამის გამო გადავიდა "ჰიუსტონში", სწორედ ამის გამო გაცვალა "ორლანდო" "ჰიუსტონზე". სწორედ ამის გამო იკლავს ვარჯიშებზე თავს და სწორედ ამიტომ ამბობს, რომ ამიერიდან მისი კარიერა მხოლოდ ტიტულებზე იქნება აგებული: "წლევანდელ სეზონში ჩემი მთავარი ამოცანაა, გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დავეხმარო. ჩემი შედეგიანობა, ალბათ, შემცირდება, რადგან გუნდში არის იაო მინი, რომელიც ჰიუსტონის ნამდვილი ლიდერია. ვფიქრობ, მე და იაოს შეგვიძლია, "ჰიუსტონ როქეთსს" გამარჯვებები მოვუტანოთ, ისეთი გამარჯვებები, რომლებიც გუნდს ტიტულებსაც მოუტანს. გუნდში ბევრი პროფესიონალი და ასევე ბევრი პერსპექტიული კალათბურთელია. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ, ვიბრძოლოთ იმ ბეჭდებისთვის, რომელსაც, ალბათ, თუ მოვიგე, არასოდეს მოვიხსნი თითიდან", - განაცხადა მაკგრეიდიმ.

რა როგორ იქნება, ამას 2005 წლის ზაფხულში ვნახავთ, მაგრამ ფაქტია, რომ მაკგრეიდის და კომპანიას შესწევთ ძალა, ლიგის ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდნენ. ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ნათელი მაგალითი მოგვცა იმისა, რომ საკმარისია, გუნდში ორი ძლიერი კალათბურთელი გყავდეს და ყველანაირი მიზნისთვის ბრძოლა შესაძლებელია. ეს მაგალითი კი კობი ბრაიანტი და შაკილ ო`ნილი, კევინ გარნეტი და სემ კასელი, რიჩარდ ჰამილტონი და ბენ უოლასი, ჯერმაინ ო`ნილი და რონ არტესტი არიან. სწორედ ამ კალათბურთელებმა შეძლეს და თავიანთი გუნდები, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალამდე, ხოლო მოგვიანებით სუპერფინალამდე მიიყვანეს.

მოკლედ

## ბექჰემმა ფიფას პრეზიდენტს იმედი გაუცრუა



როიტერის განცხადებით, ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას, თავის გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს იმის გამო, რომ მან უელსთან მატჩის დროს განზრახ მიიღო ყვითელი ბარათი. "მე ვაღიარე, რომ ყვითელი ბარათის მიღება დისკვალიფიკაციისთვის მჭირდებოდა, რადგან, როგორც იცით, ნეკნის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მივიღე. ახლა ვხვდები, რომ არასწორად მოვიქეცი," - განაცხადა ბექჰემმა Sky Sports-თან საუბარში.

ამ აღიარების შემდეგ ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ფეხბურთელმა ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის გულისწყრომა დაისახურა. მისი განცხადებით, "მსგავსი საქციელი ფეხბურთელს არ შეეფერება. იგი სამართლიანი თამაშის წესების დარღვევას ნიშნავს."

ჯერჯერობით უცნობია, რა რეაგირებას მოახდენს ფიფას პრეზიდენტი ამ ინციდენტის გამო, დასჯის თუ არა იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს.

## დუბაიში საჭადრაკო ქალაქს ააშენებენ

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დუბაიში საჭადრაკო ქალაქის აშენება იგეგმება. მისი თქმით, ამ პროექტის განხორციელებას 3 მილიარდი დოლარი დასჭირდება. ქალაქში ჭადრაკის ფიგურების სტილში აშენებული 32 სასტუმრო იქნება - 16 თეთრი და 16 შავი. "პაიკს" 50-სართულიანი სასტუმროები დაემსგავსება, "კუს," "მხედარსა" და "ეტლს" - 60-სართულიანი, "მეფესა" და "ლაზიერს" კი - 70-სართულიანი.

ქალაქის აშენება 2005 წლის იანვარში დაიწყება. რია-ნოვოსტის ცნობით, ილიუმჟინოვს შესთავაზეს, ფედერაციის შტაბბინა ახალ საჭადრაკო ქალაქში გადაიტანოს. "ამ საკითხს ახლა განვიხილავთ. ჩვენს გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში გაცნობებთ," - განუცხადა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს.

## პოლ გასკოინი სახელს იცვლის

1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის გმირმა და გასული საუკუნის უკანასკნელი წლების ყველაზე პოპულარულმა ბრიტანელმა ფეხბურთელმა პოლ გასკოინმა ყველა დროის ცნობილი მოკრივის კასიუს კლეის, იგივე მუჰამედ ალის მიბაძვა გადაწყვიტა. საქმე ის გახლავთ, რომ იგი სახელის შეცვლას აპირებს, თუმცა, ჯერჯერობით, საბოლოო ვარიანტი ვერ შეარჩია. სავარაუდოდ, ეს უილიამსი უნდა იყოს, მაგრამ აქ მთავარია არა ეს უცნაური განზრახვა, არამედ მისი მიზეზი.

"ახალი სახელი მე სხვა ადამიანად გარდასახვაში დამეხმარება. ის ადამიანებს ჩემს წარსულსა და აწმყოზე დაფიქრების საშუალებას მისცემს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მე ჩემი რეპუტაციისა და პატივისცემის დაბრუნებას ვაპირებ. ამიტომაც გადავწყვიტე, სახელი შემეცვალა. მიმაჩნია, რომ სახელი "პოლი" სხვა სახელმა უნდა შეცვალოს."

აღსანიშნავია, რომ გასკოინი ყოველთვის გამოირჩეოდა ექსტრავაგანტური საქციელით, სკანდალური განცხადებებით, სპორტული წესებისა და რეჟიმის უხეში დარღვევით.

როგორც ჩანს, გასკოინის ვარსკვლავი ჯერაც არ ჩამქრალა!

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 14 ოქტომბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "HOUSTON ROCKETS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:15 თავისუფალი დარტყმა
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჩილე - არგენტინა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. უკრაინა - საქართველო
17:45 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ლიტვა - ესპანეთი
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:25 "FUTBOL MUNDIAL"
20:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჩილე - არგენტინა
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - კოლუმბია
00:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1995. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "HOUSTON ROCKETS". მე-2 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 21:30 პრესცენტრი
10:15, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:15 "ნადირობის სეზონი"
11:45 პროგრამა - "ვლადისლავ ტრეტიაკის ორი სიცოცხლე"
12:10 "გოლფომანია". მეორე ნაწილი
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 მძლეოსნობა. მონაკოს დიდი პრიზის ფინალი. დღე პირველი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:00 ჰოკეი. NHL-ის ყველა ვარსკვლავთა მატჩების რეტროსპექტივა. 1999 წელი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
21:45 ოლიმპის შვილები"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
22:45 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
23:15 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი "ბროლის თასი" ინგლისში. პირველი ნაწილი
00:20 ახალი ამბები
00:35 "ჰოკეი-პლუს"
00:50 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
01:20 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
11:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი საბერძნეთში
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი "კრემლის თასი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
22:00 "სუპერბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
23:00 კრივი
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კორსიკაზე
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
03:15 ახალი ამბები

1

იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად სასურველია, მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებზე შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

ნათელა ლომიძე

გარდამეცვალა მამა, ანდერძით დამიტოვა რაიონში საცხოვრებელი სახლი, თავისი ეზოთი. დედა არ მყავს. სახლში ჩაწერილი ვარ. როდის შემიძლია სახლის ჩემს სახელზე გადმოფორმება და რა საბუთებია ამისთვის საჭირო.

ქალბატონო ნათელა,

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. სამკვიდროს გახსნის დღედ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე. თქვენ უნდა მიმართოთ სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ორგანოს (ანუ, სადაც თქვენი სახლია, იმ რაიონის ნოტარიუსს) და წარადგინოთ თქვენი პირადობის მოწმობა, ანდერძი და მამის გარდაცვალების მოწმობა. ამის შემდეგ თქვენ დარეგისტრირდებით საჯარო რეესტრში მესაკუთრედ.

გიორგი ტოლიაშვილი

ვარ 18 წლის. ვცხოვრობ თბილისში დედასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად ერთოთახიან ბინაში. მამა ცხოვრობს ცალკე, სოფელში თავის დედასთან და ძმასთან ერთად. ჩემს აღზრდაში მონაწილეობა არ მიუღია. ალიმენტს არ იხდიდა. მასთან და მის ოჯახთან ცხოვრება შეუძლებლია.

როგორ და რა ფორმით შემიძლია მივიღო წილი, რამდენი მეკუთვნის, რადგან თვითონ თავს არიდებს და ყოველთვის მატყუებს. ვის მივმართო ამ საკითხზე წილის მისაღებად?

ბატონო გიორგი,

სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსი მშობლის სიცოცხლეში შვილისათვის წილის გამოყოფას არ ითვალისწინებს. კოდექსის 1319-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ანდა სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად. რაც შეეხება წილის ოდენობას, სამოქალაქო კოდექსით პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის მშობლები, შვილები და მეუღლე. ეს პირები თანაბრად იღებენ წილს, თუ მამკვიდრებელი ანდერძს არ დაწერს, სადაც თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს მემკვიდრეებსა და მათი წილების ოდენობას.

დარიკო შელია

მგზავრობისას მომპარეს ბარგი, ჩანთა და ჩემოდანი. გამცილებელმა ძალიან უხეშად მითხრა, რომ შენ თვითონ უნდა მოგევლო ბარგისთვისო. თბილისში ჩამოსვლის მერე მივმართე ბევრ ადამიანს, ზუსტად ვერ გავერკვიე, რა მოვიმოქმედო.

ქალბატონო დარიკო,

სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლისა და საქართველოს რკინიგზის 2003 წლის 17 აპრილის "რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის, ბარგის, ტვირთბარგისა და ფოსტის გადაზიდვის წესების" შესაბამისად გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. ასე რომ, თქვენ უნდა მიგემართათ საქართველოს რკინიგზისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სამოქალაქო წესით შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოში.

გიორგი სივსივაძე

ვარ დაბადებული 1977 წელს ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქ. პოტსდამში. მამაჩემი იმჟამად მსახურობდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ქ. ბრანდერბურგში, რომლის ჰოსპიტალიც მდებარეობდა ქალაქ პოსტდამში, სადაც დავიბადე. მაინტერესებს, რა პრივილეგია ან შეღავათები მაქვს გერმანიაში გამგზავრების და შემდგომ იქ ცხოვრებისათვის. გთხოვთ მიმითითოთ კონკრეტულად, თუ რა პრივილეგია ან შეღავათი არის კანონით გათვალისწინებული და თუ შეიძლება მქონდეს საერთოდ პრეტენზია გერმანიის მოქალაქეობაზე.

ბატონო გიორგი,

დაბადების ადგილი მოქალაქეობაზე არ მოქმედებს, თუ თქვენ დაბადებისთანავე მოგანიჭეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ეს პრინციპია აღიარებული დღესდღეობით მოქმედ კანონშიც საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. მე-11 მუხლში მითითებულია, რომ ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. თუმცა გამორიცხული არაა, გერმანიის შიდა კანონმდებლობა გარკვეულ პრივილეგიებს აწესებდეს მის ტერიტორიაზე დაბადებული პირებისათვის გერმანიის მოქალაქეობის მინიჭებისას. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ გერმანიის მოქალაქეობის მიღება, თქვენ უნდა გახვიდეთ საქართველოს მოქალაქეობიდან.

ნელი ბელაური

ვცხოვრობ კასპის რაიონში. ვარ მარტოხელა დედა. მყავს სამი შვილი, ორი მცირეწლოვანი. ვარ უმუშევარი. არ ვღებულობ პენსიას, არც სხვა სახის დახმარებას. მხოლოდ ამა წლის მარტში სოც. უზრუნველოფაში მომცეს დახმარების სახით 50 ლარი. საპენსიოშიც, სოც. უზრუნველყოფაშიც მპასუხობენ, რომ მარტოხელა დედებზე დახმარება არ ვრცელდება. გთხოვთ, მიპასუხოთ, მერგება თუ არა დახმარება, რა სახით და სად უნდა მივაკითხო? ვრცელდება თუ არა შეღავათი კომუნალურ გადასახადებზე მარტოხელა დედაზე?

ქალბატონო ნელი,

სამწუხაროდ, მარტოხელა დედებზე საქართველოს კანონმდებლობა დახმარებას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება კომუნალური გადასახადებისაგან გათავისუფლებას ანდა მათზე შეღავათების დაწესებას, ასეთი საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მმართველობების ორგანოების კომპეტენციაში შედის და ისინი წყვეტენ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებში გარკვეული ვადით, უკიდურესად დაბალშემოსავლიან სოციალური ფენების კომუნალური გადასახადების ნაწილს ფარავს დონორი საერთაშორისო ორგანიზაციები ან მეგობარი ქვეყნის მთავრობა.

ჩვენი რჩევაა, მსგავსი შეკითხვით წერილობით მიმართოთ კასპის რაიონის გამგეობას, რომელიც ვალდებულია ერთი თვის ვადაში გაგცეთ ამომწურავი წერილობითი პასუხი.

ვაჟა ხიდაშელი

ნოტარიატის შესახებ კანონის მე-19 მუხლის თანახმად ნოტარიუსს პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. აღნიშნულ კანონში არა არის მითითებული ამ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა. გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონმდებლობის რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული მე-19 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის მიმართ, თუ ზიანი გამოწვეულია კანონსაწინააღმდეგო სანოტარო მოქმედებების შესრულების შედეგად, რომლითაც ნოტარიუსმა დაამოწმა საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის შესრულებაზე ნოტარიუსს უარი უნდა ეთქვა, თანახმად "ნოტარიატის შესახებ" კანონის 54-ე მუხლისა. რას ნიშნავს პირდაპირი ქონებრივი ზიანი.

ბატონო ვაჟა

როგორც ცნობილია, ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებით. კერძოდ 412-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ზიანი თავისი ბუნებით შეიძლება დავყოთ რამდენიმე ნაწილად, ერთ-ერთი მათგანია პირდაპირი ქონებრივი ზიანი. იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი შემდეგნაირად განისაზღვრება - ზიანი, რომელიც სავარაუდო იქნებოდა ნებისმიერი გონივრული ადამიანისათვის. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, იგი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განისაზღვრება სამი წლის ვადით.

შოთა ქართველიშვილი

გთხოვთ განმიმარტოთ, ვრცელდება თუ არა ხანდაზმულობის ვადები კუთვნილ ხელფასზე? მიუთითეთ შესაბამის კანონის ნორმებზე. ამასთან გთხოვთ, განმიმარტოთ, ხომ არ არის რაიმე სხვაობა ამ მიმართულებით საჯარო მოსამსახურეებისა და კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა მიმართ? დადებით ან უარყოფით შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამის კანონის ნორმებზე.

ბატონო შოთა,

მინდა პირველ რიგში განგიმარტოთ, რომ საჯარო მოსამსახურეებსა და კერძო სექტორში დასაქმებულ მუშაკების შრომით ურთიერთობებს აწესრიგებს შრომის კანონთა კოდექსი. თუ თქვენ "ხანდაზმულობის ვადების გავრცელებაში" სახელფასო დავალიანებას გულისხმობთ, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მასზე არანაირი ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

მაყვალა გურეშიძე

ჩემი ძმა და რძალი ცხოვრობენ ზესტაფონში. არიან პენსიონერები. ჩემი ძმა იღებს 45 ლარს (რეპრესირებულის შვილია), რძალი კი 18 ლარს. ე.ი. სულ 63 ლარს. ისინი ამავე დროს არიან მარტოხელები. თუ ჩემი ძმაც გადავა 18 ლარიან პენსიაზე, მაშინ მიიღებენ 18+18+35 - ე.ი. 71 ლარს. რვა ლარი მარტოხელა პენსიონერებისთვის რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ გვაინტერესებს, რა შეღავათები ეკუთვნის როგორც რეპრესირებულს და რა შეღავათები ეკუთვნის როგორც მარტოხელებს. (სინათლე, გაზი, წყალი, ნაგავი), რომელი პენსიის აღებას ურჩევდით?

ქალბატონო მაყვალა,

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის შვილი სარგებლობს შემდეგი სახის შეღავათებით:

1. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა სახელმწიფოს ხარჯზე;
2. საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების(გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გაზი და თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა) ფასდაკლება სახელმწიფო ხარჯზე ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ სთ-ის ოდენობით. საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათები უწესდება პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო ფონდის სახლში;
3. საპროთეზო და ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;
4. სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობის ტალონებით უფასოდ უზრუნველყოფა დადგენილი წესით;
5. სამუშაო სტაჟის მიუხედავად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე(სამსახურში) უპირატესი დატოვება;
6. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო იურიდიული კონსულტაციებით უფასოდ სარგებლობა და სასამართლო ხარჯისაგან განთავისუფლება.

ასევე, მინდა განგიმარტოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგი პენსიის მიღების საშუალებას. ანუ თქვენი ძმა ვერ მიიღებს რეპრესირებულისა და მარტოხელობის პენსიას ერთად.

გიორგი შერგელაშვილი

2000 წლის სექტემბერში წელთა ნამსახურების და ასაკის გამო გავედი პენსიაში შს სამინისტროს აკადემიის კათედრის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან. 2004 წლის 1 ივნისიდან კათედრის უფროსის მოადგილის თანამდებობრივი სარგო ორჯერ გაიზარდა. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსიის გადაანგარიშება?

ეკუთვნის თუ არა მომვლელი მე-2 ტიპის შაქრიან დიაბეტით დაავადებულ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, მეორე ჯგუფის ინვალიდს?

ბატონო გიორგი,

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული.

ამავე დროს სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს, რომ პენსიის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღისათვის არსებული თანამდებობრივი, სამხედრო ან სპეციალური წოდების, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის ღირებულების ფულადი სარგოები ინდექსაციის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, თქვენ არ გაქვთ დაკონკრეტებული, დიაბეტი თქვენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღეთ თუ არა. თუ ეს ასეა, მაშინ კანონმდებლობა ითვალისწინებს წელთა ნამსახურების გამო პენსიის მომატებას ინვალიდებისათვის, რომლებმაც სამსახურებრივი შესრულების დროს ჭრილობის, კონტუზიის ან დაავადების შედეგად მიიღეს ტრავმა, რომლის გამოც დაინვალიდდნენ. ეს ოდენობა კანონის მე-14 მუხლით წარმოადგენს: სამხედრო სამსახურისას დაავადებული I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის - 130 პროცენტი, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებისათვის - 100 პროცენტი.

რაც შეეხება, მომვლელს, ამასთან დაკავშირებით კანონი არანაირ აღნიშვნას არ აკეთებს.

შოთა გამყრელიძე

გთხოვთ, გაუკეთოთ მცირე კომენტარი "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 64-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებს. კერძოდ, რა სახის შეზღუდვები შეიძლება მოიაზრებოდეს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტების შეზღუდვაში. შესაძლებლობის ფარგლებში, მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის იქნებ მოიყვანოთ ისეთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც წარმოაჩენს საჯარო მოსამსახურეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოზე. ამასთან სამუშაო დროის რა მონაკვეთი შეიძლება მოიაზრებოდეს სხვა სახის ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების დროდ?

ბატონო შოთა,

საჯარო მოხელედ ითვლება ის პირი, რომელიც მუშაობს საჯარო სამსახურში. საჯარო სამსახურად კანონი მიიჩნევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებას. კანონი საჯარო მოხელეს არ აძლევს უფლებას, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ანდა ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. ბოლო ცვლილება, რომელიც ამ კანონში შევიდა, თარიღდება 2004 წლის 24 თებერვლით. იგი ადგენს, რომ სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ამავე კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში. ასევე გასათვალისწინებელია კონსტიტუციის ნორმა, რომელიც საჯარო მოხელეს უფლებას აძლევს ეწეოდეს სამეცნიერო, საგანმანათლებლო საქმიანობას და მიიღოს იქიდან შემოსავალი, მაგრამ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება მას არ გააჩნია.

რევაზ ასათიანი

1. რა შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციას გაათავისუფლოს სამუშაოდან შრომისუნარიანი ასაკოვანი პენსიონერი, ომის ინვალიდი (სამუშაოზე ხასიათდება დადებითად), საჯარო სამსახურის შესახებ კანონზე დაყრდნობით, როგორც საპენსიო ასაკოვანი პიროვნება, მაშინ, როდესაც ვეტერანთა კანონის მე-19 მუხლი იცავს მათ ინტერესებს, მაათთვის წესდება 2 %-იანი ჯავშანი. მით უმეტეს თუ იგი საქმიანობს ვეტერანთა დეპარტამენტში.

2. როგორ უნდა მოიქცეს ომის ინვალიდი, თუ მის არაერთ წერილობით განცხადების მიღების თაობაზე მინისტრი არ პასუხობს.

3. მე-19 მუხლთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია და გთხოვთ, განმიმარტოთ მისი მოქმედება საჯარო სამსახურის კანონთან მიმართებაში.

ბატონო რევაზ,

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 50-ე მუხლის თანახმად სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი მამაკაცთათვის განისაზღვრება 65 წლით, ხოლო ქალისათვის - 60 წლით. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კანონთა კოდექსი საშუალებას აძლევს საპენსიო ასაკს მიღწეულ შრომისუნარიან პირებს, განაგრძონ მუშაობა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 98-ე მუხლი ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს, გაათავისუფლოს მუშაკი დაკავებული თანამდებობიდან, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი.

რაც შეეხება მინისტრთან შეხვედრის საკითხს, გაცნობებთ, რომ არც ერთი საკანონმდებლო ნორმა არ ავალდებულებს მინისტრს კონკრეტულ მოქალაქესთან შეხვედრას. მინისტრთან შეხვედრის საკითხი წყდება მინისტრის აპარატში საკითხის აქტუალობისა და მინისტრის დროის გათვალისწინებით. აქვე გაცნობებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებას წერილობით თქვენთვის საინტერესო საკითხზე, რომელიც ეხება აღნიშნულ დაწესებულებას და ეს უკანასკნელი ვალდებულია 1(ერთი) თვის ვადაში გაგცეთ თქვენ აგრეთვე წერილობითი პასუხი.

თენგიზ გიორგაძე

ვარ 72 წლის მარტოხელა პენსიონერი. 8 თვეა უშუქოდ ვარ და მრიცხველების გატანის შემდეგ შემაწერეს ე.წ. ოთახების რაოდენობის მიხედვით თანხა 175 ლარი, რომელსაც ვერ ვიხდი. გთხოვთ, დამეხმაროთ და უკანონოდ დაწერილი თანხა ჩამომაწეროს თელასმა. მის შესახებ უმაღლესი სასამართლოს დადგენილებაც არის და არ ასრულებენ. ვარ შრომის ვეტერანი.

ბატონო თენგიზ,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებული "ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტრო ენერგიის საფასურის გადახდის წესი". მრიცხველების გატანამდე თქვენზე ოთახების რაოდენობის მიხედვით დარიცხული თანხის გადაანგარიშება უნდა მოხდეს ახალი მრიცხველის მიერ დარიცხული თანხის შესაბამისად.

მანანა კოკაია

მაქვს სურვილი (აუცილებლობით გამოწვეული), დავაგირავო ბინა საცხოვრებლად რამოდენიმე წლით. სამართლებლივად ყველაფერი რომ იყოს გამართული და შემდეგი გაუგებრობები თავიდან აცილებული, გთხოვთ ამიხსნათ, გარდა ნოტარიული დამოწმების ხელშეკრულებისა, რა არის საჭირო? რა განსხვავებაა იპოთეკასა და გირავნობას შორის? რა უფლებები და ვალდებულებები დამეკისრება და უნდა იყოს თუ არა ხელშეკრულებაში დეტალურად ეს აღნიშნული?

ქალბატონო მანანა,

იპოთეკა და გირავნობა წარმოადგენენ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს. მათი მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გირავნობით ანდა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის გზით კრედიტორი მოახდენს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რომ მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება დაგირავდნენ, ხოლო უძრავი ნივთები იტვირთებიან იპოთეკით. იპოთეკის ხელშეკრულება ფორმდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, რომელიც მოწმდება ნოტარიუსის მიერ და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთებში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა.

აგრეთვე გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ ვერ მოახერხებთ თანხის დადგენილ ვადაში გადახდას, კრედიტორი უფლებამოსილია მოახდინოს ნივთის რეალიზაცია აუქციონის გზით.

ნინო ფალავანდიშვილი

ქ. ქობულეთის მკვიდრმა მომპარა საფულე, რისთვისაც ის დაიჭირეს. გამომძიებელმა მოითხოვა მისი დაპატიმრება, სასამართლომ პროკურორის მოთხოვნით ის გაათავისუფლა გაუსვლელობის ხელწერილით. რამოდენიმე დღეში ბრალდებულის განცხადების საფუძველზე გამომძიებელმა მას მისცა ნებართვა თბილისიდან დროებით გასვლის შესახებ პირველ გამოძახებამდე, მაგრამ დამნაშავე გაემგზავრა ქობულეთში და დაემალა გამოძიებას. გთხოვთ, გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია გამომძიებლის მოქმედება, ჰქონდა თუ არა ნებართვის გაცემის უფლება და ვინ აგებს პასუხს იმისთვის, რამ დამნაშავე დაემალა გამოძიებას.

ქალბატონო ნინო,

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ხდება იმისათვის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს, აღკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეებზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 151-ე მუხლი).

აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახე არსებობს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, რომლის გამოყენებაც მოხდა ბრალდებულის მიმართ ამ კონკრეტულ შემთხვევაში. სსსკ-ის 169-ე მუხლის შესაბამისად ხელწერილის მიმცემი (ბრალდებული) კისრულობს ვალდებულებას, არ გავიდეს აღნიშნული დასახლებული პუნქტიდან მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვის გარეშე. ამ შემთხვევაში, რადგან გამომძიებელმა მას მისცა თბილისიდან დროებით გასვლის ნებართვა სსსკ-ის შესაბამისად, ხოლო ბრალდებულმა ისარგებლა ამით და დაემალა გამოძიებას, ადეკვატური მოქმედება მოჰყვება აღნიშნულ ფაქტს გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მხრიდან და პროკურორის შუამდგომლობით სასამართლო იმსჯელებს აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე, ხოლო რაც შეეხება გამომძიებლის მოქმედების კანონიერების საკითხს, იგი მოქმედებდა საპროცესო ნორმების შესაბამისად, ხოლო რამდენად გაითვალისწინა გამომძიებელმა ბრალდებულის მიმალვის ალბათობა და მოქმედებდა თუ არა გამომძიებელი წინასწარგანზრახულად, ამის შესახებ იმსჯელებს ზემდგომი პროკურორი.

თეიმურაზ თოთიბაძე

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, განგვიმარტოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის - "სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა" მე-3 პუნქტი: "სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე - თავისუფლების აღკვეთის ან ტუსაღობის ერთი დღე; თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე; და ასე შემდეგ. რა იგულისხმება თავისუფლების შეზღუდვაში და გულისხმობს თუ არა ეს შეზღუდვა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნას გაუსვლელობის ხელწერილით და საღამოს 20 საათის შემდეგ სახლში ყოფნის აუცილებლობას.

ბატონო თეიმურაზ,

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, "თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს 14 წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში - გამასწორებელ ცენტრში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით.

თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით. არასრულწლოვნებს სსკ-ს 861-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლების შეზღუდვა ენიშნებათ ოთხ წლამდე ვადით.

სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს არიდებს თავისუფლების შეზღუდვას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით - განაჩენით დანიშნული თავისუფლების შეზღუდვის ვადით. ამასთან დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გამოანგარიშებით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე - თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

გივი მრელაშვილი

... მაინტერესებს, ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურმა, გასცა რა ფაქტობრივად ყალბი ცნობა, დაარღვია თუ არა კანონი ?...

ბატონო გივი,

ჩვენ თქვენს კითხვაზე უკვე გაგეცით პასუხი. ამჯერად დაგიკონკრეტებთ პასუხს სხვა მიმართულებით, ანუ რამდენად მომგებიანია თქვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მიზნით, სასამართლო წესით, ედავოთ ტექ. აღრიცხვის ბიუროს. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. იმავე კოდექსის 413 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სწორედ ამ მუხლებზე დაყრდნობით, თქვენ ნაკლები საფუძველი გაქვთ რომ მოითხოვოთ ფულადი ანაზღაურება მიყენებული ზიანისათვის ამ კონრეტულ შემთხვევაში თბილისის მერიის სამსახურებიდან. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ კონკრეტული ჩინოვნიკების ადმინისტრაციული წესით დასჯის საკითხი. აქვე დავამატებთ, რომ კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონიოთ გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. (სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 3.2.) ვფიქრობთ, რომ თქვენ შეიძლება გარკვეული შეკითხვები გქონდეთ ადვოკატთან, რომელიც გემსახურებოდათ და სათანადო ყურადღება უნდა მიექცია ამა თუ იმ სტრუქტურიდან მიღებული დოკუმენტაციის სიზუსტისთვის.

მაია კაკულია

ჩემი ბინა დავაგირავე. დავდეთ სესხის ხელშეკრულება; შემექმნა ისეთი სიტუაცია, რომ თანხას ვერ ვაბრუნებ. რა შეიძლება მოიმოქმედოს მერე მხარემ?

გთხოვთ გამარკვიოთ.

ქალბატონო მაია,

იპოთეკა, რომელსაც ხალხში დღემდე არასწორად გირავნობას ეძახიან, წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. შესაბამიოსად, თუ თქვენ ვერ გადაიხდით ნასესხებ თანხას, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია. (სამოქალაქო კოდექსი მუხლი 300); ნივთის გაყიდვა მოხდება აუქციონის გზით სასამართლოში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. აუქციონი ჩატარებულად ჩაითვლება, თუ შემოთავაზებული იქნება შეფასებული ნივთის ღირებულების 70 % მაინც. თუ შემოთავაზებული თანხა 70 %- ზე ნაკლები იქნება, მაშინ ტარდება ახალი აუქციონი, რომელზედაც შემოთავაზებულმა თანხამ უნდა დაფაროს სასამართლოს ხარჯები და კრედიტორის მოთხოვნა. (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 306); აუქციონის სედეგად შემოსული თანხებით იფარება პირველ რიგში სასამართლო და აუქციონის ხარჯები, შემდეგ კრედიტორის მოთხოვნა, ხოლო თუ დარჩება ნაშთი, იგი გადაეცემა ყოფილ მესაკუთრეს.

# შტრიხები ქალაქის პორტრეტისთვის

## "ტყუპების" კულტურული ნაწილი იდეაში უკვე აღდგენილია

თამარ ბაბუაძე

*თანდათან ივსება და იხვეწება "გრაუნდ ზიროუ" - ადგილი, რომლის ამ ახალ სახელწოდებასაც თითქმის ისე ჩვეულებრივ წარმოთქვამენ უკვე, როგორც ერთ დროს, უფრო სწორად, ტერაქტებამდე - "ტყუპებს". თუმცა, დახვეწის პროცესი, ძირითადად, იდეების სფეროში მიმდინარეობს. გუშინ დიდი აღდგენითი ჩანაფიქრის კიდევ ერთი დეტალი გამჟღავნდა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრს ფრენკ გერი ააგებს, მუზეუმების კომპლექსს კი ნორვეგიული ფირმა "სნოჰეტა" მიხედავს - ფირმა, რომლის ანგარიშზეცაა ორიოდე წლის წინ ალექსანდრიის ძველი ბიბლიოთეკის ხელახლა აშენება.*



*ლოს ანჯელესი. უოლტ დისნეის მუსიკალური ცენტრი ფრენკ გერის არქიტექტურით. ის გაჭრილი ვაშლივით ჰგავს გუგენჰაიმის მუზეუმს ბილბაოში. საინტერესოა, გაიმეორებს თუ არა ფოლადის უზარმაზარი ფირფიტების ჰარმონიას გერი ნიუ იორკშიც. ბევრს ის უკვე მობეზრდა.*

მოკლედ, ფრენკ გერი შინ დაბრუნდა. კანადაში აღზრდილი არქიტექტორის მამა ნიუ იორკელი იყო და ამიტომ ის "დიდ ვაშლში" ასეთი დიდი მისიით ჩასვლას სიმბოლურად აღიქვამს.

თუმცა, შეიძლებოდა მამის ფესვებთან დაბრუნება უფრო ადრეც მომხდარიყო, რამდენიმე ხნის წინ გერისთვის ქალაქის ცენტრში გუგენჰაიმის მუზეუმის ფილიალის აგება რომ მიენდოთ. მაგრამ ეს პროექტი არარეალურად დიდი ბიუჯეტის გამო ჩაიშალა - 950 მილიონი დოლარი ვერაფრით გაიღეს. გერის ნიუ იორკელებმა კიდევ ერთი პროექტი დაუწუნეს, ლინკოლნ ცენტრის შადრევნიანი პლაზა, რომელიც არქიტექტორს მთლიანად შემინულ დარბაზად წარმოედგინა. ჯერ ამ პროექტზე მეტროპოლიტან ოპერამ თქვა უარი, მერე თვითონ ლინკოლნ ცენტრის ხელმძღვანელმაც.

საბოლოო ჯამში, დაბრუნება ისევ "გრაუნდ ზიროუს" წყალობით შედგა; მაგრამ თუ წყალობაზე მიდგება საქმე, გერის, ალბათ, ისევ საკუთარმა პოპულარობამ უშველა. ბოლო პერიოდში ხომ მისმა ამერიკულმა რეიტინგმა საგრძნობლად აიწია. გუგენჰაიმის შემდეგ, მას ჯერ ლოს ანჯელესში უოლტ დისნეის ცენტრის აგება მიანდეს და მშენებლობის დასრულების შემდეგ პროექტი დიდად უქეს; ახლახან კი ვაშინგტონის დიდ გალერეაში ექსპოზიციაც მოუწყვეს - გამოფინეს ყველაფრის მაკეტი და პლაკატი, რაც კი გერის ხელს შეუქმნია - როგორც ჩანს, ყველა სფეროსა და ქვეყანაში ასეა - არქიტექტორებსაც ისეთივე მონდომებით ამოიჩემებენ ხოლმე, როგორც მომღერლებს, მხატვრებს, პოეტებს და ასე აძლიერებენ "კარის ინსტიტუტს", აღიარებენ მოდურობის უზენაესობას...



მოდურია თუ არა, ფაქტია, რომ ფრენკ გერი "ტყუპების" რეკონსტრუირების პროცესში ასე აქტიურად პირველად ჩაერთო. მას 11 სექტემბერს დაღუპულთა მემორიალის კონკურსში განაცხადი არც შეუტანია - თემამ არ დააინტერესა. ახლა კი ნიუ იორკის დანგრეული ცენტრისკენ ისევ ხელოვნებამ მიიზიდა - რომ გაიგო, საქმე ქორეოგრაფიულ ცენტრსა და თეატრს ეხებოდა, იდეების გენერაცია მხოლოდ მერე დაეწყო. გენერაციის პროცესი ახლაც გრძელდება: "ვიფიქრე, რომ კარგი იქნება ხუთექვს აკრიანი ფართობის მთლიანად ბაღებით დაფარვა. ამ მწვანე ტერიტორიას ფილარმონიაც გამოიყენებს და თეატრიც. ის ერთგვარი კულტურული პარკი იქნება, საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვისაც ზედგამოჭრილი", - გზადაგზა ხვეწს და აფართოებს გეგმას გერი.

თუმცა, მებაღეობაზე ფიქრს მას არავინ ავალდებულებს. ეს მისი კლასგარეშე ფიქრებია. გერის "ტერიტორია" სახელოვნებო კომპლექსია, რომელიც ჯოისის საერთაშორისო ცეკვის თეატრს, თეატრს "სიგნიჩარ", თავისუფლების ცენტრს და ხატვის ცენტრს გააერთიანებს. ეს სახელები სპეციალურმა ჟიურიმ ასამდე სახელოვნებო გაერთიანებიდან აარჩია.

გერი უკვე თითებს იფშვნეტს და "მე ამისგან გავაკეთებ" ალტკინებით აცხადებს: "ფართი ცოტაა (250-300 ათასი კვ.ფუტი), ამიტომ პროექტი ოდნავ რთული. ძირითადად, ვერტიკალურად აზროვნება მოგვიწევს. ალბათ, თეატრი თეატრის თავზე უნდა გავაკეთოთ".

ვერტიკალურად დაკიდებული საცეკვაო დარბაზები და სცენები - უკვე საინტერესოა. საინტერესო იდეებს არც გერისთან შედარებით უცნობი "სონჰეტას" არქიტექტორები უჩივიან. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის აგებამ მათ, როგორც ჩანს, გამბედაობა შეჰმატა. ახლა ისინი ნიუ იორკში დააპროექტებენ კომპლექსს, სადაც ადამიანის უფლებებზე ფოკუსირებული თავისუფლების საერთაშორისო ცენტრი და ხატვის ცენტრი განთავსდება - იქ ისტორიული და თანამედროვე ნახატები გამოიფინება.

გერი და "სონჰეტა" პროექტებს თებერვალში წარმოადგენენ. სწორედ ამ დრომდე უნდა შეძლონ მათ ისეთი გეგმების მოხაზვა, რომლებიც სრულად შეესიტყვება გარემოს და, რაც მთავარია, 11 სექტემბერს დაღუპულთა მემორიალს.

ასე რომ, "გრაუნდ ზიროუს" (ადგილს, რომელსაც აღდგენის მერე, ალბათ, უფრო შესაფერის სახელს გამოუძებნიან) სრულყოფისთვის უცნობილეს არქიტექტორთა მთელი ამალა მუშაობს. დენიელ ლიბესკინდი - ცათამბჯენს კურირებს, სანტიაგო კალატრავა - სატრანსპორტო გზას, მაიკლ არადი და პიტერ უოკერი - მემორიალს.

ბილბაოდან ლოს ანჯელესში, ლოს ანჯელესიდან კი ნიუ იორკში გადასახლებული ფრენკ გერი იქ კიდევ დიდ ხანს დარჩება. მოდურობა ხომ უამრავ ახალ შეკვეთას ნიშნავს და გერისაც ბრუკლინში "ნეთსის" საკალათბურთო სტადიონის დაგეგმარება მოუწევს, მერე კი - ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიასთან ახლოს, თეატრზე მუშაობა. მოკლედ, სკორსეზეს და ბონოს ერთობლივი ნამუშევრის სახელი რომ გადავათამაშოთ ("ხელები, რომელთაც ამერიკა ააგეს"), ფრენკ გერი ის კაცი გამოდის, რომელმაც ნიუ იორკი უნდა ააგოს. მერე, ალბათ, ერთ ფილმსაც გადაუღებს ვინმე.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

14 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** "ხალხის პირისპირ" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბატონ სეპტიმის რესტორანი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ჯეტექსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ჩაძირულთა მდინარე". მთ. რ-ში: რიჩარდ ჩემბერლენი (18)ყ **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** შავი მუსიკის დიდი ისტორია. დოკ. ფილმი. ნიგერია, ჰაიტი. **08.30** ტელედილა. **10.25** ტელეტურიზმი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** აქტუალური თემა. **22.05** გადაცემა: ულტრა. **24.30** დიდი ბედნიერება. მხ. ფილმი. რეჟისორი ერვე ლე რუ. 1993. **04.20** თოვლის შესანიშნავი ქალბატონი. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "სვეტიცხოვლობა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **13.00** "მიამბეთ თქვენზე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** საქართველო არის ესე **14.40** ქართული ფოლკლორის ფესტივალი **15.20** "პოლიტიკური მკვლელობები" - რ. კალვი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** "მრავალჟამიერ"-სვეტიცხოვლობა **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "დანაშაული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) მე-2ს.

### 202

**07.30** ალიონი **09.40** პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** სერიალი "ნარჩიტა მომღერალი ჩიტია" მე-2ს. **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **23.00** სერიალი "ნარჩიტა მომღერალი ჩიტია" მე-3ს. **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ბოროტმოქმედები" (გ) (ვიტორიო გასმანი)

---

**18.00** მინისერიალი "ბაგა-ბაღი" მე-4 ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **21.50** მხ. ფილმი "ვანდომის მოედანი" (15)

### მეორე არხი

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **20.25** "იმღერე რამე" **20.50** "ეძიე ქალი" **21.10** "ძვ. აფიშა" - "წუთისოფელი ასეა" **21.50** ბასტი-ბუბუ **22.05** მხ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 14.50, 03.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დაუპატი:ებელი სტუმარი" (12) (ნ. კინსკი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** "პირველი ნახევარი" **23.20** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **23.50** მხ. ფილმი "ორი ცხოვრება" (15) (დ. მური) **01.35** "აქტიორი" **02.10** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфира". Светлана Жильцова. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **20.00** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **21.30** "Кривое зеркало". Лучшее. **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Теория невероятности. "Люди-рентгены". **00.40** Гении и злодеи. "Вирус жизни". **01.10** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 02.50** Джейсон Пристли в триллере **"ХЛАДНОКРОВНЫЙ" 04.45** Сериал "Специальное подразделение II". "Тлеющее море". **05.20** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Наследие Кортеса".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ЭКСТРЕМИСТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия. **10.55** Кулинарный поединок. **11.50** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: СТРАХОВАЯ АФЕРА". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"КАМЕНСКАЯ: ЧУЖАЯ МАСКА"**. Часть 2-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.45** Стивен Сигал в боевике **"В ОСАДЕ" 22.00** "Страна и мир". **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **23.55** Мэл Гибсон в боевике **"БЕЗУМНЫЙ МАКС" 02.15** Бильярд. **03.35** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: тигры за дверью". **04.25** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.

# ედინბურგი ახალი ამბიციით



გუშინ პარიზში, იუნესკოს ოფისში მსოფლიოს ლიტერატურული წრეებისთვის ერთი ძალიან საინტერესო განხცადება გაატარეს რეგისტრაციაში. წერილის მიხედვით, შოტლანდიელ ინიციატორთა ჯგუფი ედინბურგს მსოფლიო ლიტერატურული დედაქალაქის კანდიდატურად მოიაზრებდა და პირველად ქმნიდა მსგავსი დედაქალაქის დასახელების პრეცედენტს.

ეს უნიკალური იდეა შოტლანდიური ხელოვნების საბჭოში დაიბადა და მხარდამჭერები ლიტერატურულ და ხელოვანთა წრეებში მალე მოიპოვა. ახლა ედინბურგის არჩევის იდეას იზიარებენ "ჰარი პოტერის" შემქმნელი როულინგი, მიურიელ სპარკი და იან რენკინი. ქალაქი, რომელიც უკვე ფლობს ერთ პრესტიჟულ ტიტულს - ის მსოფლიოში უდიდესი წიგნების ფესტივალის მასპინძელი გახლავთ, ახალი სტატუსის მოპოვებით გამდიდრებას ელის.

პროექტის მიხედვით, ედინბურგი ლიტერატურის მუდმივი მსოფლიო დედაქალაქი უნდა გახდეს და ყველა მსურველ ქალაქს წიგნების ზეიმის მოსაწყობად მაგალითს უნდა აძლევდეს. ამ ამბიციის დასტურად, როულინგი ასეთ ფრაზას გვთავაზობს: "ქალაქის ლიტერატურული მემკვიდრეობის დანახვა ყველგანაა შესაძლებელი". იდეის ავტორები თავიანთი მოსაზრების გასამყარებლად ასევე იხსენებენ ყველა დიდ სახელს შოტლანდიის ლიტერატურული წარსულიდან - სერ უოლტერ სკოტის, რობერტ ლუის სტივენსონის, სერ არტურ კონან დოილის ჩათვლით და იმედი აქვთ, რომ ახალი სტატუსით აღჭურვილი ედინბურგი პოპულარობით უაიტბრედის, ბუკერისა და ნობელის ლიტერატურული პრემიების გაცემის ცერემონიალსაც დაჩრდილავს.

თუმცა, ცხადია, ედინბურგის უზენაესობას ყველა ერთსულოვნად არ იზიარებს. ზოგი მათგანის მტკიცებით, ედინბურგზე უფრო მეტად მსოფლიო ლიტერატურული დედაქალაქის წოდებას იგივე დუბლინი, ლონდონი ანდა ოქსფორდი იმსახურებს. თუმცა, ასეა თუ ისე, მსგავსი სტატუსის იდეა ედინბურგს გაუჩნდა და გამარჯვების იმედიც აქვს. იუნესკოს კი გადაწყვეტილების მიღება საგაზაფხულოდ მოუწევს.

Save the Children

## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს მოსახლეობის, ლტოლვილთა მიგრაციის ბიუროს მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "დევნილთა კომუნალური ცენტრების აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოში". პროექტი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ქობულეთსა და წყალტუბოში.

პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებულ კომპანიების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2004 წლის 14 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 12 საათამდე (კომპანიის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილი) მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N32, პირველი სართული.

კონსულტაცია გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N32, პირველი სართული 2004 წლის 21 ოქტომბერს 12.00 სთ, ინდივიდუალური კონსულტაციები არ ჩატარდება.

ტ. 8 (22) 98 59 14

საკონტაქტო პირი: შამილ ჯალაღონია, მობ: 899 11 89 97


თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24



## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელ"-ი (ELL.Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში, უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში
- საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:

A-Level 1-2-წლიანი. 15, 16 წლიდან.
Foundation 1-წლიანი. 17 წლიდან.
Pre-MBA, MBA 21 წლიდან.
სწავლის დაწყება იანვრიდან.

ინგლისური ენა:
ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CEA) 2-12 თვე.
Work Experience ინგლისური ენა და სტაჟირება ინგლისურ კომპანიაში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 74, მე-15 სართული.
E-mail:n_makatsaria@Yahoo.com
ტელ: 22 59 57, 29 91 78, 899 50 40 12



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge


















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.